ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

ოთხშაბათი, 16 მარტი, 2011 | №63 (5444) | ფასი: 30 თეთრი

## 100 წიგნი — ადამიანები, რომლებმაც შეცვალეს მსოფლიო

გვ.3



# ნინო ბურჯანაძე: „ამ ქვეყანას რევოლუცია სჭირდება!“

გვ.3

2 მაისიდან ბრძოლა გადამწყვეტ ეტაპზე გადადის



## ყველა ჯანმრთელი პოლიტიკური ძალა რეჟიმთან ბრძოლაში ერთიანი იქნება

გვ.2

## არჩევნები ოქტომბერში უნდა ჩატარდეს!

გვ.2



## ზურაბ ნოღაიდელი: სასამართლო ფეხებზე მკიდია

გვ.2





## ოპოზიციას მინისტრების გადაყენების იმედი არა აქვს

რა კითხვები აქვთ დეპუტატებს ვანო მერაბიშვილთან

გვ.4



## ხელისუფლებას უნდა, რომ მოსახლეობა უწიგნური იყოს

გვ.5

რატომ არ იზრდება საქართველოში პენსია

## რა გველოდება 19 მარტს?!

გვ.4





**3090**

**sms განცხადებები „ახალ თაობაში“**

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

**3** მწვანეთა პარტია საქართველოს პარლამენტს მიმართავს

**5** შეიარაღებულ ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა რაოდენობა გაიზარდა

**3** გრიგოლ ვაშაძე ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრს შეხვდა

**2** ილია მეორე იაპონიის საელჩოში იმყოფებოდა

# არჩევნები ოქტომბერში უნდა ჩატარდეს!

ნონა ცაბაძე

## ინტერვიუ ქართული პარტიის თავმჯდომარე სოზარ სუბართან

***— ბატონო სოზარ, ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან ხშირად ისმის განცხადებები, რომ რევოლუციების დაანონსება ოპოზიციური პარტიების მხრიდან არასერიოზულია და ამ ხალხს არანაირი პოლიტიკური გამოცდილება არ აქვთო...***

— მე მგონი, სწორედ ეს ხელისუფლებაა რევოლუციურ ტალღაზე მოსული და სხვისგან არ უნდა უკვირდეს მსგავსი ლაპარაკი. როგორც წესი, რევოლუციას ახდენს მხოლოდ და მხოლოდ ხალხი და სხვა ვერავინ და თუ ხალხში იქნება ეს სულისკვეთება, მათ წინ ვერ დაუდგება ვერავინ. რაც შეეხება ამის იურიდიულ საფუძველს, ამის იურიდიული საფუძველი არის კონსტიტუცია. როდესაც კონსტიტუციაში პარლამენტს შეაქვს ცვლილებები და იხანგრძლივებს თავის არსებობას და უხანგრძლივებს არსებობას პრეზიდენტს, ეს არის ძალაუფლების უზურპაცია და ხალხს აქვს იურიდიული უფლება, სრული კანონიერი უფლება დაიბრუნოს ის, რაც მას ეკუთვნის და რისი მიტაცებაც მოახდინა სააკაშვილმა და მისმა პარლამენტმა. ძალაუფლების წყარო არის მხოლოდ ხალხი და ხალხი ვადაში არჩევნების გზით ახორციელებს ამ უფლებამოსილებას.



***— სააკაშვილი ყოველ მის გამოსვლაში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საქართველოში რევოლუცია უკვე მოხდა და ეს საფრთხე საქართველოს არ ემუქრებაო...***

— ის, რომ ასე ხშირად ახსენებს რევოლუციას, კარგად მეტყველებს მის შიშზე.

***— თქვენ ფიქრობთ, რომ სააკაშვილი შეშინებულია?***

— ის რომ ასე ხშირად ლაპარაკობს თვითონაც და მისი გარემოცვაც რევოლუციის საფრთხეზე, უფრო ზუსტად იმაზე, რომ რევოლუციის საფრთხე არ არსებობს, ნათლად მეტყველებს სწორედ მათ შიშზე და სხვა არაფერზე, აქედან, ერთადერთი, ამ დასკვნის გამოტანა შეგვიძლია და ეს არის ნათელი.

***— როგორ ფიქრობთ, საზოგადოებაში თუ არის მუხტი რევოლუციის და მზად არის თუ არა ხალხი აქტიური გამოსვლებისთვის?***

— ნამდვილად არ არის საზოგადოება მზად, თუმცა საზოგადოების განწყობები იცვლება ყოველდღიურად. ჩვენ შეხვედრებს ვატარებდით ოქტომბერ-ნოემბერში, შეხვედრებს ვატარებთ დღესაც და აბსოლუტურად განსხვავებული შედეგი გვაქვს, საზოგადოება არის ბევრად უფრო რადიკალური და ბევრად უფრო მომთხოვნი ოპოზიციის მიმართ, რომ ოპოზიციამ გადადგას ქმედითი ნაბიჯები და ოპოზიცია იყოს შემტევი. თუ როგორ გაგრძელდება და რამდენად გაიზრდება ეს მუხტი, ყველაფერი ამაზეა დამოკიდებული. ჩვენ არ ვცდილობთ მოვლენების ფორსირებას, მაგრამ ჩვენ მზად ვართ ვიყოთ ნებისმიერი მსგავსი მოძრაობის სათავეში და წინამძღოლად, მანამდე ჩვენ ვმუშაობთ ჩვენი პარტიის სტრუქტურების ჩამოყალიბებაზე, რომ მზად ვიყოთ ნებისმიერი გამოწვევისთვის.

***— ოპოზიციის ის ნაწილი, რომელიც ხელისუფლებასთან დიალოგს აწარმოებს, აცხადებს, რომ დღეს არეულობა ხელისუფლების ინტერესებში შედის და თუ იქნება რევოლუციური გამოსვლები, ეს მხოლოდ სააკაშვილის წისქვილზე დაასხამს წყალსო...***

— რევოლუციას აწყობს მხოლოდ ხალხი და ხალხის ნებას ვერ დაუდგება წინ ვერავინ. რაც შეეხება რვიანს, თუკი ისინი მიაღწევენ რაიმე შედეგს, თუნდაც მცირეს, ეს იქნება დადებითი, თუ ვერ მიაღწევენ ვერავითარ შედეგს, ესეც იქნება დადებითი, იმიტომ, რომ მოხდება ხელისუფლების ლუსტრაცია. გამოჩნდება, რომ ხელისუფლება არ აპირებს ჯანსაღი საარჩევნო გარემოს შექმნას. რაც შეეხება სამართლიან საარჩევნო გარემოს, ეს არ არის დათმობა მხოლოდ ერთ ან ორ პუნქტში, ეს არის ძალიან კომპლექსური დათმობების სერია, რაზეც ხელისუფლება, რა თქმა უნდა, არ წავა.

***— თვლით, რომ დღეს ხელისუფლებასთან დიალოგი უშედეგოა?***

— მე არ დავიწყებ შეფასებებს, ჩვენ რომ შედეგის იმედი გვქონოდა, ვიქნებოდით რვიანში. ხელისუფლება წავა დათმობებზე მხოლოდ მაშინ, თუ დაინახავს ხალხის ძალას, ჩვენ სწორედ იმაზე ვმუშაობთ, რომ ხალხმა აჩვენოს თავისი ძალა ხელისუფლებას. ეს არის ჩვენი პოზიცია და ეს არის ჩვენი გზა. ხვეწნით და თხოვნით ამ ხელისუფლებისგან არაფერს ველოდებით. კიდევ ვიმეორებ, თუკი რვიანი მიაღწევს რაიმე დათმობას, ნებისმიერი დათმობა ხელისუფლების მხრიდან, ეს არის კარგი სწორედ მომავალი არჩევნებისთვის, იქნება ეს რევოლუციამდე თუ იქნება რევოლუციის შემდეგ.

***— რვიანში შემავალი პარტიები აცხადებენ, რომ ხელისუფლება დღეს ჩიხშია და დათმობებზე თუ არ წავლენ, საერთაშორისო საზოგადოება დაინახავს მათ ნამდვილ სახესო...***

— საერთაშორისო საზოგადოებამ ძალიან კარგად იცის ამ ხელისუფლების ნამდვილი სახე და ეს კარგად ჩანს უამრავი პუბლიკაციიდან, რაც დღეს იწერება უცხოეთში, განსხვავებით იმ პუბლიკაციებისგან, რომელიც 4-5 წლის წინ იწერებოდა. კი ბატონო, კიდევ ერთხელ გამოჩნდება, რომ ეს ხელისუფლება არ აპირებს სამართლიანი გარემო შექმნას და, შესაბამისად, არ აპირებს სამართლიანი არჩევნების ჩატარებას. რაც შეეხება სამართლიან საარჩევნო გარემოს, ამ შემთხვევაში იმდენად საკანონმდებლო ცვლილებები არ არის მნიშვნელოვანი, რამდენადაც ძალიან მარტივი გადაწყვეტილებები, რომ სუდი, კოდი, ფინანსური პოლიცია, ციხეების ადმინისტრაცია არ ერეოდეს არჩევნების შედეგში. თუ ეს მოხერხდება და საარჩევნო სიები დაზუსტდება, ამ შემთხვევაში ჩათვალეთ, რომ არჩევნები ჩატარდება ნორმალურად დღევანდელ სიტუაციაშიც. ეს ყველაფერი პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული და ეს ხელისუფლება არასდროს არ გააკეთებს იმას, რომ კუდი და სოდი არ ჩაერიონ არჩევნებში, თუ არ იქნება ძალიან ძლიერი წინააღმდეგობა ხალხის მხრიდან. თუ იქნება ძლიერი მუხტი, ძლიერი საზოგადოებრივი მოძრაობა, ამ შემთხვევაში ის კუდი და სოდიც იქნება დაშინებული და ყველა კონკრეტულ შემთხვევაში რამდენჯერ გაინძრევიან, იმდენჯერ მათ უნდა გასცე საკადრისი პასუხი და იმდენჯერ უნდა აჩვენო, რომ ამ ქვეყნის ბატონ-პატრონი არის ხალხი და არა ერთი მუჭა ნაძირალები, რომლებიც დღეს მართავენ ქვეყანას. ამ შემთხვევაში არჩევნები ჩატარდება სამართლიან გარემოში და სწორედ ამისთვის ვიბრძვით ჩვენ და არა სხვა რაღაცისთვის. თუ ეს არ იქნება მიღწეული, მაშინ ცხადია, რომ რევოლუციას ალტერნატივა არა აქვს.

***— თქვენ საუბრობდით, რომ ქართული პარტია გაზაფხულისთვის ახალი პროცესების დასაწყებად მზად იქნებოდა, რა ხდება დღეს ქართულ პარტიაში?***

— მივდივართ დასახული გეგმის შესრულებისკენ, პარტია შენდება. ვერ ვიტყვი, რომ დღეს იგივე მუხტია, რაც იყო 2007 ან 2009 წელს, თუმცა ხალხის განწყობა იცვლება ყოველდღიურად, თუ რა იქნება უახლოეს მომავალში, ამის განსაზღვრა ჯერ მიჭირს.

***— საუბარია იმის შესახებ, რომ თუ იქნება გამოსვლები, სააკაშვილი აუცილებლად წავა სისხლისღვრაზეო...***

— უკვე გამოჩნდა იგივე არაბული სამყაროს მაგალითებიდან, რომ ყველამ წააგო, ვინც წავიდა სისხლისღვრაზე და ვინც საკუთარ ხალხს დაუპირისპირდა. ეს ძალიან კარგი მაგალითია სააკაშვილისთვისაც და მისი გარემოცვისთვისაც. მსოფლიოც ამ შემთხვევაში დღეს მოიქცევა სხვანაირად, იმიტომ, რომ იგივე არაბული ქვეყნების მაგალითი ამ შემთხვევაში არის მსოფლიოსთვის კარგი გაკვეთილი. ჩვენ კარგად დავინახეთ, როგორ მოიქცა ევროპაც და ამერიკაც მაშინაც კი, როცა ხალხი მათი მოკავშირეების წინააღმდეგ გამოდიოდა.

***— რაც შეეხება ვადამდელ არჩევნებს, საუბარია, რომ პენსიების ზრდა 7 ლარით თუ ამ სოციალური ვაუჩერების დარიგება, სწორედ იმიტომ სჭირდება ხელისუფლებას, რომ შესაძლოა უახლოეს პერიოდში ვადამდელი არჩევნები დანიშნოსო...***

— ხელისუფლება დიდი ხანია საარჩევნო გარემოში მოქმედებს, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მათ გადაწყვეტილი აქვთ რაიმე თარიღი. ჩვენ არ გვჭირდება ვადამდელი არჩევნები, ჩვენ გვჭირდება არჩევნები ვადაში! არჩევნები ვადაში — ეს არის 2011 წლის ოქტომბერი, ამ შემთხვევაში გამოჩნდება ზუსტად, რისი თავი აქვს ხელისუფლებას. თუკი ხელისუფლება ნათლად განაცხადებს, რომ ის არ აპირებს ვადაში არჩევნების ჩატარებას, ანუ 2011 წლის ოქტომბერში, ეს ნიშნავს, რომ ხელისუფლება ახდენს ძალაუფლების უზურპაციას და ასეთ შემთხვევაში ხალხს აქვს სრული ლეგიტიმური უფლება, გამოხატოს პროტესტი და აქციების გზით შეცვალოს ხელისუფლება, ან ნებისმიერი გზით, რასაც ხალხი ჩათვლის საჭიროდ.

***— თქვენ ფიქრობთ, რომ სიტუაცია კულმინაციას შემოდგომით მიაღწევს?***

— მე ამ ეტაპზე რაიმე სახის პროგნოზებისგან თავს შევიკავებ. მე ვამბობ, რომ იურიდიულად ეს არჩევნები უნდა ჩატარდეს ოქტომბერში. მანამდე შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტი გადადგება ან პრეზიდენტი დაითხოვს. სხვა შემთხვევაში ეს იქნება კანონის დარღვევა. ეს არ არის დამოკიდებული იმაზე, არის თუ არა მზად რომელიმე ოპოზიციური პარტია ან ხელისუფლება ამ არჩევნებისთვის, ეს არის კონსტიტუციური მოთხოვნა და პირველ რიგში საჭიროა კანონი იყოს დაცული. მინდა გითხრათ, რომ ჩვენ მზად ვართ ამ გამოწვევისთვის. თუ არ იქნება არჩევნები, მაშინ მზად ვართ უფრო სხვა ტიპის აქციებისთვის.

***— თუმცა ხელისუფლებას საპარლამენტო არჩევნების ვადათ დათქმული აქვს 2012 წლის გაზაფხული...***

— ეს არის უკანონო, კანონიერი არჩევნები შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ და მხოლოდ 2011 წლის ოქტომბერში. ოქტომბრის შემდეგ პარლამენტის უფლებამოსილება არის მიტაცებული და პარლამენტი ხდება არალეგიტიმური. წელს, 1 ნოემბერს პარლამენტი უკვე იქნება არალეგიტიმური.

## ზურაბ ნოღაიდელი: სასამართლო ფეხებზე მკიდია!



ექსპრემიერი ზურაბ ნოღაიდელი სასამართლოს უწყებას, რომელიც მის წინააღმდეგ საქმის წარმოებაში მიღებას ატყობინებს, არ იბარებს.

უწყება „სამართლიანი საქართველოს" ლიდერს დღეს კურიერმა პარტიის ოფისშიც მიუტანა, რაზეც ხელი არავინ მოაწერა.

— ეს სასამართლო ფეხებზე მკიდია, სააკაშვილიც ფეხებზე მკიდია და ყველა ის ადამიანი ფეხებზე მკიდია, რომელიც უსამართლობაში მონაწილეობს, — განუცხადა ჟურნალისტებს ნოღაიდელმა და დასძინა, რომ ბევრად უფრო მძაფრი გამონათქვამებით მიმართა კურიერს, თუმცა ტელეკამერების წინ იგივეს გამეორება მიზანშეუწონლად მიაჩნია.

მისი განცხადებით, საქართველოში სასამართლო და მართლმსაჯულება არ არსებობს, ქვეყანაში არსებობს მხოლოდ რეჟიმი, რომელიც უნდა დაიშალოს.

რაც შეეხება მის ყოფილ თანაგუნდელებს, რომლებმაც სასამართლოს ყოფილი ლიდერის წინააღმდეგ მიმართეს, ნოღაიდელმა მათ „თვითმარქვია აგენტები" უწოდა და განაცხადა, რომ კანონით არაფერი ეკუთვნით.

„ინტერპრესნიუსი" დაუკავშირდა ზურაბ ნოღაიდელისგან გამიჯნულ სერგო ჯავახიძეს, რომელიც ახლა მოძრაობას „სამართლიანი საქართველოსთვის" ხელმძღვანელობს. ჯავახაძის მტკიცებით, უკვე აზრი აღარ აქვს ჩაიბარებს თუ არა ნოღაიდელი უწყებას, სასამართლო პროცესი მაინც დაინიშნება.

ყოფილმა თანაპარტიელებმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ორი სამოქალაქო სარჩელით მიმართეს. ერთი მოძრაობის დოკუმენტაციის, სიმბოლოკისა და ქონების ამოღებას, ხოლო მეორე — სახელფასო დავალიანებას ეხება.

**ინტერპრესნიუსი**



## ილია მეორე იაპონიის საელჩოში იმყოფებოდა

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II, იაპონიაში მომხდარ ტრაგიკულ მოვლენებთან დაკავშირებით, წმიდა სინოდის წევრებთან ერთად, თანაგრძნობის გამოსახატად იაპონიის საელჩოში იმყოფებოდა.

სამძიმრის წერილები ასევე გაეგზავნათ იაპონიის იმპერატორსა და იაპონიის ეკლესიის მეთაურს, მის უდიდებულესობას, იაპონიის იმპერატორ აკიხიტოს.

— ყველა მწუხარებით ადევნებს თვალს იმ მოვლენებს, რაც 11 მარტს მომხდარი მიწისძვრის შემდეგ იაპონიაში განვითარდა. ეს ტრაგედია მსოფლიო ტკივილად იქცა. მიიღეთ საქართველოს ეკლესიისა და პირადად ჩემი სამძიმარი და დიდი გულისტკივილი და გთხოვთ გადასცეთ იგი თქვენს მოსახლეობას. არ შემიძლია არ აღვნიშნო ის ფაქტიც, რომ იაპონიამ ამ დღეებში მსოფლიოს უჩვენა მაგალითი სიმტკიცისა, შინაგანი სიძლიერისა და ორგანიზებულობისა, მაგალითი იმისა, თუ როგორ ღირსეულად შეუძლიათ ამ ქვეყნის მკვიდრთ გაუძლონ ურთულეს პრობლემებს. ღმერთმა დალოცოს იაპონია და მისი მკვიდრნი. ღმერთმა მთელ მსოფლიოს მიანიჭოს მშვიდობა, — აღნიშნულია იაპონიის იმპერატორ აკიხიტოსადმი გაგზავნილ პატრიარქის წერილში.

ილია მეორის სახელით ანალოგიური შინაარსის წერილი მის მაღალყოვლადუსამღვდელოესობას, ტოკიოსა და სრულიად იაპონიის მიტროპოლიტ დანიელს გაეგზავნა.

**ინტერპრესნიუსი**

## ყველა ჯანმრთელი პოლიტიკური ძალა რეჟიმთან ბრძოლაში ერთიანი იქნება



„ქართული პარტია" მზად არის ითანამშრომლოს ნებისმიერ პოლიტიკურ ძალასთან, რომელიც საქართველოს მომავალს და განვითარების სცენარს მათსავით ხედავს, — ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს" პარტიის პოლიტიკურმა მდივანმა ეროსი კიწმარიშვილმა განუცხადა.

— ვხედავ შესაძლებლობას, რომ ხვალ ყველა ჯანმრთელი პოლიტიკური ძალა იქნება ერთიანი რეჟიმთან ბრძოლაში და ამ თვალსაზრისით, არც ერთი ტიპის არც ერთ ძალასთან ურთიერთობის პერსპექტივას არ გამოვრიცხავ, — აღნიშნა კიწმარიშვილმა.

მისი თქმით, „ქართული პარტია" საუბრობს იმაზე, რომ ძალიან სწრაფად უნდა საქართველოში ხელისუფლების შეცვლა და წარმატებული ქვეყნის აშენება, ამიტომ მიესალმება ყველა იმ პოლიტიკურ ძალას, რომლსაც მსგავსი პოზიცია გააჩნია.

რაც შეეხება „სახალხო კრების" წარმომადგენელების მიერ რევოლუციის აუცილებლობის შესახებ გუშინ გაკეთებულ განცხადებებს, როგორც კიწმარიშვილმა აღნიშნა, „ქართულ პარტიას" არ აინტერესებს ვინ რას აანონსებს.

— ჩვენ ვთქვით, რომ თუ სააკაშვილი არ მოვა ძალიან სწრაფად გონს, საქართველოში მოხდება ის, რაც ყველა ქვეყანაში ხდება — ავტორიტარულ რეჟიმს დაუპირისპირდება ხალხი. კონკრეტულ თარიღებთან დაკავშირებით მსგავსი არაფერი გვითქვამს, — განაცხადა მან.

კიწმარიშვილის თქმით, მათ არ იციან, ვინ რას აკეთებს ამ წუთის მონაცემებით და არც დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ასეთი ტიპის აქტივობას.

— ჩვენ აქტიურად ვმართავთ კონსულტაციებს პოლიტიკურ ძალებთან, რომელიც ამ ეტაპზე საჯარო ხასიათს არ ატარებს, — აღნიშნა მან.

**ინტერპრესნიუსი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24,
თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# 100 წიგნი — ადამიანები, რომლებმაც შეცვალეს მსოფლიო

ნათია ხურცილავა

21 მარტიდან გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად გაიყიდება პროექტის „ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო“ პირველი ტომი. გვესაუბრება ქართული ბიოგრაფიული ცენტრის დირექტორი ხათუნა მიქაბერიძე.

***— „ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო“ ამბიციური პროექტია. რამ გადაგაწყვეტინათ ამ პროექტის წამოწყება?***

— ეს ჩვენი ახალი პროექტის სლოგანია. მართლაც ამბიციური პროექტია. ის ადამიანები შევლენ ამ სერიაში, რომლებსაც ფუჭად არ უცხოვრიათ, რომელთა ცხოვრებამაც კაცობრიობის ისტორიას კვალი დაამჩნია. ჩვენი პირველი პროექტი იყო „ვინ ვინ არის საქართველოში“ — ბიოგრაფიული ცნობარი. ჩვენი პირდაპირი დანიშნულებაა, ამ ტიპის ლიტერატურა გამოვცეთ და მის პოპულარიზაციას შევუწყოთ ხელი. ეს არის ოთხწლიანი პროექტი. სერიაში 100 წიგნი შედის.

***— რამდენ ხანში ერთხელ გამოვა?***

— ორ კვირაში ერთხელ გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად გამოვა წიგნი. პირველი წიგნი იქნება მაჰათმა განდის ავტობიოგრაფია.

***— რატომ მაჰათმა განდი?***

— ის აღიარებულია, როგორც ათასწლეულის ადამიანი. მისი მთელი ცხოვრება არის ის, რაზეც თითოეულმა ადამიანმა უნდა იფიქროს. განდი ამ წიგნში ჭეშმარიტების ძიების გზას ადგას მკითხველთან ერთად. ეს ძალიან საინტერესოა.

***— ფიქრობთ, რომ ეს პროექტი საინტერესო იქნება ქართველი მკითხველისთვის?***

— უდავოდ იქნება. ჩვენ მსოფლიოს ნაწილი ვართ. მე მქონია შეხვედრები ახალგაზრდებთან, მათ მშობლებთან და ვიცი, რომ ამ სერიას ელოდებიან, რადგან აინტერესებთ, სურთ წაიკითხონ ასეთი ადამიანების ბიოგრაფია, მათი ცხოვრება. ადამიანების ნაწილს მხატვრულ ლიტერატურაზე უფრო მეტად ასეთი ლიტერატურა უყვარს. ადამიანი ცნობისმოყვარეა თავისი ბუნებით. მას ყოველთვის აინტერესებს მეორე ადამიანის ცხოვრება, მით უმეტეს, როცა საქმე ასეთ ადამიანებთან გვაქვს. ჩვენ აღმოვაჩენთ ამ არაჩვეულებრივი ადამიანების ცხოვრებაში, რომ ისინიც არ არიან თავისუფალი ჩვეულებრივი, ადამიანური თვისებებისგან. დარწმუნებული ვართ, ეს ყველაფერი საინტერესო იქნება ქართველი მკითხველისთვის. ჩვენ ვცდილობთ, დემოკრატიული ქვეყანა ავაშენოთ, სადაც ადამიანი ბედნიერი იქნება და სწორედ ახლაა საინტერესო ასეთი ადამიანების ცხოვრება. შეუძლებელია, განდი საინტერესო არ იყოს.

***— განდის მერე ვინ იქნება?***

— ფრანკოს ცხოვრება. ფრანკოს შემდეგ — ჩერჩილის ბიოგრაფია და მოღვაწეობა. ეს პროექტი მიეძღვნება იმ ადამიანებს, რომლებმაც თავიანთი ცხოვრებითა და არსებობით მსოფლიო შეცვალეს. დი-




დი ჩამონათვალია, საინტერესო სპექტრია ამ ადამიანებისა. იმედი გვაქვს, ახალგაზრდები დაინტერესდებიან და ჩვენც პატარა წვლილს შევიტანთ იმაში, რომ ახალგაზრდობა წიგნს მიუბრუნდეს. ყველა ადამიანს ეძლევა საშუალება, თვითონ შეაფასოს, რა იყო კარგი და რა — ცუდი. ეს ძალიან საინტერესო პროცესია.



***— თქვენ უკვე განაწყვეთ მკითხველი...***

— იმიტომ, რომ ეს მართლაც საინტერესოა. აქ საუბარი მხოლოდ მშრალ ბიოგრაფიაზე ხომ არ არის. საუბარია ამ ადამიანების თუნდაც სასიყვარულო ისტორიებზე, იმ სიძნელეებზე, რომლებიც ცხოვრებაში ჰქონდათ. საოცარია მათი გულწრფელობა, როგორ გამოაქვთ მთელი შინაგანი სამყარო მკითხველის წინაშე, სამსჯავროზე. არ ერიდებიან მათ სისუსტეებს, ნაკლს.

***— ხელოვნების წარმომადგენლების ბიოგრაფიები იქნება?***

— ყველა სფერო იქნება მოცული — მხატვრები, კომპოზიტორები, მუსიკოსები, ჰუმანისტები. ვცდილობთ, ყველაფერი ხარისხიანი იყოს. ხარისხიანი იყოს როგორც ლიტერატურა, ასევე პოლიგრაფიული დონე, რომელიც კარგად არის შესრულებული. წიგნი მაგარ ყდაშია ჩასმული, თან ახლავს კარგი ხარისხის შალითა. სამი წელია, რაც ამ პროექტზე ვმუშაობთ. კარგი მიგნებაა, „ახალ თაობასთან“ ერთად ჩავდოთ წიგნი, რომელიც ყველა ოჯახში უნდა იყოს. ეს იქნება ყველასთვის ხელმისაწვდომი. ჩვენ კარგი ურთიერთობა გვაქვს „ახალ თაობასთან“, მის სარედაქციო ჯგუფთან. 21 მარტიდან ვიწყებთ ამ ფორმით მიწოდებას მკითხველისთვის.

***— მოლოდინი გაქვთ, რომ ეს პროექტი გაამართლებს?***

— ვფიქრობთ და იმედი გვაქვს, რომ გაამართლებს. ინტერესი არის. ჩვენი ძველი მკითხველები გვირეკავენ, გვეკითხებიან ამ ახალი პროექტის შესახებ. ვინც მაჰათმა განდის წიგნი ნახა, ძალიან მოეწონა. მართლაც კარგი ნაშრომია მთარგმნელის, რედაქტორების, ასევე კარგად წასაკითხი ტექსტია. ნურავის შეეშინდება იმის, რომ სქელტანიანი წიგნია. სასიამოვნოდ იკითხება. ეს არ არის მხოლოდ ჩემი აზრი. მკითხველს ვპირდებით, რომ ასეთი იქნება ყველა მომდევნო წიგნი.

# ნინო ბურჯანაძე: „ამ ქვეყანას რევოლუცია სჭირდება!“

## 2 მაისიდან ბრ ოლა გადამწყვეტ ეტაპზე გადადის

ნათია ხურცილავა

**ნინო ბურჯანაძემ გუშინ ღიად დაადასტურა, რომ ამ ქვეყანას რევოლუცია სჭირდება, თუმცა, ზუსტი თარიღი არ გაცხადებულა, როდის დაიწყება საპროტესტო გამოსვლები.**

ცნობილია, რომ აღდგომის შემდეგ ნინო ბურჯანაძე და სახალხო კრების წარმომადგენლები რევოლუციისთვის იწყებენ მზადებას.

სახალხო კრებამ 25 ნოემბრის შემდეგ პირველი დიდი შეკრება გამართა.

— სამართალი მოდის! — ამ ლოზუნგის ქვეშ შეიკრიბნენ კალათბურთის სასახლეში სახალხო კრების მომხრეები. სავსე დარბაზში გამომსვლელებს, შეფიცულებთან ერთად, ახალგაზრდებიც უმაგრებდნენ ზურგს.

— სრულიად მობილიზებულია და მზად არის საქართველოს მასშტაბით შექმნილი სამოქალაქო წინააღმდეგობის 52 კომიტეტი. აღმასრულებელი საბჭო ყველა კომიტეტს, შეფიცულებს, ახალგაზრდებს აძლევს დავალებას, სრული მობილიზაცია გამოვაცხადოთ და ჩვენ ვიწყებთ ბრძოლის გადამწყვეტ, საბოლოო ეტაპს. ბრწყინვალე შვიდეულის დასრულებისთანავე მოქმედების კონკრეტულ გეგმას გამოვაცხადებთ. ამ დღისთვის მთელი საქართველო მზად უნდა იყოს. ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლებთ, სანამ საქართველოს ამ დანაშაულებრივი რეჟიმისგან არ გავათავისუფლებთ. ამ ბრძოლაში გავიმარჯვებთ! — აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილება შეკრებილებს ნონა გაფრინდაშვილმა გააცნო.

— სახალხო კრება ემზადება ამ ხელისუფლების გასაშვებად. ჩვენ გვინდა, ეს ხელისუფლება მშვიდობიანად წავიდეს. ჩვენი მხრიდან ამისთვის ყველაფერს გავაკეთებთ. შემდეგ უნდა ჩატარდეს საპრეზიდენტო არჩევნები და შემდეგ — საპარლამენტო არჩევნები იმისთვის, რომ ქვეყანას ნორმალური განვითარების შანსი გაუჩნდეს. რევოლუცია იქნება თუ არა, ეს ხელისუფლებაზეა დამოკიდებული. თუ ხელისუფლება მშვიდობიანად წავა, რევოლუციის აუცილებლობა არ იქნება. თუ იგნორირებას გაუკეთებს ჩვენი ხალხის ნებას, ამ შემთხვევაში მას ხალხი გაუშვებს და ამის ძალა ხალხს აქვს. 2 მაისიდან ბრძოლა გადამწყვეტ ეტაპზე გადადის. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ეს ხელისუფლება გავუშვათ. კონკრეტულ გეგმას 2 მაისს ვეტყვით საზოგადოებას, — განაცხადა პრესასთან ნინო ბურჯანაძემ.

ნინო ბურჯანაძე:

— ძალა ხალხშია. მიხარია, რომ დღეს აქ არიან ახალგაზრდები, რომელთათვისაც სულ ერთი არ არის, როგორ საქართველოში იცხოვრებენ, როგორც საქართველოში მოისმენენ კონცერტს თუ დაისვენებენ. ახალგაზრდების მოსვლა ამ შეკრებაზე ნიშნავს, რომ მათ უნდათ ერთიან, ძლიერ დემოკრატიულ საქართველოში ცხოვრება. დღეს ახალგაზრდები ჩვენ ზურგს გვიმაგრებენ, მაგრამ ამ ახალგაზრდებს წინ წარვუძღვებით და, თუ საჭირო იქნება, გადავეფარებით. ჩვენ უზრუნველვყოფთ იმას, რომ შეიცვალოს ეს ხელისუფლება და მოვიდეს ის ხელისუფლება, რომელიც არასოდეს დაუშვებს თავისი უპასუხისმგებლობით ახალგაზრდების წინასწარ წაგებულ ომში ჩართვას, რომელიც აღარასოდეს დაუშვებს უდანაშაულო ახალგაზრდების დაღუპვას. ვერანაირი დამპყრობელი ვერ გააჩუმებს ქართველ ხალხს, თუნდაც ეს იყოს წუთიერი დუმილი. სახალხო კრებას უამრავი ადამიანი კიდევ შემოუერთდება. დღეს სახალხო კრებაში ათიათასობით ადამიანია, მათ კი ასიათასობით ადამიანი უმარგებს ზურგს თავიანთი ხელმოწერებით. როდესაც მართალ სიტყვას მივიტანთ თითოეულ ოჯახამდე, ეს რიცხვი მილიონამდე გაიზრდება. არიან ადამიანები, რომლებსაც არ ეშინიათ, შიში გადალახეს. მათ იციან, რომ საშიშია მოხვდე ხელისუფლების სიაში, მაგრამ, თუ ამ შიშს გადალახავ, მოხვდები იმ სიაში, რასაც საქართველოსთვის მებრძოლთა სია ჰქვია. ამ სიაში ყოფნა ძალიან საპატიოა. გადალახეთ შიში და ერთად დადექით. ჩვენ ხალხის რაოდენობა გვჭირდება, რომ ვაიძულოთ ეს ხელისუფლება, უსისხლოდ, მშვიდობიანად წავიდეს. დიახ, ამ ქვეყანას დღეს, სამწუხაროდ, რევოლუცია სჭირდება. თუ სხვა გამოსავალს არ დაგვიტოვებენ, მზად ვართ ამისთვის, რა თქმა უნდა, მშვიდობიანად. არ ვაპირებთ თუნდაც დამნაშავე თანამოძმეზე ხელის აღმართვას, მაგრამ, თუ ვინმე გაბედავს და ჩვენზე ხელს აღმართავს, ძალიან მწარე პასუხს მიიღებს. ამ ბრძოლაში მარტო არ ვართ, მთელი მსოფლიო დაგვიდგება გვერდში, ისევე, როგორც ეგვიპტელ და ტუნისელ ხალხს. არასოდეს არის გვიან საკუთარი ქვეყნის სამსახურში ჩადგომა. დადექით თქვენი ხალხის გვერდით. მივმართავ პოლიციასა




და ჯარს: ემსახურეთ სამშობლოსა და ხალხს და არა ხელისუფლებას. დარწმუნებული ვარ, პატრული და ჯარი იქ დადგება, სადაც სამართალი იქნება. სამართალი მოდის სახალხო კრებით, საქართველოს მოსახლეობით. დღეს საქართველოში საბჭოთა კავშირია, დღეს საქართველოში ბოლშევიკები არიან ხელისუფლებაში. ამას ჩვენ არ შევეგუებით.

— სახალხო კრება — განახლებული ეროვნული მოძრაობა — ასეთი შეფასება გააკეთა თემურ შაშიაშვილმა.

— სახალხო კრება არის ის მექანიზმი, რომელმაც უნდა დაამთავროს საქართველოში ამ ხელისუფლების პარპაში! — ასეთი შეფასებები ისმოდა გამომსვლელების მხრიდან.

სახალხო კრების წარმომადგენელმა, რეჟისორმა რეზო ესაძემ, შეკრებილებს დაუჩოქა და მადლობა გადაუხადა.

რეზო ესაძემ შეკრებილებს მიმართა: —აღარ უნდა დამთავრდეს? ის ამბობს, რომ ამოწურულია, აღარ დარჩა სათქმელი სიტყვა.

**გელა ნიკოლაიშვილი, ადვოკატი:**

— 2003 წლის შემდეგ საქართველომ უკან გადადგა ნაბიჯი და ეს ფაქტია. რამდენ კვადრატულ კილომეტრს აკონტროლებდა არშემდგარი საქართველო 2004 წლამდე და რამდენს აკონტროლებს დღეს გაბრწყინებული საქართველოს გამარჯვებული ხელისუფლება? მიხეილ სააკაშვილის ქმედებაში აშკარად შეინიშნება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შემდეგი მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების ნიშნები: მუხლი 308, საქართველოს ტერიტორიული ხელშეუხებლობის დარღვევა, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 15-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთით. მუხლი 309, ანტიკონსტიტუციური ხელშეკრულების დადება ან მოლაპარაკების წარმოება, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 10-დან 15 წლამდე. მუხლი 310, საქართველოს საგარეო უშიშროების ხელყოფა, ისჯება თავისუფლების აღკვეთით 10-დან 15 წლამდე. საქართველოს თავდაცვისუნარიანობის ხელყოფა ისჯება თავისუფლების აღკვეთით 12-დან 20 წლამდე. საქართველოს პოლიტიკურ თანამდებობის პირზე თავდასხმა ისჯება თავისუფლების აღკვეთით 7-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთით.

თემურ შაშიაშვილი, მოძრაობა „თეთრების“ ლიდერი:

— 21-ე საუკუნის დასაწყისში ადამიანები შიმშილით იხოცებიან. დღეს გადამწყვეტი ბრძოლაა საქართველოს ღირსებისთვის. არ ვიცი კაცი ღირსეული, რომელიც სააკაშვილს თავის პრეზიდენტად თვლიდეს. ამიტომ არის კრება იმ ადამიანების ერთობა, რომლებსაც მიაჩნია, რომ საქართველოს არ შეიძლება ასეთი პრეზიდენტი ჰყავდეს. ეს არის ის გადაწყვეტილება, რომელიც მიიღო 25 ნოემბერს საქართველოს იმ დიდმა შეკრებამ, რომლითაც დავიწყეთ კრება. დღეს ერთ მილიონამდე ადამიანი შემოუერთდა სწორედ ამ გადაწყვეტილებას. არ შეიძლება, საქართველოს ჰყავდეს ასეთი ხელისუფლება, არ შეიძლება, საქართველოს პრეზიდენტი იყოს მიხეილ სააკაშვილი. ჩვენი მოძრაობის სათავეებთან დგას ჭაბუა ამირეჯიბი. ჩვენი ქვეყნის ტრაგედიაა ის, რომ საქართველოში სიკეთე გათითოკაცებულია და ბოროტება ერთ პოლიტიკურ მუშტად არის შეკრული. ამ პოლიტიკურ მუშტს „ნაციონალური მოძრაობა“ ჰქვია. საქართველოსთვის დღეს მთავარი უბედურებაა: გონებადაკარგული პოლიტიკა, ღირსებადაკარგული ხალხი, ხელისუფლება, რომელიც ქვეყნის გარედან იმართება და პოლიტიკოსი გარიგებაზე მიდის, რომელიც უნდა გაიყიდოს ქვეყნის გარეთ თუ ქვეყნის შიგნით. როდესაც გონება დაიკარგა პოლიტიკაში, ყველა გადაწყვეტილება ემოციით იქნა მიღებული. კრება აბრუნებს გონებას პოლიტიკაში. ხელისუფლებაში აგრესიული კაცი მოვიდა და ამან დაანგრია საქართველო. არ შეიძლება, ვინმე თავზე მოგვახვიოს თავისი ნება, ამერიკამ ან რუსეთმა. ჩვენ უნდა ავირჩიოთ ის, ვინც გვინდა. ქართველი ხალხის ღირსება იქნება ის, რომ არ დაუჭიროს არც ერთ პოლიტიკოსს მხარი, რომელიც გარედან იმართება. გარედან მართული კი ძალიან ბევრია.

## გრიგოლ ვაშაძე ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრს შეხვდა

ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრი, ეუთოს მოქმედი თავმჯდომარე აუდრინიუს აჟუბალისი საქართველოს შიდა დემოკრატიის წარმატებას ულოცავს. ამის შესახებ მან გუშინ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ გრიგოლ ვაშაძესთან შეხვედრის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მხარეებმა შეხვედრაზე ჟენევის მოლაპარაკებებსა და სამხრეთ კავკასიაში არსებულ სიტუაციაზე ისაუბრეს. აჟუბალისის თქმით, ეუთო ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის აღდგეს დიალოგი.

— ჟენევის მოლაპარაკებები არის ის გზა, რომლითაც მოლაპარაკებები უნდა გაგრძელდეს, ლიტვა ამ პროცესში აქტიურად არის ჩართული,— განაცხადა აუდრინიუს აჟუბალისმა და აღნიშნა, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის ნდობის განმტკიცება ძალიან მნიშვნელოვანია.

გრიოგოლ ვაშაძის თქმით, მხარეებმაშშეხვედრაზე იმ პროექტებზე ისაუბრეს, რომელიც ლიტვამ საქართველოში უნდა განახორციელოს. საუბარი შეეხო სამხრეთ კავკასიაში არსებულ ვითარებას და კონფლიქტებს.

— ლიტვას საპატიო მისია აქვს. ის არის ეუთო-ს მოქმედი თავმჯდომარე და მონაწილეოსბ იმ პროცესებში, რომელიც სამხრეთ კავკასიაში მიმდინარეობს. ის მედიატორის ფუნქციას ასრულებს,— განაცხადა ვაშაძემ.

მედიანიუსი

## მწვანეთა პარტია საქართველოს პარლამენტს მიმართავს

მწვანეთა პარტია საქართველოს პარლამენტს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის პროექტში ეკოლოგიური გამოწვევების„ დამატებით მიმართავს. მწვანეთა პარტიის თავმჯდომარის გიორგი გაჩეჩილაძის განცხადებით, ეკოლოგიური გამოწვევები„ გულისხმობს შემდეგს: იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო მდებარეობს სეისმურად აქტიურ ზონაში და მის ტერიტორიაზე გადის მნიშვნელოვანი სატრანზიტო გზები, უმნიშვნელოვანესია, ქვეყნის ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფა. სწორედ ამიტომ საქართველოში ბირთვული და რადიაციული ობიექტების, ბირთვული მასალების, რადიოაქტიული ნივთიერებებისა და გამოსხივების სხვა წყაროების გამოყენება დაშვებულია მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებისთვის. ამიტომ საქართველოს ტერიტორიაზე იკრძალება:. ბირთვული იარაღის ან სხვა ბირთვულ ასაფეთქებელ მოწყობილობათა ექსპორტ-იმპორტი, ტრანზიტი, რეექსპორტი, აგრეთვე მათი წარმოება, კვლევა, გამოცდა და ფლობა; ბირთვული ობიექტების მშენებლობა და ექსპლუატაცია; რადიაქტიული ნარჩენების შემოტანა გადამუშავების, გაუვნებელყოფის, შენახვის, დამარხვის ან ნებისმიერი სხვა მიზნით. მისი თქმით, ატომური სადგურის საქართველოში მშენებლობის ყოველგვარი მცდელობა, მათ მიერ განხილული იქნება, როგორც ქვეყნის წინააღმდეგ მიმართული აქტი, რადგან სეისმურად აქტიურ და პოლიტიკურად დაძაბულ რეგიონში, ამგვარი ობიექტების მშენებლობა, მოსახლეობას პოტენციური გენოციდის რისკის ქვეშ დააყენებს.

მედიანიუსი

# ოპოზიციას მინისტრების გადაყენების იმედი არა აქვს

## რა კითხვები აქვთ დეპუტატებს ვანო მერაბიშვილთან

ნანა მიშელაშვილი

**სამთავრობო კვირეულის დროს ოპოზიციამ შესა ლოა რომელიმე მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხი დასვას. ასეთი განწყობის მიუხედავად, უმცირესობის წევრებს მაინცდამაინც დიდი იმედი არა აქვთ, რომ ხელისუფლება ოპოზიციის მოთხოვნით რომელიმე მინისტრს თანამდებობას დაატოვებინებს.**

მინისტრების პარლამენტში მოსმენა და დებატები მომავალ კვირას გაიმართება. პარლამენტს მთელი მინისტრთა კაბინეტი ესტუმრება. მინისტრები დეპუტატების შეკითხვებს რიგიგობით გასცემენ პასუხს. პირველ და შემაჯამებელ სიტყვას მთავრობის მეთაური იტყვის, დანარჩენი მინისტრები კი საკუთარი პროფილის მიხედვით ისაუბრებენ.

პრემიერი ნიკა გილაური დეპუტატების წინაშე 22 მარტს გამოვა. ამის შემდეგ მოხსენებით ეკონომიკური გუნდის მინისტრები ვერა ქობალია და კახა ბაინდურაშვილი წარდგებიან. დეპუტატები ასევე მოუსმენენ სოფლის მეურნეობის მინისტრ ბაკურ კვეზერელს, განათლების მინისტრ დიმიტრი შაშკინს, ლტოლვილთა მინისტრ კობა სუბელიანს, ჯანდაცვის მინისტრ სანდრო ურუშაძეს, ენერგეტიკის მინისტრ ალექსანდრე ხეთაგურს, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრ რამაზ ნიკოლეიშვილს.

გუშინ პარლამენტს ნიკა გილაური სტუმრობდა. მან დავით ბაქრაძესთან დახურული შეხვედრა გამართა. შეხვედრას უმცირესობისა და უმრავლესობის ლიდერებიც ესწრებოდნენ. საუბრის ძირითადი თემა მინისტრების გამოსვლის გრაფიკი იყო.

საპარლამენტო უმცირესობის ლიდერი გიორგი თარგამაძე არ გამორიცხავს, რომ სამთავრობო კვირეულის დროს რომელიმე მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხიც დაისვას, თუმცა, რეაგირების იმედი არა აქვს.

გიორგი თარგამაძის განცხადებით, მთავრობა ძალიან სუსტია და დებატებისას მოსმენილი შენიშვნებით, შესაძლოა, ოდნავ მაინც პოზიტიური ზეგავლენა მოახდინონ იმ კურსის კორექტირებაზე, რომელიც მთავრობას აქვს.□ — თუკი ჟურნალისტები ელით იმას, რომ ჩვენ გვაქვს რაიმე მოლოდინი, თითქოს ჩვენ მიერ რომელიმე მინისტრის პასუხისმგებლობის დაყენებას მისი ავტომატურად გადადგომა მოჰყვება, სამწუხაროდ, ასეთ ქვეყანაში ჯერჯერობით არ ვცხოვრობთ, — უთხრა ჟურნალისტებს გიორგი თარგამაძემ.

უმცირესობის ლიდერი შეეცდება, სხვადასხვა უწყების ხელმძღვანელებისგან გაიგოს, თუ რატომ ვერ აკეთებს მთავრობა 2-3 თვიან პროგნოზებსაც კი იმ პრობლემებზე, რომლებიც ქვეყანაში შემდგომში ჩნდება.

— დებატებისას მთავრობას მოუწევს საჯაროდ ისეთი სახის პირობების თავის თავზე აღება, რომლის გადათქმაც ასე ადვილი არ იქნება. ამ შეპირებების აღსრულებაზე კი კონტროლი უნდა დაამყაროს პარლამენტმა. ახლა აქტუალურია უმუშევრობა ქვეყანაში, კრიზისი სოფლის მეურნეობაში, გაურკვევლობა ჯანდაცვის სისტემაში, დევნილების საკითხი, უწყლობა და ინფრასტრუქტურა სოფლად, ენერგოტარიფები, — განაცხადა გიორგი თარგამაძემ.

საპარლამენტო უმცირესობის ლიდერი ხელისუფლებას საზოგადოების ტყუილებით „გაბერვაშიც“ ადანაშაულებს.

გიორგი თარგამაძე გუშინ ეკონომიკური კუთხით მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ექსპერტებს შეხვდა. მათთან შეხვედრის წინ თარგამაძემ მთავრობის მისამართით საკუთარი მოსაზრება გამოთქვა. — საქართველოს მთავრობის ახალ-ახალი ინიციატივების მიუხედავად, ვითარება ქართულ ეკონომიკაში მძიმდება, ინვესტიციების რაოდენობა კლებულობს და ამ ეტაპზე მხოლოდ ტყუილებით „გვბერავენ“, მაგალითად, ტრამპის მსგავსი ისტორიით, თითქოს ეს ადამიანი 250 მილიონის ინვესტირებას აპირებდეს ჩვენს ქვეყანაში და იმავე საღამოს ირკვევა, რომ მსგავსი განზრახვა ამ პატიოსან კაცს საერთოდ არ ჰქონიათ — აღნიშნა გიორგი თარგამაძემ. ქრისტიან-დემოკრატების ლიდერის თქმით, მთავრობასთან საპარლამენტო დებატების დროს სწორედ აღნიშნულ პრობლემებზე აპირებენ საუბარს.

— ამ პრობლემებზე საუბარს ჩვენ ვაპირებთ საქართველოს მთავრობის წევრებთან. ჩვენი შიდაპარტიული დისკუსიის შედეგად ჩამოყალიბებული მიდგომები, რომლებიც საქართველოს ეკონომიკის მდგომარეობას აღწერს და აყალიბებს, რომელმაც ქვეყანა ეკონომიკური, სოციალური კრიზისიდან უნდა გამოიყვანოს, აუცილებელია შეჯერდეს ჩვენი საექსპერტო საზოგადოების წარმომადგენლებთან, — აღნიშნა უმცირესობის ლიდერმა. ქრისტიან-დემოკრატები მიმდინარე კვირას სამთავრობო დებატების მომზადებისთვის გამოიყენებენ და პოზიციებს ექსპერტებთან შეაჯერებენ. თავის მხრივ, დეპუტატებთან შესახვედრად მინისტრთა კაბინეტის წევრებიც ემზადებიან.

პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურის განცხადებით, მინისტრთა კაბინეტი მზად არის, დეპუტატების ნებისმიერ კითხვას პასუხი



გასცეს. — ძალიან მნიშვნელოვანია ასეთი პოლიტიკური დებატები. მინისტრთა კაბინეტი პარლამენტში სამთავრობო დებატებისთვის სრულიად მზად არის. ჩვენ ძალიან კონკრეტული გეგმა და გადაწყვეტილება გვაქვს მიღებული ყველა იმ პრობლემაზე, რომლებიც დღეს აინტერესებს პარლამენტსა და საზოგადოებას. მზად ვართ, პასუხი გავცეთ ყველა კითხვას, — აღნიშნა ნიკა გილაურმა ჟურნალისტებთან საუბრისას.

პრემიერმა ისიც განმარტა, რომ დავით ბაქრაძესთან გამართულ შეხვედრაზე პარლამენტში დაგეგმილი სამთავრობო დებატების გრაფიკი შეთანხმდა. — 22 მარტს დაიწყება დებატები. პირველი იქნება ჩემი გამოსვლა და მერე ამას მოჰყვება ეკონომიკური ბლოკის მინისტრების გამოსვლება, რომელიც გაგრძელდება რამდენიმე დღე და 25 მარტს შემაჯამებელი შეხვედრით დაიხურება, — აღნიშნა პრემიერმა.

გილაური დარწმუნებულია, რომ ძალიან ბევრი კითხვა დაგროვდა ამ პერიოდის განმავლობაში, რომლებსაც მთავრობა პასუხს გასცემს.

საპარლამენტო უმრავლესობა მინისტრებისგან არსებული პრობლემებისა და გამოწვევების მოგვარების გზებზე კონკრეტულ პასუხებს ელოდება. მმართველი პარტიის წევრები ხაზს უსვამენ, რომ პარლამენტი სამუშაო ვითარებაში გაარკვევს ყველა იმ საკითხს, რომლებიც საზოგადოებას აწუხებს. — უპრეცედენტო სამუშაო კვირა იქნება, რომელიც პარლამენტში გაიმართება. ერთი მხრივ, უამრავი პროგრამა და პროექტი არსებობს, რომლებზეც მთავრობა მუშაობს და ინფორმაცია ძალიან მწირია არათუ საზოგადოებაში, ასევე პარლამენტშიც. ამიტომ ჩვენ ძალიან დეტალურად გვინდა გავარკვიოთ და ჩავეკითხოთ ამ პროგრამების, მათი პერსპექტივების, განხორციელების ვადებისა და დაფინანსების წყაროების შესახებ, — განაცხადა პეტრე ცისკარიშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას.

ცნობილია, რომ პარლამენტში ძალოვანი მინისტრებიც მივლენ, თუმცა, მათი პარლამენტის სხდომაზე მოხსენებით გამოსვლა არ იგეგმება.

უმრავლესობის ლიდერ ცისკარიშვილის თქმით, იმ კვირაში ძალოვან მინისტრებს არ მოუსმენენ, რადგან ძირითადი აქცენტები სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებზე გაკეთდება, იმ თემებზე, რომლებიც ხალხს ყველაზე მეტად აწუხებს. — მოსმენები გაიმართება ეკონომიკური გუნდის მინისტრებთან, რადგან ეს არის თემები, რომლებიც ყველაზე მეტად აწუხებს ხალხს. ასევე დებატები დევნილებისა და განათლების საკითხებზეც გაიმართება, — აღნიშნა პეტრე ცისკარიშვილმა.

უმრავლესობის ლიდერის თქმით, მაშინ როდესაც როგორც საქართველოში, ასევე მთელ მსოფლიოში საზოგადოება ისეთი გამოწვევების წინაშე დგას, როგორებიც არის ინფლაცია, ფასების ზრდა პროდუქტებსა და ნავთობზე, გაცილებით მნიშვნელოვანია, ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაჭრის გზების შესახებ ინფორმაცია მიიღოს პარლამენტმა. — ძალიან ინტენსიური მუშაობა იქნება. დღეში, პრაქტიკულად, სამ მინისტრს უნდა მოვუსმინოთ. მთელი კვირა იქნება სამთავრობო კვირეული. უბრალოდ, არც ფიზიკურად რჩება იმის დრო, რომ ძალოვან სფეროზე გადავიდეთ და, მგონი, უფრო ნაყოფიერი და მნიშვნელოვანი იქნება, კონცენტრირება, ფოკუსირება მოვახდინოთ ეკონომიკურ და სოციალურ ნაწილზე, — განმარტა პეტრე ცისკარიშვილმა.

ამდენად, მმართველი პარტიის წარმომადგენლები ირწმუნებიან, რომ პარლამენტში ძალოვანი მინისტრები მივლენ. გუშინ გაირკვა, რომ დამოუკიდებელი დეპუტატების ნაწილს შეკითხვები შს მინისტრთან და პროკურატურის წარმომადგენლებთანაც აქვს.

„ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია პარლამენტში დაგეგმილ „სამთავრობო კვირეულის“ ფარგლებში შინაგან საქმეთა მინისტრ ვანო მერაბიშვილის მიწვევას ითხოვს.

ბაღათურიამ სპეციალური ბრიფინგი გამართა და განაცხადა, რომ პარლამენტში დაგეგმილი დებატები შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურის წარმომადგენლებთანაც უნდა გაიმართოს.

— ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელზეც კითხვები გვექნება, მედიაზე თავდასხმის ფაქტების გამოუძიებლობაა, — განაცხადა „ქართული დასის“ ლიდერმა.

ბაღათურიას მედიაზე საუბრისას კონკრეტული მაგალითები მოჰყავს, რომლებიც უკავშირდება ტელეკომპანიებს: „იმედს“, „თრიალეთს“, „რიონსა“ და „კავკასიას“.

— ტელეკომპანია „იმედზე“ თავდასხმის ფაქტი გამოძიებული არ არის. 2007 წლის 7 ნოემბერს „იმედში“ სპეცრაზმი შეიჭრა, დაარბიეს ტელეკომპანია, გაანადგურეს აპარატურა, სცემეს ჟურნალისტებს. ჟურნალისტების ერთი ნაწილი სამსახურიდან იქნა გაძევებული, მეორე ნაწილი — დაშინებული და დაშანტაჟებული, კიდევ ერთი ნაწილი — მოსყიდული და მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი, — აღნიშნა ჯონდი ბაღათურიამ.

ოპოზიციონერი დეპუტატის თქმით, 2007 წლის ნოემბერში ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ „იმედში“ სპეცრაზმის შეჭრის საფუძველი ის იყო, თითქოს „იმედი“ აპირებდა გადატრიალების მოწყობას. ბაღათურიას თქმით, 4 წელი გავიდა და გადატრიალების მოწყობის მუხლით საქმეც კი არ არის აღძრული.

— ჩვენ გვჭირდება საჯარო დებატები შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, პროკურატურასთან და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია მედიის თავისუფლება, ჟურნალისტებსა და ტელეკომპანიებზე თავდასხმის ფაქტების გამოძიება, — აღნიშნა ბაღათურიამ.

„ქართული დასის“ ლიდერი „თრიალეთის“ ჟურნალისტების ცემის ფაქტზეც საუბრობს და აღნიშნავს, რომ საქმე აღძრულია, თუმცა, გამოძიებული არ არის.

ბაღათურიას თქმით, ტელეკომპანია „იმედში“ შეჭრის გამო საქმე უნდა აღიძრას. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ეს საკითხი მთავრობასთან დებატების დროს არ გადაწყდა, მაშინ ბაღათურია პარლამენტში საგამოძიებო კომისიის შექმნას მოითხოვს.

— მინდა მივმართო პარლამენტის თავმჯდომარეს ბატონ დავით ბაქრაძეს, პრემიერ ნიკა გილაურსა და ყველა ჩემს კოლეგას, აუცილებლად გაიმართოს დებატები ძალოვან სტრუქტურებთან, სამართალდამცავ ორგანოებთან და პირველი საკითხი „ქართული დასის“ მოთხოვნით უნდა იყოს ტელეკომპანია „იმედში“ სპეცრაზმის შეჭრის, ჟურნალისტების დარბევისა და მოსყიდვის მცდელობის საკითხი, — აღნიშნა ჯონდი ბაღათურიამ.

„ქართული ლიდერის“ გარდა, საპარლამენტო ოპოზიციის არც ერთ სხვა წევრს არ უთქვამს, რომ ძალოვან მინისტრებთან შეკითხვები აქვთ. დასვამს თუ არა ბაღათურია შეკითხვებს და მიიღებს თუ არა დეპუტატი პასუხს, ეს რამდენიმე დღეში გაირკვევა.

პირველი სამთავრობო კვირეულის გამართვის შემდეგ გაირკვევა, კიდევ გაიმართება თუ არა პარლამენტში მსგავსი სამთავრობო კვირეული.

რამდენად საქმიანი და პრობლების მოგვარებაზე ორიენტირებული იქნება მინისტრების პარლამენტში გამოსვლა, ეს 22-25 მარტის სამთავრობო კვირეულის დროს გამოჩნდება. ამჟამად დეპუტატები და მინისტრები ერთმანეთთან შეხვედრის მოლოდინში არიან.

# რა გველოდება 19 მარტს?!

ეკა ირემაშვილი



**დედამიწა 19 მარტის მოლოდინშია. ამ დღეს ჩვენს პლანეტას მისი თანამგზავრი, მთვარე, მაქსიმალურად მოუახლოვდება, რაც, უცხოელი მეცნიერების ვარაუდით, უამრავ სტიქიურ უბედურებასა და ბუნებრივ კატასტროფებს გამოიწვევს. ამ მოსაზრებას არ ეთანხმებიან ქართველი მეცნიერები, ასტროლოგები და ასტროფიზიკოსები.**

19 მარტს მთვარესა და დედამიწას შორის მანძილი ბოლო 20 წლის განმავლობაში მაქსიმალურად მცირე იქნება და 356.000 კილომეტრს მიაღწევს. იაპონიის მიწისძვრამ დედამიწის ღერძი 17 სანტიმეტრით გადახარა, რამაც დღე-ღამის 1,8 მიკროწამით შემცირება გამოიწვია. სპეციალისტები განმარტავენ, რომ ყველა დიდი მიწისძვრა დედამიწის ღერძის გადახრას იწვევს, უკანასკნელ გადახრას კი არ შეიძლება რაიმე საგანგაშო შედეგები მოჰყვეს.

ემუქრება თუ არა დედამიწას სერიოზული საფრთხე, რამდენად საშიშია საქართველოსთვის იაპონიაში მომხდარი მიწისძვრა და მოაღწევს თუ არა ჩვენს ქვეყანამდე რადიაცია, ამის შესახებ „ახალ თაობას“ ასტროფიზიკოსი ჯუმბერ ლომინაძე და ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ესაუბრნენ.

**მიხეილ ცაგარელი, ასტროლოგი:**

***— ბატონო მიხეილ, რა ელოდება დედამიწას 19 მარტს?***

— 19 მარტი ნამდვილად მძიმე დღეა, რადგან არის სავსემთვარეობის დღე. ეს დღე ყოველთვის მძიმე ენერგეტიკული დღეა, რადგან კოსმიური ენერგია მოჭარბებული რაოდენობით შემოდის დედამიწაზე, ამიტომ ადამიანთა რეაქციები ამ ენერგიაზე არაადეკვატურია. ჩვენ ვიცით, რომ მთვარე ზეგავლენას ახდენს სითხეებზე, ამიტომ მისი მეშვეობით ხდება რადიკალური ცვლილებები ზღვებისა და ოკეანეების მიმოქცევაზე. ჩვენ ისიც ვიცით, რომ ადამიანის ორგანიზმის 80% შედგება სითხისგან, ე.ი. მას აქვს ძალიან დიდი ზეგავლენა ადამიანის ქვეცნობიერ სამყაროზე და მასში მიმდინარე პროცესებზეც. ასეთი დღე ყოველთვის დიდ გავლენას ახდენს გულსისხლძარღვთა დაავადებების მქონე ადამიანებზე. ამ დღეს განსაკუთრებით ფრთხილად უნდა იყვნენ ხანდაზმულები, გამოიჩინონ ყურადღება არტერიული წნევის მიმართ, შაკიკის ტენდენციამ შეიძლება მეტად იჩინოს თავი, ნერვული სისტემა სუსტდება და ამიტომ არის მომატებული რაოდენობა თვითმკვლელობისა და შიზოფრენიული მოვლენებისა, რომელიც ჩვენს საზოგადოებაში ამ ბოლო დროს საკმაოდ გახშირდა. განსაკუთრებით საგანგაშო ნამდვილად არაფერია.

***— მაშინ, რატომ გვაშინებენ?***

— ვინ გაშინებთ? არ ვიცი, რა ინტერესი აქვს საზოგადოებას, რატომ ხდება ასეთი რამ. ამ მოვლენისთვის საჭიროა გაფრთხილება, ყურადღების მიქცევა და ახსნა-განმარტება და არა პანიკური შიში. პანიკური შიში ნიშნავს იმას, რომ შიშის ენერგიას აქვს უნარი, დაგროვდეს და მოიზიდოს უარყოფითი ენერგია. იმ უარყოფითმა ენერგიამ შეიძლება შექმნას ისეთი კატაკლიზმი, რომელიც ჩვენ საერთოდ არც კი გვეწერა, მაგრამ ჩვენივე კოლექტიური შიშით მივიზიდოთ ის ეკოლოგიური კატაკლიზმები. სინამდვილეში ვერ ვხვდებით, რომ ჩვენმა შიშმა გამოიწვია ეს ყველაფერი.

***— გამოდის, ყველაფერს ჩვენვე ვართულებთ?***

— რა თქმა უნდა. ამ დროს საჭიროა ამ ყველაფრის სწორი გაგება და მოქმედება და არა პანიკური შიში. რადგან მთვარე გავლენას ახდენს უპირველესად ოკეანეებსა და ზღვებზე, პირველ რიგში ეს იწვევს გრავიტაციული ველის ცვლილებას, ეს კი თავისთავად იწვევს წყლის აწევა-დაწევას, ანუ მიქცევა-მოქცევას, ზოგან უფრო ძლიერად, ზოგან — უფრო სუსტად. ასეთი გავლენა წყალზე გამოიწვევს ტალღებს, რომლებიც ნაკლებად სახიფათოა პატარა რაოდენობის წყლებში.

***— ქართველებს საფრთხე არ გვემუქრება?***

— ამ მხრივ — არა. შავი ზღვის მიდამოებში შეიძლება ტალღები გაჩნდეს, მაგრამ არა ცუნამის სახის, თუმცა, იქ, სადაც არის ოკეანეები, არის გარკვეული ეკოლოგიური ხიფათის ტენდენცია, რასაც გრავიტაცია გამოიწვევს.

***— ეს გრავიტაციული ველი დედამიწის სიღრმეში მდებარე ქანებზე არ მოახდენს გავლენას?***

— რა თქმა უნდა. გრავიტაციული ველის დაჭიმვა და დაძაბვა შეიძლება გახდეს მიწისძვრის წინაპირობა.

***— საქართველოშიც მოხდება მიწისძვრა?***

— არა, ეს ყველაფერი საქართველოს ნაკლებად ეხება. ეს უფრო სხვა ქვეყნებს ეხებათ, მათ შორის, იაპონიასაც. ამ ქვეყნის ამბავი ჯერ დამთავრებული არ არის, იქ მიწისძვრები ალბათ გაგრძელდება კიდევ რაღაც პერიოდი. 19-მა მარტმა შესაძლოა თავისი უარყოფითი დაღი ისევ დაასვას იაპონიას, მით უმეტეს — ატომურ სადგურებს.

***— სადამდე გაგრძელდება ეს პროცესები?***

— ჩვენ, პირველ რიგში, უნდა ვიყოთ ძალიან ყურადღებით 18 მარტიდან. ეს უკვე სავსე მთვარის პერიოდია. 18, 19 და 20 მარტი ყველაზე რთული დღეებია. იცით, რატომ არის ეს პერიოდი რთული? გარდა სავსემთვარეობისა და მთვარის მოახლოებისა

გაგრძელება მე-6 გვერდზე

## შეიარაღებულ ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა რაოდენობა გაიზარდა



საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებულ ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა რაოდენობა 1286 წვევამდელიდან 3275 წვევამდელამდე გაიზარდა.

ამასთან დაკავშირებით ცვლილება „სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2011 წლის საგაზაფხულო გაწვევის შესახებ„ საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 14 იანვრის 23 ბრძანებულებაში შევიდა.

თავდაპირველად საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებულ ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა რაოდენობა 1286 წვევამდელი უნდა ყოფილიყო, თუმცა უკანასკნელი გადაწყვეტილებით, ეს ციფრი 3275 წვევამდელამდე გაიზარდა.

მოქალაქეთა საგაზაფხულო გაწვევა 20 იანვარს დაიწყო 1-ელ ივლისამდე გასტანს.

თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების გარდა, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების სასჯელაღსრულების დეპარტამენტის გარე დაცვის სამსახურში გასაწვევ მოქალაქეთა რაოდენობა 600 წვევამდელია; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებულ გასამხედროებულ დანაყოფებში გასაწვევ მოქალაქეთა რაოდენობა კი 1300 წვევამდელი.

**ინტერპრესნიუსი**




# ხელისუფლებას უნდა, რომ მოსახლეობა უწიგნური იყოს

## რატომ არ იზრდება საქართველოში პენსია

თეა მარხვაიძე

**ხელისუფლება გამუდმებით გვიმტკიცებს, რომ მომავალი თაობის განათლებაზე ზრუნავს. სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული გამოკითხვებით თუ ვიმსჯელებთ, საქართველოში ამ მხრივ სავალალო მდგომარეობაა. წიგნიერების თვალსაზრისით საქართველო აუტსაიდერების რიგებში აღმოჩნდა.**

პოეტ ჯანსუღ ჩარკვიანისთვის ეს შემაშფოთებელი ამბავია. ჩარკვიანი მიიჩნევს, რომ უწიგნური მოსახლეობა ხელისუფლებას აწყობს. რაში სჭირდება ხელისუფლებას უწიგნური და ღატაკი ადამიანები, რატომ ვართ ქართველები ყველაზე უბედურ დღეში, რა გამოკითხვა ჩაატარა ვაშინგტონში, ამ საკითხებზე ჯანსუღ ჩარკვიანი „ახალ თაობას" ესაუბრება,

**ჯანსუღ ჩარკვიანი:**

— ეს ამბავი სხვა დროსაც მომიყოლია და კიდევ ერთხელ გავიხსენებ. 1990 წელს კულტურის მინისტრ ვალერი ასათიანთან ერთად ვაშინგტონში ვიყავი, სადაც მსოფლიოს პოეზიის საღამო იმართებოდა. უნივერსიტეტის შენობაში რომ შევედით, რამდენიმე სტუდენტი გავაჩერე. მოვიყვანეთ ჩვენი თარჯიმანიც და ამ ბავშვებს პატარა გამოკითხვა ჩავუტარე. დავუსვი მხოლოდ ერთი შეკითხვა, ვინ არის შექსპირი? ექვსი სტუდენტიდან მხოლოდ ერთმა მიპასუხა, მწერალი იყოო. დანარჩენებს წარმოდგენა არ ჰქონდათ. ეს ახალგაზრდები მეორე-მესამე კურსის სტუდენტები იყვნენ.

***— ჩვენ ყველაფერში ამერიკას ვბაძავთ. იქნებ ამაშიც გვინდა რომ ამერიკას დავეწიოთ?***

— მე არ ვიცი, ახლა ჩვენ ვის ვემსგავსებით. ადრე ჩვენთან წიგნიერება რომ იყო, ამას ლაპარაკი რად უნდა. ყოფილ საბჭოთა კავშირში ჩვენ ვიყავით ყველაზე წიგნიერები. მაშინ წიგნს ყველა კითხულობდა. მახსოვს, ჯერ კიდევ პატარა ბიჭები ვიყავით, როცა გოგოების ჯინაზე ვკითხულობდით წიგნებს.

***— გოგონების ჯინაზე რატომ კითხულობდით?***

— გოგონებს უფრო უყვართ ხოლმე წიგნების კითხვა. ჩვენ არ გვინდოდა მათ ჩამოვრჩენილიყავით და ჯინაზე ჩვენც ვკითხულობდით. ახლა ასეთი რამე წარმოუდგენელია. წიგნის სიყვარულს მშობლები, ბებიები და ბაბუები გვინერგავდნენ. ლეჩხუმში ყოფნის დროს ბაბუამ გამომიტანა მიხეილ ჯავახიშვილის წიგნი „მართალი აბდულა". მითხრა, წაიკითხე, ოღონდ არავის არ უთხრა, ეს წიგნი ჩვენს სახლში რომ ინახებაო. მაშინ არ ვიცოდი, ჯავახიშვილი დაპატიმრებული რომ იყო. ან საიდან უნდა მცოდნოდა, სულ რაღაც ათი წლის ვიყავი. მეოთხე კლასში ვიყავი, „მთვარის მოტაცება" რომ წამაკითხა ვასასი ბებიამ, ყიფიანის ქალბატონმა. ბავშვებს ბებიამ, ბაბუამ, მშობლებმა უნდა ურჩიონ, წიგნი წაიკითხონ. როგორ შეიძლება უწიგნური კაცი იყო, ამ ქვეყანაზე ცხოვრობდე და ქართველო გერქვას. ჩემთვის წარმოუდგენელია, როგორ შეიძლება ახალგაზრდამ არ იცოდეს რუსთაველი ვინ იყო. შეიძლება „ვეფხისტყაოსანი" წაკითხული არ გქონდეს, მაგრამ საქართველოში თუ ცხოვრობ, უნდა იცოდე ვინაა რუსთაველი. ეს ჩემთვის მართლაც წარმოუდგენელი ამბავია, მაგრამ ეს ყველაფერი მიზანმიმართულად კეთდება.

***— მიზანმიმართულად რატომ?***

— ამ ხელისუფლებას ღატაკი და უწიგნური მოსახლეობა აწყობს. ბავშვებს წიგნის სიყვარულს უკარგავენ. პენსიონერებს კი პენსიას არ უზრდიან.

***— პენსიის გაზრდას ხომ დაგვპირდნენ?***

— რასაც ესენი აპირებენ, ეგ პენსიის გაზრდა არ არის. ესენი აპირებენ ათი ლარის დამატებას. ყველაფერი ისეთი გაძვირებულია, რომ ათ ლარს თუ დაამატებ, ამას პენსიის მომატება არ ჰქვია. თუ გაზრდა უნდათ, მაშინ 10 ლარი კი არ უნდა დაამატონ, არამედ საარსებო მინიმუმამდე გაზარდონ. ამას არ გააკეთებენ იმიტომ, რომ ქვეყანაში ღატაკი და მშიერი ხალხი სჭირდებათ. ასეთი ხალხის მართვა უფრო ადვილია, ისევე, როგორც უწიგნურის. ახლა ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ბავშვები იყვნენ უწიგნურები. უწიგნური ყველაფერს დაგიჯერებს, რასაც ზემოდან ჩასძახებ.

***— ბავშვების უწიგნურობას ხშირად იმით ხსნიან, რომ მშობლებს მათთვის წიგნის შესაძენი ფული არა აქვთ.***

— ეკონომიკური მდგომარეობა ბევრ რამეს განსაზღვრავს. თუმცა უწიგნურობა მარტო ამის ბრალი არ არის. შეიძლება ადამიანი მილიარდერი იყოს, მაგრამ უწიგნური. ეს იმ ამერიკელმა მილიარდელმა დაამტკიცა, რომელმაც თქვა, საქართველო ნომერ პირველია მსოფლიოშიო.

***— რომელ მილიარდელზე საუბრობთ, დონალდ ტრამპზე?***

— კი, ტრამპზე მოგახსენებთ. მან თქვა ის, რაც სააკაშვილმა ჩასძახა. ის წიგნიერი რომ ყოფილიყო, ამას არ იტყოდა. მახსოვს, ერთხელ მე და ნოდარ დუმბაძე მოვდივართ რუსთაველზე. ვხედავთ, ორი ბიჭი მოდის. ნოდარმა ხელი გამკრა და მითხრა, ეს ბიჭი დაუნიაო. მე ვუთხარი, რა დაუნი, იცი რა ინგლისური იცისთქო. მომიბრუნდა და მითხრა: „ჯანუკა, გადამრევ, ინგლისელი დაუნი არ გაგიგონია"-ო. ახლა იმას ფიქრობენ, ინგლისურს თუ ისწავლი, ყველაფერი ხარ. უცხო ენის სწავლა ძალიან კარგია, მაგრამ იმასაც გააჩნია, რისთვის სწავლობ ამ ინგლისურს. ჩვენთან ინგლისურზე ხელისუფლება ასეთ ყურადღებას ხომ გარკვეული მიზეზით ამახვილებს.

***— რა მიზეზით?***

— ამ ინგლისურით უნდა უარყონ რუსეთი და შეუძვრნენ ამერიკას. რუსეთი რომ დამპყრობელია, ამას მე ვინ მასწავლის, მაგრამ მის ჯინაზე არ შეიძლება ამერიკას შეუძვრე. სხვანაირად უნდა მოიქცე.

***— სხვანაირად როგორ?***

— უნდა ვიყოთ ლოიალური. უნდა ვიმოქმედოთ ჭკუით. ძალით ვერაფერს გავხდებით. იცით როგორ უნდა მოვიქცეთ, როგორც ზღაპრის გმირი, რომელმაც ჭყინტ ყველს წვენი გაადენინა, დევს კი ისე მოაჩვენა, თითქოს ქვას გაადენინა წვენი. საჭიროა დიპლომატია. ჩვენ დიპლომატია გვაკლია. გადავხედოთ რა ხდება იმ ქვეყნებში, რომლებიც ჩვენთან ერთად იყვნენ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. იმ თხუთმეტი რესპუბლიკიდან მხოლოდ ჩვენ გვეხაზება.

***— პრობლემები იმ ქვეყნებასაც ხომ ჰქონდათ და აქვთ?***

— პრობლემები ყველა ქვეყანას შეიძლება შეექმნას. ჩვენსავით იმ 15 რესპუბლიკიდან არც ერთს არ მოეხაზა. ყველა ჩვენზე კარგად არის. ყველას ჰქონდა პრობლემები, მაგრამ დიპლომატიის გზით შეძლეს მათი მოგვარება. ისინი პრობლემებს აგვარებენ, ვინმეს კი არ უძვრებიან. ჩვენ კი ან ერთს უნდა შევუძვრეთ, ან მეორეს. უნდა ვიყოთ ასე უბედურებაში და ვანგრიოთ ქვეყანა. ქვეყანა არ დაინგრევა თუ ხალხს სამუშაო და სარჩო ექნება. როცა არც სამუშაოა და არც ხელფასი, უბედური ხარ. როცა შენ უბედური ხარ, ხარ მონა. როცა უწიგნური ხარ, მაშინაც იქცევი მონად. მონების ქვეყანა ვართ დღეს. ამ მონების ქვეყანას ხელისუფლება მშვენივრად მართავს. ილია ჭავჭავაძემ თქვა თავის დროზე, ყველა ყრუი და ყველა ცრუიო. აი, ასეთია საქართველოს მოსახლეობის 70 პროცენტი. ეს არის დიდი უბედურება. რად უნდათ ამათ წიგნი. ბავშვებს კომპიუტერი შეტენეს, მხოლოდ და მხოლოდ წიგნის მაგივრად.



***— კომპიუტერით ხომ ბევრი რამის გაგება და სწავლა შეიძლება?***

— კომპიუტერით ბევრ რამეს გაიგებ, მაგრამ წიგნიერი არ იქნება. ახლა ჩვენი დედა ენა იქნება იაკობ გოგებაშვილის დედა ენის მიხედვით. შე დამანგრეველო, ყველა რაღაცას აკეთებს, შენ კი აშენებულსაც ანგრევ? ჩვენ ისტორიაში შევალთ, როგორც ძეგლების დამანგრეველი ქვეყანა.

***— ზემოთ თქვით, რომ ხან ერთთან ვართ შემძვრალები, ხან მეორესთანო. რატომ ხდება ასეა, რატომ არ შეგვიძლია დამოუკიდებლად ვიმოქმედოთ?***

— ეს ჩვენი უბედურების ბრალია. მთელი ჩვენი ცხოვრება ასე იყო. სულ ვიღაცისანი ვიყავით. მაშინაც კი, როცა დიდგორი მოვიგეთ. უდიდესმა პიროვნებამ, დავით აღმაშენებელმა ქართველთა ლაშქარს ყივჩაღები ჩაუყენა წინ, რათა ქართველი კაცის სისხლი უფრო მეტად არ დაღვრილიყო. ერთი კია, ის ყივჩაღები შემდეგ გაქართველდნენ. სამაგიეროდ, დღეს ქართველებს ეროვნულობა გვაკლია. მე ვთქვი, რომ ეროვნული დღევანდელი გაგებით ნიშნავს, რომ ერი დაყვანილია ნულამდე. სომხეთი არის სომხების, აზერბაიჯანი — აზერბაიჯანელების, ლიტვა — ლიტველების, ესტონეთი — ესტონელების. საქართველო ქართველების აღარ არის. როცა შენ ქართველი ხარ და საქართველო არა გაქვს, მაშინ წიგნიერება რაღად გინდა. ან რა გასაკვირია, თუ კონსტანტინე გამსახურდია მისი შვილიშვილი კოკო ჰგონიათ. ეს რომ ასეა, ჩვენი ბრალიც არის. მათ შორის ჩემიც. არადა, ხმალამოღებული ვიბრძვი ამდენი ხანია. სექტემბერში 80 წელი შემისრულდება, მაგრამ ვერ ჩავაგე ქარქაშში ხმალი. მთელი ჩემი ცხოვრება ვიბრძვი, რომ საქართველომ გაიმარჯვოს. როცა უწიგნურობა იქნება, საქართველო ვერ გაიმარჯვებს. ამათ არ უნდათ გამარჯვებული საქართველო. გამარჯვებული საქართველო ნიშნავს იმას, რომ შენ იყო თავისუფალი. თავისუფლება კი, როგორც დავწერე, ლომთა ხვედრია.

***— ჩვენ ლომები არა ვართ?***

— ჩვენ, სამწუხაროდ, ლომები არა ვართ. ჩვენ ვართ კურდღლები. კურდღლებს კი თავისუფლება არ ექნებათ. ამათ არც არწივი უყვართ და არც ლომი. შევარდენი ხომ არ უყვართ და არ უყვართ.

***— სამაგიეროდ მისი მეგობარი ჰეიდარ ალიევი უყვართ, თანაც ისე, რომ ძეგლებს უდგამენ.***

— მარტო ძეგლებს უდგამენ? მისი სახელობის ქუჩები, სანაპიროები და უნივერსიტეტები გვაქვს. მისი საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, თუ უნდათ, კიდევ დაუდგან ძეგლი. ოღონდ ვისთან ერთადაც გაიმარჯვა, იმას ნუ დატუქსავ. მაგრამ ჩვენ ხომ სხვანაირები ვართ. ერთი კაცის ჯინაზე მეორეს აღმოვაცენებთ. ეს არის ჩვენი უბედურება. ვისაც გვინდა, იმას შევიყვარებთ, ოღონდ კი ქართველი გვძულდეს. მართლა ეგრე არის. მთელს მსოფლიოში ციხე შიგნიდან ტყდება, მაგრამ მხოლოდ ქართველის ნათქვამია, ციხე შიგნიდან ტყდებაო. ასეთები ვართ და ვაღიაროთ. ილია რომ გყავს და ილიას მოკლავ, თქვი, ვინა ხარ? მერე გამოდი და იტრაბახე, ილიას მშობელი ერი ვარო. ილიას მკვლელიც რომ ხარ, ესეც უნდა თქვა. ვიდრე ბოროტების წინააღმდეგ დაიწყებ ბრძოლას, უნდა დაფიქრდე. ამ ბრძოლით უარესი ბოროტება არ ჩაიდინო. თუ საჭიროა, უკანაც უნდა დაიხიო. უკან დახევა ვაჟკაცების თვისებაა. ყველაფერი ისე უნდა გააკეთო, რომ შენი მეობა არ დაკარგო. ჩვენ მაშინ უფრო თავისუფლები ვიყავით, როცა იმ ავადსახსენებელ საბჭოთა კავშირში ვიყავით.

***— რატომ ვიყავით უფრო თავისუფლები?***

— სამწუხაროდ, ასეა. მე და ჩემი თაობა იმას ვწერდით, რაც გვინდოდა. წინააღმდეგობები მაშინაც იყო, მაგრამ მაინც იმას ვაკეთებდით, რაც გვინდოდა. დღეს კი საქართველო ქართველების აღარ არის. ერთმა კაცმა ოქროყანაში მიწები გაყიდა. მე ვკითხე, ვის მიყიდე თუ იცი-თქო. მითხრა, არაბიაო. მე ვუთხარი: შენ არ გაბია, თორემ მაგას კარგად აბია. ჩვენ მართლა არ გვაბია თავი. სხვანაირად შავ ზღვაზე თურქობა არ იქნებოდა. აქეთ გამოვალთ და ჯავაკხია. იმას თურქობა უნდა, იმას სომხობა. ჩვენ ვართ ასე გამოქლიავებულები. სანამ ერთობა არ იქნება, ვერ გავიმარჯვებთ.

# მოსახლეობის 60% უმუშევარია

## საკაშვილმა კი მათ ხარჯზე მოიწყო ცხოვრება

ნონა ცაბა ე

### ინტერვიუ ექსპერტ-კონფლიქტოლოგ პაატა ზაქარეიშვილთან

***— ბატონო პაატა, ჩვენი პრეზიდენტი ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფება ვიზიტით. თქვენი აზრით, რისი ჩვენება სურს ამით საკაშვილს, რომ ის დასავლეთში ისევ მიღებულია და ისევ მხარს უჭერენ?***

— რა თქმა უნდა, რაც უსუსურად გამოსდის, რადგან ეს არავის აღარ აინტერესებს. ალბათ გახსოვთ, როცა ვულკანების ამოფრქვევა იყო ევროპაში, საკაშვილი რამდენი ხნით იმყოფებოდა ამერიკაში, შემდეგ რუმინეთის პრეზიდენტს უნდა შეხვედროდა რუმინეთში, იმანაც გადაუდო შეხვედრა და დარჩა ამერიკაში. შემდეგ ჩავიდა კაჩინსკის დაკრძალვაზე. მოკლედ, როგორც უნდა, ისე იქცევა. აშკარად ჩანს, რომ საკაშვილი ქვეყანას არ მართავს და ეს უნდა დაიჯეროს ყველამ და რაც მთავარია, ვადაც კი არა აქვს განსაზღვრული, თუ როდის ჩამოვა, რამდენი ხნით წავიდა და ვის ხვდება. ანუ ეს არის, მისი ჟარგონი რომ ვიხმაროთ, მორიგი გაგულავება. აშკარად აჩვენებს ინვესტორებსაც და მსოფლიოში ტურისტებსაც კი, რომ საქართველო უინტერესო ქვეყანაა დასასვენებლად, იმიტომ, რომ საკაშვილი დასასვენებლად ყოველთვის სხვაგან მიდის. ხან ბოდრუმში იმალება, ხანაც კარიბის ქვეყნებში, ახლა ამერიკაშია. დარწმუნებული ვარ, ის უფრო მეტად ერთობა და ისვენებს, ვიდრე საქმეს აკეთებს. ვილაცას ტელევიზიით მისცემს ინტერვიუს და მერე ამაზე ტვინს ჭამენ „იმედი" და „რუსთავი 2". ეს არის ფუქსავატი და მუქთახორა ადამიანის ქცევა, როცა ქვეყნის ხარჯზე საკუთარ ცხოვრებას იწყობს. ძალიან საინტერესოა, ჟურნალისტები თუ გაერკვევით, რამხელა ამალა ჰყავს, რამდენი კაცი ჰყავს წაყვანილი, როგორ სასტუმროებში ცხოვრობენ და რა ჯდება ეს ყველაფერი. სიმართლე რომ გითხრათ, პირადად მე უკვე აღარ მაინტერესებს, სად იმყოფება საკაშვილი. ქვეყანაში უმძიმესი სოციალური ფონია და მან ამ დროს ქვეყნის ხარჯზე, ხალხის ხარჯზე, რომ იტყვიან, ცხოვრება მოიწყო.

***— რაც შეეხება მის შეხვედრას ტრამპთან, საუბარია, რომ ტრამპი პოლიტიკაში მოსასვლელად ემზადება და ეს ყველაფერი მის ინტერესებში შედიოდაო...***

— საკაშვილზე საუბრის შემდეგ ეს უკვე სერიოზული კითხვაა. ტრამპი არის ამერიკის რესპუბლიკური პარტიის ყველაზე რეაქციული ფრთის-ნეოკონსერვატიული ფრთის ერთ-ერთი გადმონაშთი, მე ასე ვიტყოდი. ბოლო გადმონაშთები ბუშისა და ჩეინის სახით ამერიკელმა ხალხმა უკვე დამარხა, როგორც საქართველოში იტყოდნენ, ჩარეცხეს და მაკკეინი და ტრამპი ჯერ კიდევ, როგორც წყალწაღებული ხავს ეკიდებოდაო, ისე არიან. მთელი ჩვენი ტრაგედია არის ის, რომ ნეოკონსერვატორები კიდევ ერთხელ ცდილობენ საქართველო ჩაითრიონ თავიანთ ავანტიურისტულ საქმიანობაში. ნეოკონსერვატიზმი როცა შეიქმნა რეიგანის დროს, ეს იყო სერიოზული იდეოლოგია, რომელმაც დამარხა და მართლა ჩარეცხა საბჭოთა კავშირი. მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირი მოსპო რეიგანის პოლიტიკამ პოლიტიკის რუკიდან, ნეოკონსერვატიული იდეოლოგია გახდა ანაქრონიზმი და გადმონაშთი ცივი ომისა. ეს ომი დღემდე რაღაცნაირად მოგორავდა, მოგორავდა და ბუშის პერიოდში უკვე ამერიკელებმა უთხრეს, რომ გვეყოფა, აუტანელია ვიყოთ მსოფლიოს ჟანდარმი, ყველას ველაპარაკებოდეთ ძალისა და კარნახის ენით. ჩვენ გვინდა ვიყოთ მსოფლიოს პარტნიორი და არა მსოფლიოს ჟანდარმი და ობამამ მსოფლიოს შესთავაზა გადატვირთვა და ვხედავთ, ეს რამდენად ეფექტურად ხდება, ის თავის მოკავშირეებსაც კი ხელს არ უწვდის, როცა ხედავს, რომ იქ მისი მოკავშირეები ავტორიტარიზმს და დიქტატურას ახორციელებენ დემოკრატიის ხარჯზე. ამ ფონზე, ერთადერთი, ვინც კიდევ ებღაუჭება ნეოკონსერვატიულ იდეოლოგიას, ეს არის საკაშვილი. საკაშვილს ჯანდაბამდე გზა ჰქონია, მაგრამ ქვეყანას ითრევს ამ ავანტიურასა და პროვოკაციაში, რასაც ამერიკის პოლიტიკის ეს გადმონაშთი სთავაზობს ამერიკელ ხალხს. მე იმედი მაქვს, რომ ტრამპი დამარცხდება.



***— ის პრეზიდენტობის კანდიდატობისთვის ემზადება?***

— როგორც ჩანს, ტრამპს აქვს ამბიციები რესპუბლიკურ პარტიაში წარმოადგინოს თავის თავი, როგორც პრეზიდენტობის მომავალი კანდიდატი, თუმცა იმედი მაქვს, რომ დამარცხდება და რესპუბლიკური პარტია არ დაუშვებს მას კანდიდატად და არ გაიყვანს ფინალში. იმედია, რომ ტრამპი ვერ გამოვა რესპუბლიკური პარტიის არტახებიდან. ყველაზე სამარცხვინო და საშინელება ის არის, წყალწაღებული საკაშვილი წყალწაღებულ ნეოკონსერვატორებს რომ ჩამოკიდებია. ის ჩვენს ქვეყანას როგორც იმიჯს ულახავს, ასევე პერსპექტივებს უსპობს.

***— ეს ყველაფერი ეწინააღმდეგება ობამას პოლიტიკას და ეს კიდევ ხომ არ გააფუჭებს ურთიერთობას ამ ორ ქვეყანას შორის? ობამას არც ისე ეპიტნავება დიდად საკაშვილი...***

— ობამას პოლიტიკა არის მკაფიო და ცალსახა — ვინც ხართ უნარიანი ქვეყნები, იყავით უნარიანი ქვეყნები. საკაშვილი ხომ ყველგან ამბობს, რომ ჩვენ ვართ წარმატებული სახელმწიფო, გვაქვს წარმატებული ეკონომიკა, ჰოდა, თუ ხარ წარმატებული, იყავი წარმატებულიო — გეუბნება. ხარ მდიდარი? — გადაუხადე ხალხს პენსიები. ხარ მდიდარი? — მოიზიდე ინვესტიციები. ისეთი კორუმპირებული სახელმწიფოებიც კი, როგორიც თურქეთი და ჩინეთია, ფანტასტიკურ ინვესტიციებს იწვევენ. იგივე ეგვიპტე, იგივე ტუნისი, ვნახეთ რამდენად კორუმპირებულები არიან, ლიბია რომ ლიბიაა, ეს მართლაც საშინელი დიქტატურა, იქაც კი უამრავი ინვესტიცია იყო ჩადებული. საქართველოში ინვესტიციებს არავინ არა დებს. ანუ კორუფცია თურმე არ ყოფილა წამყვანი ფაქტორი ინვესტიციების ჩადება — არჩადებისა. უნდა იყო მიმზიდველი და შენი რესურსები უნდა იყოს საინტერესო ინვესტორებისათვის. ინვესტორებს, ბოდიში და, სულ ფეხებზე ჰკიდიათ, დემოკრატი ხარ თუ კორუმპირებული. მისთვის მთავარია მისი ინვესტიციები იყოს დაცული. საქართველო კი არ არის საინტერესო. ყველა აღიარებს, რომ საქართველო არის რუსეთის გავლენის სფეროში. ჩვენი ეკონომიკაც კი მთლიანად რუსების ხელშია. ან რუსების მოკავშირეების ხელშია, როგორიც არის მაგალითად, ყაზახეთი, ანდა საეჭვო პირები, რომლებიც დაფიქსირებულები არიან ოხშორულ რეგიონებში. ამ ფონზე, რა თქმა უნდა, საქართველო უინტერესოა, გინდ იყავი კორუმპირებული და გინდ იყავი არაკორუმპირებული, არ მოდის ეს ინვესტიციები. ამ ფონზე კი საკაშვილი გაიძახის, წარმატებული ვარ, წარმატებულიო. ობამა ეუბნება, ხარ წარმატებული? — გადაუხადე ხალხს პენსია, გადაუხადე ხალხს ხელფასები, მიიზიდე ინვესტიციები და იყავი წარმატებული. იყავი ის ქვეყანა, რადაც შენს თავს აცხადებ.

***— თუ საკაშვილს დავუჯერებთ, ბიზნესის კეთებით თურმე მსოფლიოში პირველ ადგილზე ვყოფილვართ...***

— ჰოდა, მე ვერ ვხედავ ამ ბიზნესის კეთებას. თუ ვინმე ხედავს, კი ბატონო! მე ჯერ ვერ ვნახე გაზეთში ერთი განცხადებაც კი, რომ ვთავაზობ ხალხს სამუშაო ადგილს. არ დაწყებულა ბუმი სამუშაო ადგილებისა ქვეყანაში, პირიქით არის, კატასტროფული დონე უმუშევრობისა. ყველაზე მოკრძალებული გათვლებითაც კი, საქართველოში არის 60% უმუშევარი. ანუ იმ მუშახელისაგან, რომელსაც შეუძლია იშრომოს ქვეყანაში, 60%-ს აქვს მოთხოვნილება სამუშაოს შოვნის. ეს არის საშინელი ციფრი. მე არ ვიცი სხვა ქვეყნებში რა ხდება, მაგრამ დემოკრატიულ ქვეყნებში ასე არ ხდება. დემოკრატიულ ქვეყნებში თუ უმუშევრობა სცდება 9%-ს, ეს უკვე საგანგაშოა. ყველაზე ნორმალურია 7%, როგორც კი ორ ნიშნაზე გადადის უმუშევრობის მაჩვენებელი, ეს უკვე კატასტროფაა. ჩვენთან ხომ სტატისტიკა არ არსებობს, არავინ არაფერს არ აქვეყნებს, მაგრამ ეკონომისტები, რომლებიც მუდმივად აკვირდებიან ეკონომიკას, ამბობენ, რომ მინიმუმ 60% არის უმუშევრობა საქართველოში. მითხარით, რომელ წარმატებაზე შეიძლება იყოს ლაპარაკი?! ობამას აქვს მკაფიოდ გამოკვეთილი პოლიტიკა- მე არავის არ ვიმორჩილებ, არავის არ ვიყენებ არავის წინააღმდეგ. მაგალითად, როგორც ბუში იყენებდა საქართველოს, როგორც ტრამპი გამოიყენებს საქართველოს რუსეთის წინააღმდეგ, ღმერთმა დაგვიფაროს და თუ ის ხელისუფლებაში მოვიდა. ობამა კი ამბობს, მე არავის არ ვიყენებ. მე ვუშვებ ყველას — ჭიაყელას მიწაში ვუშვებ და თევზს წყალში და როგორც უნდა, ისე იარსებონ, თუ შენ გაქვს პრეტენზია, რომ წარმატებული სახელმწიფო ხარ.

***— რამდენი წელია ასდოლარიან პენსიაზე საუბრობენ და ას ლარამდეც ვერ გაზარდეს პენსია...***

— ჯერ კიდევ ჟვანია ოპოზიციაში იყო, როცა მოახერხა ჟვანია-საკაშვილის ტანდემმა პარლამენტში შევარდნაძის წინააღმდეგ ასდოლარიანი პენსია მიეღოთ, როგორც საფუძველი პენსიის რეფორმისა. ჟვანია უკვე დიდი ხანია პარლამენტში კი არა საერთოდ ამ ქვეყნად აღარ არის, ასდოლარიანი პენსია კი ჯერ კიდევ სალაპარაკოა.

***— სექტემბრიდან გავზრდი 7 ლარითო და ალბათ ესეც სათუოა...***

— და რატო სექტემბრიდან? იმიტომ, რომ ეშინიათ ხალხის გამოსვლის და ამით ყიდულობენ ხალხს. პენსიონერებს რომ ცოტა ჭკუა ეყოთ, 7 ლარი იქნება თუ რამდენიც იქნება, ამაზე არ წამოეგონ, იმიტომ, რომ თუ პენსია მიბმული არ იქნება ცხოვრების მინიმუმის კალათას, ასი კი არა, ორასი ლარი არ უშველით. იმიტომ, რომ რამდენსაც გაუზრდიან პენსიას, იმდენი გაიზრდება ფასები. პენსია 100 და 200 ლარი კი არ უნდა იყოს, პენსია უნდა იყოს მიბმული, კოლორაცია უნდა ხდებოდეს ცხოვრების მინიმუმზე. აქედან უნდა იწყებოდეს პენსია, შესაბამისად შეიძლება 70 ლარი საკმარისი იყოს და შეიძლება 500 ლარი საკმარისი არ იყოს. პენსიონერები დაფიქრდნენ ცოტა, რას სთავაზობენ და რა უფსკრულში ასრიალებს, ანუ უფსკრულისკენ კრავს ხელს საკაშვილი. ასე უაზროდ და უაპელაციოდ პენსიის გაზრდა მხოლოდ მათი ცხოვრების გაუარესებას გამოიწვევს.

***— თქვენ იკითხეთ, რატომ სექტემბრიდანო, იმიტომ ხომ არა, რომ არჩევნებს უმიზნებს საკაშვილი?***

— როგორც წესი, საქართველოში საზოგადოება შემოდგომაზეა ხოლმე აქტიური და მას ეშინია შემოდგომაზე ოპოზიციის ნაწილმა არ მოახერხოს სოციალურ ნიადაგზე გამოსვლები, ამიტომ ის ცდილობს ამ ფორმით დააცხროს ტემპერატურა. ეს ყველაფერი კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რამდენად არამდგრადია ქვეყანაში ეკონომიკა და არამდგრადია პოლიტიკა იმიტომ, რომ სექტემბერში პენსიების გაზრდა არ იყო ჩადებული ბიუჯეტში. ჩანს, რომ ეს საკაშვილის პოლიტიკური გადაწყვეტილებაა და არაფერი საერთო ეკონომიკასთან არა აქვს. ეს არის კიდევ ერთი ნიშანი იმისა, რომ კატასტროფისკენ მიჰყავს ქვეყანა. როცა ბიუჯეტს ღებულობდნენ 2010 წლის ბოლოს, იქ არ იყო ჩადებული 2011 წლის სექტემბერში პენსიების გაზრდა. ეგვიპტის მოვლენების შემდეგ მიხვდა, რომ შეიძლება ამ ზარმა მასაც დაურეკოს და ამიტომ იძულებულია ასეთი არაპოლიტიკურად გაუმართლებელი ნაბიჯი გადადგას.

***— არჩევნები ვახსენეთ და საუბარია იმის შესახებ, რომ ოპოზიციური რვიანის მოლაპარაკებები ხელისუფლებასთან ჩიხში შევიდა და ხელისუფლება უარს ამბობს რეალურად გააუმჯობესოს საარჩევნო გარემოო...***

— ჰოდა, მაგაშია საქმე. ეს მოლაპარაკებები რომ არ ყოფილიყო, ხომ არ გამოაშკარავდებოდა ხელისუფლების სახე? ამიტომ, ჩიხში თუ შევიდა, მე მგონი, ჯერ კიდევ არ შესულა ჩიხში და ჯერ კიდევ არის რესურსები დიალოგისა, მაგრამ ჩიხში შესვლაც არის შედეგი. საზოგადოება უნდა მიხვდეს, რა ხელისუფლებასთან აქვს საქმე. როცა ხელისუფლება ამბობს, რომ არ მოდიან, არ მოდიან დიალოგზეო და არ მიდიოდა ოპოზიცია დიალოგზე, მაშინ ხელისუფლება იყო ინიციატორი პროცესებისა. ახლა მოპასუხე მხარე ხვდება. ოპოზიციის ნაწილი მიდის დიალოგზე და ხელისუფლება მუდმივად უკან იხევს და მუდმივად თვალთმაქცობს. ეს მოლაპარაკებები აუცილებელია, რათა ნებისმიერი შედეგი შედეგი იქნება, დადებითიც და უარყოფითიც. მე არა მაქვს იმის ილუზია, რომ ხელისუფლება ყველაფრის დათმობებზე წამოვა, მაგრამ იმის იმედი მაქვს, რომ საზოგადოება მიხვდება, როგორ ხელისუფლებასთან გვაქვს საქმე. მე საუბარი მაქვს იმ 25%-ზე, ვინც ჯერ კიდევ ხმას აძლევს საკაშვილს და მომავალს უსპობს მის შვილს და შვილიშვილს. მათ დღევანდელი კვერცხი ურჩევნიათ ხვალინდელ ქათამს. ეს მოლაპარაკებები ნებისმიერ შემთხვევაში ბოლომდე უნდა მიიყვანოს ოპოზიციამ და არავითარ შემთხვევაში თვითონ არ უნდა გამოვიდეს მოლაპარაკების პროცესიდან, არავითარ შემთხვევაში! ამით უნდა აიძულოს ხელისუფლება, არაადეკვატური ნაბიჯები გადადგას და დაანახოს მსოფლიოს, რომ ის არ არის დემოკრატიული ხელისუფლება, რასაც დღემდე ჰყიდის მსოფლიოში.

„%!!

# რა გველოდება 19 მარტს?!

დასაწყისი მე-4 გვერდზე

დედამიწასთან, არის სხვა მოვლენები, რომლებიც აუცილებლად გასათვალისწინებელია. 21 რიცხვში ჩვენ გვაქვს გაზაფხულის ბუნიობა, ანუ დღეღამტოლობა, მზე გადადის თევზების ზოდიაქოს ნიშნიდან ვერძის ზოდიაქოში, ანუ იწყება ახალი ასტროლოგიური წელიწადი. ასეთი გადასვლა ენერგიებისა ყოველთვის საკმაოდ რთულია. ეს კიდევ ერთი მოვლენაა, რომელიც შექმნის კატაკლიზმებს, არა მარტო ბუნებრივ კატაკლიზმებს, არამედ ეს ყველაფერი უარყოფით დაღს ასვამს ადამიანის ფსიქოლოგიასაც. ამ ყველაფრის შედეგად ტრავმულობა, ავარიულობა მატულობს, ექმნება პრობლემები ყველას და ყველაფერს, ანუ ეს არის გარკვეული კოსმიური გამოცდის პერიოდი, რომელიც გასტანს 10 აპრილამდე. ეს რთული ნეგატიური ზონაა, რომელსაც უნდა გავუძლოთ. აქ საჭიროა თავდაცვა, უფრო მშვიდ ცხოვრებაზე გადასვლა, ლოცვის გაძლიერება. მე ვიცი, რომ ეკლესია იყენებს სპეციალურ ლოცვებს, რომელიც ეკოლოგიური კატაკლიზმების საწინააღმდეგოდ არის მიმართული. მაქსიმალურად შეინარჩუნეთ სულიერი სიმშვიდე, რადგან ფორიაქი და პანიკური შიში კარგს არაფერს მოგვიტანს. ის ფაქტი, რომ საქართველოს რაღაც საშინელება ემუქრება, არ არის მართალი.



***— ბოლო მიწისძვრამ დედამიწის ღერძი 17 სანტიმეტრით გადახარა. არც ეს არის საშიში?***

— არც ეს არის პრობლემა, ნებისმიერი კატაკლიზმების დროს დედამიწის ღერძი იხრება და შემდეგ დროთა განმავლობაში ისევ ბრუნდება თავის ნორმალურ მდგომარეობაში. ეს არის აბსოლუტურად ნომრალური მოვლენები — კატაკლიზმები დედამიწაზე ყოველთვის იყო, არის და იარსებებს. ამ დროს საჭიროა მეტი სიფრთხილე. ყველას მოვუწოდებ, ნუ დავაგროვებთ ზედმეტ შიშის ენერგიას, რათა არ მივიზიდოთ მეტად ეს ნეგატიური კატაკლიზმური ენერგიები.

**ჯუმბერ ლომინაძე, ასტროფიზიკოსი:**

— ის, რომ დედამიწაზე არნახული კატასტროფები მოხდება, ზღაპარია. არაფერი საგანგაშო არ გველოდება. მთვარის დედამიწასთან ასეთი მოახლოება ადრეც ყოფილა. ამ მოვლენას არ მოჰყვება ბუნებრივი კატაკლიზმები. ადამიანებს სურთ, რომ დაუჯერებელიც დაიჯერონ. ნასამ გააკეთა ძალიან სერიოზული განცხადება, არავითარი საფრთხე არ გვემუქრება, ამიტომ, ყველას მოვუწოდებ, პარასკევს მშვიდად დაიძინეთ.

***— რამდენად საშიშია დედამიწასთან მაქსიმალურად მოახლოებული მთვარე?***

— ეს აურზაური სულ ტყუილად ატყდა. არაფერი საგანგაშო არ არის. საფრთხე რომ ყოფილიყო, მაშინ ამერიკელები ასე ჩუმად არ იქნებოდნენ. მთვარე რომ დედამიწას მოშორდეს, ესეც კატასტროფა იქნება. მთვარე ჩვენი თანამგზავრია და მას დედამიწაზე დიდი გავლენა აქვს.

***— მიწისძვრა, ცუნამი, ვულკანის გაღვიძება, საფრთხე ატომურ სადგურებზე — როგორ შეიძლება გაგრძელდეს ეს ყველაფერი?***

— ბევრს ჰგონია, რომ რადიაცია დაგვხოცავს ყველას. ქართველები უკვე შეშინებული არიან. გამორიცხულია, საქართველომდე რადიაციამ მოაღწიოს. საერთოდ, რადიაციის გავრცელება დამოკიდებულია ქარის მიმართულებაზე. ყველას ვურჩევ, დამშვიდდეს, საშიში არაფერია.

***— იქნებ უარი გვეთქვა ბირთვულ რეაქტორზე?***

— ალბათ, იაპონიაში განვითარებული მოვლენების შემდეგ ამ საკითხზე მთელი მსოფლიო სერიოზულად დაფიქრდება. ჩემი აზრით, ამაზე უარის თქმა არ შეიძლება. რა მნიშვნელობა აქვს, რა მოგვკლავს — ენერგეტიკული შიმშილი თუ რადიაცია? ბირთვულ ენერგიას აქვს მომავალი, ურანი ბევრია, მაგრამ, სამწუხაროდ, ძალიან საშიში. ეს ძალიან რთული პრობლემაა, რომელიც მთელ კაცობრიობას ეხება.

***— ჩილეს მიწისძვრამ დედამიწის ღერძი გადახარა 7 სანტიმეტრით, იაპონიის მიწისძვრამ კი — 17 სანტიმეტრით. რამდენად საშიშია ეს ჩვენი პლანეტისთვის?***

— ადრეც ხდებოდა მსგავსი მიწისძვრები, მაგრამ არ იზომებოდა. ახლა მეცნიერება ისე განვითარდა, რომ ყველაფერი ზუსტად და დეტალურად იზომება. ღერძის 10-15 სანტიმეტრით გადახრა რეალურად დედამიწას არაფერს ავნებს. უბრალოდ, ამ გადახრის წყალობით ცოტა სწრაფად დატრიალდება დედამიწა.

***— დღე-ღამის 1,8 მიკროწამით შემცირება რას მოუტანს დედამიწას?***

— განსაკუთრებულს არაფერს. დამშვიდდით. სერიოზული არაფერია.

***— იაპონიაში ბიძგები ისევ გრძელდება. კიდევ რამდენ ხანს გაგრძელდება ეს ყველაფერი?***

— ძლიერი მიწისძვრის შემდეგ ყოველთვის არის მცირე ბიძგები, მაგრამ დიდი სიმძლავრის ბიძგები მოსალოდნელი აღარ არის.

***— საქართველოს თუ ემუქრება მძლავრი მიწისძვრა?***

— ყველას ვურჩევ, წინასწარ არ ინერვიულონ, წყნარად იძინონ. ღმერთმა დაგვიფაროს, დედამიწაზე გლობალური კატასტროფა მოხდეს. 19 მარტს არაფერიც არ იქნება.

# ბაიდენმა რუსებს „გადატვირთვის“ შინაარსი განუმარტა

გერა მამულაშვილი

**აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტის მოსკოვში პირველ ვიზიტს დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ჯოზეფ ბაიდენმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ შეერთებულ შტატებსა და რუსეთს საქართველოს ტერიტორიულ საზღვრებთან დაკავშირებით განსხვავებული პოზიციები აქვთ. ბაიდენი ხაზს უსვამს, რომ მის მიერ გაჟღერებული „გადატვირთვის“ პოლიტიკა არ განხორციელდება ისეთი მოკავშირეების ხარჯზე, როგორებიც არიან პოლონეთი, ბალტიის ქვეყნები და საქართველო.**

ვიცე-პრეზიდენტის განცხადებები მნიშვნელობას იძენს იმ ფონზე, როდესაც მოსკოვი აგრძელებს საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციას. აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში რუსი დამპყრობლების რიცხოვნობა ლამის ყოველდღიურად იზრდება. კრემლში კი ცინიკურად იმეორებენ, რომ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას აღიარებენ, მხოლოდ „2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომი რეალობის გათვალისწინებით“.

ეს „რეალობა“ დანარჩენი მსოფლიოსთვის მიუღებელია და ისინი რუსულ მხარეს ოკუპაციის შეწყვეტისკენ მოუწოდებენ. ამ თვალსაზრისით კი ვიცე-პრეზიდენტი ბაიდენი თავიდანვე მყარი პოზიციით გამოირჩეოდა. მან საქართველოს მიმართ ნათელი მხარდაჭერა ჯერ კიდევ მაშინ გამოხატა, როდესაც ომისშემდგომ დღეებში ვიცეპრეზიდენტობის კანდიდატის რანგში თბილისს ეწვია.

შემდგომში უკვე არჩეულმა ვიცე-პრეზიდენტმა კვლავ თბილისიდან რუსეთს მოუწოდა, უკან წაიღოს თავისი უკანონო გადაწყვეტილებები და პატივი სცეს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. სამწუხაროდ, მოსკოვს ამ განცხადებებზე რეაგირება არ მოუხდენია. როდემდე გაგრძელდება კრემლის მხრიდან საერთაშორისო აზრის სრული იგნორირება, ამის თქმა რთულია.

მანამდე კი, ჯოზეფ ბაიდენმა საკუთარი პოზიცია უკვე რუსეთის დედაქალაქში გაიმეორა. პრეზიდენტ მედვედევს და პრემიერ პუტინს ის რიგრიგობით შეხვდა. მან შეხვედრები რუსეთის ოპოზიციურ ძალებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთანაც გამართა.

სააგენტო იტარ-ტასთან ინტერვიუში ბაიდენმა განაცხადა, რომ ვაშინგტონის და მოსკოვის ურთიერთობის „გადატვირთვა“ ხელს შეუწყობს ევროპაში უსაფრთხოების განმტკიცებას, თუმცა „აშშ-მა არაერთხელ დაადასტურა, რომ გაუმჯობესება არ უნდა მოხდეს პოლონეთთან, ბალტიისპირეთის ქვეყნებსა და საქართველოსთან ურთიერთობის ხარჯზე“.



ბაიდენმა აშშ-ისა და რუსეთის უთანხმოების ერთ-ერთ საგნად კვლავ დაასახელა საქართველოს ტერიტორიული საზღვრები, თუმცა, ვიცე-პრეზიდენტის განცხადებით, ამ და სხვა რთულ საკითხებზე პირდაპირი საუბრის და მუშაობის პარალელურად შესაძლებელია თანამშრომლობის განვითარება სხვა სფეროებში.

იტარ-ტასის შეკითხვას, რამდენად აქვს რუსეთს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში წლის ბოლომდე გაწევრიანების პერსპექტივა, ჯო ბაიდენმა უპასუხა, რომ ვაშინგტონი რუსეთის მთავრობის ამ ძალისხმევას მხარს უჭერს, მაგრამ აშშ ერთ-ერთია ორგანიზაციის იმ 153 წევრიდან, რომლებთანაც მოსკოვი უნდა შეთანხმდეს:

— თუ რუსეთის მთავრობა მათთან მოლაპარაკების დროსაც მიზანსწრაფულობას გამოიჩენს, ეჭვი არ მეპარება, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებას მის მიერ განსაზღვრულ ვადაში შეძლებს.

ეს „მიზანსწრაფულობა“ კი, რასაკვირველია, საქართველოსთან მოლაპარაკებებს ეხება. თბილისში იმეორებენ, რომ ვაშინგტონი ამ საკითხში საქართველოზე ზეწოლას არ ახდენს. ამ თემაზე თბილისსა და მოსკოვს შორის მოლაპარაკებები დაწყებულია და შედეგებიც მალე გამოჩნდება.

ჯოზეფ ბაიდენი კი მოსკოვში ვიზიტისას სხვა მნიშვნელოვანი გზავნილებითაც გამოვიდა. მისი განცხადებით, „აშშ მხარს არ დაუჭერს ქვეყანას, რომელიც დემოკრატიულად არჩეული ლიდერის გადასაგდებად სახელმწიფო გადატრიალებას მოაწყობს“. ამის შესახებ ბაიდენმა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან შეხვედრაზე განაცხადა.

მისივე თქმით, „აშშ-ს რუსეთის ხელისუფლებასთან და რუსი ხალხის დიდ ნაწილთან საქართველოს საკითხზე აზრთა სერიოზული სხვაობა აქვს“:

— ჩვენ რომელიმე ქვეყნისგან გავლენის სფეროების განაწილებას არ მივიღებთ. ამასთან, სირთულეების მიუხედავად, არც ერთ ქვეყანას, რომელიც დემოკრატიულად არჩეული ლიდერის გადასაგდებად სახელმწიფო გადატრიალების მოწყობას გადაწყვეტს, მხარს არ დავუჭერთ.

აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტმა რუსეთის სასამართლო და პოლიტიკური სისტემაც გააკრიტიკა:

— რუს ხალხს სურს, ჰქონდეს შესაძლებლობა აირჩიონ ნაციონალური და ადგილობრივი ლიდერები კონკურენტულ არჩევნებში. მას უნდა გააჩნდეს შეკრების თავისუფლებისა და სახელმწიფოსგან დამოუკიდებელი მედია. მას სურს იცხოვროს ქვეყანაში, რომელიც კორუფციას ებრძვის. ეს არის დემოკრატია და მე მოვუწოდებ ყველას: ნუ წახვალთ კომპრომისზე, როდესაც საუბარია დემოკრატიის საბაზისო ელემენტებზე. თქვენ არ გჭირდებათ ფაუსტის ტიპის გარიგება, — წერს „ნიუ-იორკ-ტაიმსი“, რომელიც ბაიდენის მოსკოვში ვიზიტის შედეგებს ვრცელ სტატიას უძღვნის.

ამასთან, სტატიის ავტორის განმარტებით, აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტმა რუსეთში ადამიანის უფლებების დარღვევის პრობლემაზე გაამახვილა ყურადღება და ჩამოთვალა მთელი რიგი ხმაურიანი საქმეები, მათ შორის ნავთობმაგნატის მიხეილ ხადარკოვსკის დაკავება და სერგეი მაგნიტსკის მკვლელობა, რომლებიც ადამიანის უფლებების დარღვევის მაგალითებად დაასახელა.

— ზოგიერთებმა შეიძლება მკითხონ, ასეთ განცხადებას ხმამაღლა როგორ ვაკეთებ, თუკი რუსეთთან ურთიერთობებს ველით, მაგრამ ასეთი განცხადებები აუცილებელია სწორედ უკეთესი ურთიერთობებისთვის. ჩვენ არჩევანის გაკეთება არ უნდა გვჭირდებოდეს. ჩვენ ძველებურად გავაპროტესტებთ ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებს და ყოველთვის ღიად ვისაუბრებთ საფრთხეებზე, რომელიც დემოკრატიას და კანონის უზენაესობას დაემუქრება.

პოლიტოლოგიის მეცნიერებათა დოქტორ მალხაზ მაცაბერიძის შეფასებით, ვიცე-პრეზიდენტ ჯოზეფ ბაიდენის მიერ მოსკოვში გაკეთებული განცხადება „ყველასთვის ნათელი მესიჯია, რომ აშშ მხოლოდ დემოკრატიულ კონსტიტუციურ განვითარებას უჭერს მხარს“:

— ვფიქრობ, ბაიდენის განცხადება იმის შესახებ, რომ „არც ერთ ქვეყანას, რომელიც დემოკრატიულად არჩეული ლიდერის გადასაგდებად სახელმწიფო გადატრიალების მოწყობას გადაწყვეტს, აშშ მხარს არ დაუჭერს“, ყველას თანაბრად ეხება, მათ შორის — საქართველოსაც. ამასთან, ეს ნათელი მესიჯია, რომ ამერიკა მხოლოდ პროცესების დამოკრატიული, კონსტიტუციური გზით განვითარებას მიესალმება და ცვლილებების არჩევნების გზით განხორციელებას უჭერს მხარს.

# ვინ უნდა ააშენოს ქართული შეიარაღებული ძალები

გულიკო ბალა  ე

**პოლიტიკური და სამხედრო ექსპერტი გიორგი თავდგირიძე აფხაზეთისა და ცხინვალის ომების წაგებისთვის გენერალიტეტის პასუხისმგებლობის საკითხს სვამს.**

**— აფხაზეთის ომის დროს არა მარტო ომი წავაგეთ, არამედ მთელი აფხაზეთის ტერიტორია დავკარგეთ, მაგრამ გენერალიტეტს პასუხი არავინ მოსთხოვა, ისევე, როგორც 2008 წელს ცხინვალისა და კოდორის დაკარგვის შემდეგ არავინ იკითხა, გენერალიტეტი სად იყო, — აცხადებს გიორგი თავდგირიძე.**

**გიორგი თავდგირიძის შეფასებით, სააკაშვილის ბრალეულობა ისაა, რომ მას ცხინვალში დაწყებული ოპერაციის ბოლომდე მიყვანის პოტენციალი ჰქონდა, მაგრამ შეცდომები დაუშვა დაგეგმარებისა და განხორციელების საკითხში.**

**თავდგირიძის აზრით, შეიარაღებული ძალები საკმარისად მომზადებული არ იყო და კარგი იქნებოდა, თუ ოპერაცია ერთი წლით გადაიდებოდა.**

***— ბატონო გიორგი, თქვენ ერთხელ განაცხადეთ, სეპარატისტი ლიდერების შეურაცხმყოფელ განცხადებებს თავმოყვარე ხელისუფლებამ სათანადო პასუხი უნდა გასცესო. როცა სააკაშვილი ცხინვალის ომში ჩაერთო, განაცხადა, რომ კონსტიტუციური წესრიგის აღდგენას ახდენდა, მაგრამ ბოლოს თვითონაც და მთელი საქართველოც უბედურ დღეში აღმოჩნდა. სეპარატისტ ლიდერებს პასუხი ვინ უნდა გასცეს?***

— საზოგადოება უნდა შევთანხმდეთ, რა გვინდა და პოლიტიკოსებისაგან უნდა მოვითხოვოთ აქტივობა. სააკაშვილმა უდიდესი შეცდომა დაუშვა, რადგან ბოლომდე არ მიიყვანა დაწყებული საქმე, როდესაც ამის შესაძლებლობა ჰქონდა.

***— სააკაშვილს ცხინვალის რეგიონში დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანის შესაძლებლობა ჰქონდა?***

— რა თქმა უნდა, ჰქონდა. როცა ჩვენ, სამხედროები, ამაზე ვმსჯელობთ, მივდივართ დასკვნამდე, რომ სააკაშვილს საქმის ბოლომდე მიყვანის პოტენციალი ჰქონდა. სხვა საკითხია, საქმე ბოლომდე რატომ არ მიიყვანა. ძალიან მიჭირს, ეს საზოგადოებას ავუხსნა. ერთია, რომ საქმის ბოლომდე მიყვანის პოტენციალი სააკაშვილს ჰქონდა. მეორეა, რომ სააკაშვილმა არსებული პოტენციალის გამოყენება ვერ მოახერხა, ანუ შეცდომები ჰქონდა დაგეგმარებისა და განხორციელების საკითხში. აქედან გამომდინარე, ლაპარაკია იმაზე, ქართველი საზოგადოება როგორ უყურებდა სააკაშვილის განცხადებას. ეს ძალიან საინტერესოა. ერთი მხრივ, ის ოპერაციები ძალიან წარუმატებელი იყო. წარუმატებლობის მიზეზები უნდა განხილულიყო, მაგრამ, სამწუხაროდ, ქართველი საზოგადოებისა და პოლიტიკური სპექტრის ნაწილმა დაგმო არა ის, რომ სააკაშვილმა შეცდომები დაუშვა და ცხინვალის დაბრუნების საკითხი ბოლომდე ვერ მიიყვანა, არამედ ის, თუ როგორ გაბედა საერთოდ და როგორ შევიდა ცხინვალის რეგიონში, იქ ხომ ჩვენი ოსი ძმები შეწუხდნენ. ამ დროს გვავიწყდება, ის ჩვენი „ოსი ძმები“ როგორ აუპატიურებდნენ და ხოცავდნენ ქართველებს. ძმობა ორმხრივი გამიგია. ცალმხრივი ძმობა სხვა თემაა.

***— სამაგიეროდ, „ფანდარასტის“ კამპანია ხომ „კარგად“ ჩაატარეს?***

— ეგ არის პროექტის შემადგენელი ნაწილი. როცა პროექტი მაქვს, მას გააჩნია თავისი ქვეპროექტები. საბოლოო ჯამში, რაღაც მიზნისკენ მივდივართ. შეიძლება, იმის გამო, რომ ყველაფერი კარგად ვერ გავაკეთე, მიზანს ვერ მივაღწიო. ამ შემთხვევაში უნდა მითხრან, რომ არ აღმომაჩნდა უნარი, მიზნამდე მივსულიყავი. გასაგებია, რომ ეს ჩემი შეცდომაა. როცა მეუბნებიან, შენ არ გაბედო ასეთი მიზნის დასახვა (არა ის, გააკეთო თუ არ გააკეთო, არამედ, არც კი გაბედოო), საზოგადოებისთვის ეს ძალიან სამწუხაროა, მით უმეტეს, ინტელიგენციის დიდი ნაწილი რატომღაც ერს ბრძოლისთვის არ განაწყობს.



სად წავიდნენ ამერიკელების გაწვრთნილი სამხედროები

***— დღეს ბრძოლის მიმანიშნებელი კითხვაც რომ დასვა, ანუ დასვა კითხვა, რომელიც ქვეტექსტში ბრძოლას გულისხმობს, პასუხობენ, რომ ჩვენ ძალის გამოყენებაზე აბსოლუტურად უარი უნდა ვთქვათ. ყველა პოლიტიკოსი ამას ამბობს. ისინი ფიქრობენ, რომ მსოფლიო, ევროპა ვერ გაგვიგებს, თუ ძალის გამოყენებით შევეცდებით ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას. როგორ ფიქრობთ, რატომ არის ასეთი განწყობა?***

— ქართველი პოლიტიკოსები არ იცნობენ ევროპელ პოლიტიკოსებს. ევროპელი პოლიტიკოსები საუბრებში არასოდეს იტყვიან (მით უმეტეს, საქართველოს არ ეტყვიან), სეპარატისტულ რეგიონში შედიო, მაგრამ ეს ის ევროპაა, რომელმაც ორი მსოფლიო ომი გადაიტანა. ორივე ომი ევროპაში დაიწყო, სადაც ბოლო ათწლეულების განმავლობაში ომის საშუალებით სახელმწიფოები იქმნებოდნენ და იშლებოდნენ.ცივილიზაციები ომის საშუალებით ვითარდებოდა. ევროპაში არ არიან გულჩვილი პოლიტიკოსები, რომლებიც მუდმივად ერთმანეთს პირში სულს უბერავენ. მათ ზუსტად იციან, რა უნდა სახელმწიფოს და როგორ უნდა მოახერხონ სახელმწიფო აპარატის მეშვეობით მისი განხორციელება. ერთია, ევროპა რის დეკლარირებას ახდენს, მეორეა, რას გაიგებს და რას — ვერა. ევროპა ქართველებს კარგად გაგვიგებს, თუ ჩვენ სეპარატისტების წინააღმდეგ სერიოზულ ბრძოლას დავიწყებთ. ევროპა ვერ გაიგებს ბოლომდე მიუყვანელ ბრძოლებს. ევროპა ვერ გაიგებს ჯერ ბრძოლის დაწყებას, შემდეგ გამოქცევას, შემდეგ კი ევროპისთვის თქმას, მიშველეო. ისე, როგორც ცნობილ ფილმშია, „მოსკოვს ცრემლების არ სჯერა“, ევროპასაც ცრემლების არ სჯერა. თუ ძლიერი სახელმწიფო ვიქნებით, ყველა დაგვეხმარება — ფარულად თუ ღიად, ფულით, იარაღითა თუ ადამიანური რესურსით — ყველანაირად, მაგრამ ჯერ ვერ ჩამოვყალიბდით, რომ დახმარება შეძლონ. ჩვენ არაფრისთვის მზად არ ვართ. არ ვიცით, რაში გვჭირდება დახმარება. ყველაფერი არეული გვაქვს. ვისაუბროთ შეიარაღებული ძალების დახმარებაზე. აკადემიის პროექტი იყო. მის შექმნაში ათეულობით მილიონი დოლარი დაიხარჯა. უცებ ისეთი თავდაცვის მინისტრი მოვიდა, რომელმაც აკადემიის ეს პროექტი, პრაქტიკულად, გაანადგურა. წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა იყო, რომელიც უნდა განვითარებულიყო. რამდენიმე თავდაცვის მინისტრი შეიცვალა და წვრთნისა და აღჭურვის პროგრამამ განვითარება ველარ ჰპოვა. ის ბატალიონები დაიშალა, გაწვრთნილი რეკრუტები სახლში გაუშვეს, შევარდნაძისდროინდელი დაქირავებულები არ გვჭირდებაო. ასეთ ფრაგმენტულობას ვერავინ გაგვიგებს. ამიტომ ევროპაც და ამერიკაც მიიჩნევენ, რომ ჯერ ჩვენ ისე არ ვართ ჩამოყალიბებული, დაგვეხმარონ. საზოგადოებამ, ქართველებმა, სწორედ ეს უნდა შევიგნოთ, რომ მნიშვნელოვანი მიზნები ჩვენ უნდა დავსახოთ, უნდა გავერკვეთ, რა გვინდა, რატომ გვინდა ძლიერი შეიარაღებული ძალები, როგორი შეიარაღებული ძალები გვინდა, რატომ გვინდა ეკონომიკა, რატომ გვინდა ბიზნესი, ვინ არიან ოსი ძმები, რა არის კულტურული ურთიერთობა რუსეთთან. ძალიან მეცინება, როდესაც ლაპარაკია, რომ ვიღაც დოსტოევსკიზე გაიზარდა და ვიღაცას პუშკინის ლექსები სიამოვნებს. ჩემი თავი შემოევლოთ. ვისაც რა უნდა, ის იკითხოს. ზოგს ბრაზილიური ლიტერატურა მოსწონს, ზოგს — ფრანგული, ზოგსაც — რუსული, მაგრამ სახელმწიფოთა ურთიერთობაში ეს არაფერ შუაშია, არც „რუსი ძმა“ არსებობს.

***— ე.ი. როდესაც გადამწყვეტი მომენტი დგება, სახელმწიფოებრივი ინტერესები უნდა დავაყენოთ წინ...***

— რა თქმა უნდა. საქმეს ბოლომდე რომ მივიყვანთ — ტერიტორიულ მთლიანობას რომ აღვადგენთ და რუსებს განვდევნით, შემდეგ გინდა კულტურული ურთიერთობები გავაღრმავოთ, გინდა დელეგაციები დელეგაციებზე ვცვალოთ. იმავე ოსებსა და აფხაზებს ისე კი არ უნდა ველაპარაკოთ, როგორც გამარჯვებული დამარცხებულს, არამედ, ისეთივე პირობები უნდა შევუქმნათ, როგორიც ნებისმიერ ქართველს აქვს საქართველოში. ეს სხვა თემაა. ღირებულებითი ნაწილი ასეთი უნდა იყოს, მაგრამ, სანამ ის სეპარატისტია, სანამ მას იარაღი უჭირავს ხელში, შესაბამისად უნდა ვიმოქმედოთ.

***— ჯარში დაბრუნების სურვილი თუ გაქვთ?***

— არა. ეს ისეთი თემაა... ჩვენ ახალი შეიარაღებული ძალები უნდა შევქმნათ. გარკვეული ცოდნა, რომელიც მე და ჩემს მეგობრებს გაგვაჩნია, გამოყენებულ უნდა იქნეს, მაგრამ საკითხი ასე არ დგას, დავბრუნდებით თუ არა. გარკვეულწილად, შეიარაღებული ძალები ახალმა თაობამ უნდა ააშენოს. თუმცა, შეიარაღებულ ძალებში ყოფნა ვიღაცის სურვილზე არ არის დამოკიდებული. მე ოფიცერი ვარ. თუ ომისა და მობილიზაციის შემთხვევაში გამომიძახებენ, ყოველგვარი ზედმეტი პრობლემების გარეშე ვიმსახურებ. მსურს თუ არა ჯარში დაბრუნება, ეს არ არის პრობლემა. სიამოვნებით მივიღებდი მონაწილეობას შეიარაღებული ძალების, ვთქვათ, რეფორმების გეგმების შედგენასა და შემდეგ ამ გეგმის განხორციელებაში, მაგრამ ეს არაფერს

**გაგრძელება მე-10 გვერდზე**

# „მგზავრებმა“ საქველმოქმედო პროექტი შეწყვიტეს

ეკა ირემაშვილი



მოზარდებში განსაკუთრებით პოპულარულმა ჯგუფმა „მგზავრებმა“ მოზარდმაყურებელთა თეატრთან ერთად წამოწყებული საქველმოქმედო პროექტი სახელწოდებით „ერთმანეთისთვის“ დროებით შეაჩერეს.

პირველი კონცერტი ჯგუფის წევრებმა თეატრში გასულ კვირას ჩაატარეს, თუმცა კიევში დაგეგმილი გასტროლის გამო, პროექტის ფარგლებში დაგეგმილი კონცერტების ჩატარება ვეღარ შეძლეს. ახალი პროექტი „ერთმანეთისთვის“ სპეციალურად მოზარდებისა და ახალგაზრდებისთვის შეიქმნა. იგი სკოლებზეა გათვლილი და თეატრში სკოლის მოსწავლეების მიზიდვას და „მგზავრების“ კონცერტზე დასწრებას ითვალისწინებს.

— ჩვენი სურვილია, შევიდეთ სკოლებში და მოზარდები თუ ახალგაზრდები ამ კონცერტებზე ვატაროთ. გვინდა გავაკეთოთ კეთილი საქმე, რომელიც მიუსაფარ ბავშვთა დასახმარებლად იქნება განკუთვნილი, — აცხადებდა „მგზავრების“ სოლისტი გიგი დედალამაზიშვილი.

კონცერტებიდან შემოსული თანხის ნაწილით პროექტის ავტორები — მოზარდმაყურებელთა თეატრის ხელმძღვანელობა და ჯგუფის წევრები — მიუსაფარ ბავშვთა სახლების დახმარებას აპირებენ. პირველ რიგში კი მათი მიზანია, დროული და გადაუდებელი დახმარება თელავის მიუსაფარ ბავშვთა სახლს გაუწიონ.

„ერთმანეთისთვის“ ფარგლებში დაგეგმილი პირველი კონცერტი წარუმატებელი აღმოჩნდა. მაყურებელი კონცერტზე არ მივიდა, თუმცა მცირერიცხოვანი მსმენელისთვის ჯგუფის წევრებმა მაინც იმღერეს. მაყურებლის სიმცირის ფაქტი კი იმით ახსნეს, რომ პროექტის სათანადო რეკლამირება და გაპიარება აკლდა.

მოზარდმაყურებელთა თეატრმა და „მგზავრებმა“ კონცერტის ბილეთს 12 ლარი დაადეს. ალბათ ესეც აღმოჩნდა ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ დარბაზი ცარიელი იყო. მიუხედავად ამისა, კონცერტი მაინც ჩატარდა. ავტორთა გადაწყვეტილებით, თუკი დაინტერესება იქნებოდა, კონცერტები ყოველდღიურად უნდა ჩატარებულიყო, თუმცა პირველი კონცერტის შემდეგ პროექტი „ერთმანეთისთვის“ აღარ გაგრძელებულა.

ამჟამად ჯგუფი „მგზავრები“ გასტროლისთვის ემზადება, რომელიც 19 მარტს უკრაინაშია დაგეგმილი. გააგრძელებენ თუ არა კონცერტებს მოზარდმაყურებელთა თეატრში ჯგუფის წევრები საქართველოში დაბრუნების შემდეგ, ჯერჯერობით უცნობია.

**ნინო პავლიაშვილი, თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის სახელმწიფო ცენტრალური საბავშვო თეატრის მმართველის მოადგილე:**

— ამ ეტაპზე ჩვენი და ჯგუფ „მგზავრების“ ერთობლივი პროექტი შეწყვეტილია.

— ***დროებით გაჩერდით თუ აღარ ჩაატარებთ ამ კონცერტებს?***

— როდესაც „მგზავრები“ კიევიდან ჩამობრძანდებიან, მაშინ კიდევ ერთხელ დავსხდებით, ვიმსჯელებთ და მივიღებთ გადაწყვეტილებას, გავაგრძელოთ თუ არა ეს საქველმოქმედო პროექტი, მაგრამ ამ ეტაპზე „ერთმანეთისთვის“ შეწყვეტილია.

# „შუშანიკის შვილები“ ლიტერატურის მუზეუმშია

ეკა ირემაშვილი

ლიტერატურის მუზეუმში წიგნის მოყვარულები კიდევ ერთხელ შეიკრიბნენ. ამჯერად მათი თავმოყრის მიზეზი ანა კორძაია-სამადაშვილის ახალი წიგნის „შუშანიკის შვილების“ პრეზენტაცია გახდა. წიგნი გამომცემლობა „ბაკურ სულაკაურმა“ გამოსცა და უკვე წარადგინა ლიტერატურულ პრემია საბაზე ნომინაციაში წლის საუკეთესო რომანი.

ანა კორძაია-სამადაშვილმა ახალი რომანი ხუთწლიანი პაუზის შემდეგ გამოსცა. მკითხველს იგი სთავაზობს ერთი ქალის ისტორიას, რომელსაც შუშანიკი ჰქვია.

**ანა კორძაია-სამადაშვილი, მწერალი:**

— ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც ძალიან ვღელავ, იმ შემთხვევის გამო, რომ ჩემი წიგნი გამოდის. ეტყობა, მეტისმეტად ძვირად მიღირს ეს წიგნი. ბედნიერი ვარ, რომ ამდენი ადამიანი მოვიდა ჩემი ახალი ნამუშევრის პრეზენტაციაზე.

— ***რატომ ამხელა პაუზა?***

— არ ვიცი. ეს თავისთავად მოხდა. ახალი წიგნი თითქმის ხუთწლიანი ინტერვალით გამოვუშვი.

— ***შეიძლება გვითხრათ, ორიოდე სიტყვით რაზეა თქვენი წიგნი?***

— წიგნის მთავარი გმირი ერთი ქალია, რომელსაც შუშანიკი ჰქვია. ის თბილისის ერთ-ერთ ძველ ქუჩაზე, თალთან ცხოვრობს, სადაც უამრავი საოცარი მცენარე ხარობს. შუშანიკი ღამღამობით აივანზე გამოდის და თმას ივარცხნის. მისი თმა ევლება მთელ თბილისს, ყოველ ქუჩასა და სახლს. ვინც მარტო წევს, მათ შუშანიკი ეუბნება, რომ ძალიან უყვარს. თუ წყვილი წევს, შუშანიკის თმით ისინი უფრო უახლოვდებიან ერთმანეთს. ამის მეტს ვერაფერს გეტყვით, სჯობს მკითხველმა დანარჩენი წიგნიდან შეიტყოს.

როგორც ლიტერატურის მუზეუმის ხელმძღვანელობამ წიგნის პრეზენტაციაზე განმარტა, მსგავსი შეხვედრები მწერლებთან და პოეტებთან, ასევე მათი ახალი ნამუშევრების წარდგინებები, მათ მუზეუმში სისტემატურად გაიმართება.

## მიწისძვრა პროგნოზირებადია?

გასული საუკუნის 20-იან წლებში გერმანელი გეოლოგის (კლიმატოლოგი)ალფრედ ვეგენერის მიერ შემოთავაზებულ იქნა დედამიწის აგებულების ახალი მოდელი. ამ თეორიის თანახმად დედამიწის აგებულებაში არჩევენ: ლითოსფეროს, რომელიც თავის მხრივ შედგება ორი შრისგან: დედამიწის ქერქისგან და მანტიის გარე შრისგან.ლითოსფერო დაყოფილია მყარ სეგმენტებად ანუ ტექტონიკურ ფილებად. ეს ფილები თითქოს და დაცურავენ მანტიის შიდა შრეზე-ასტენოსფეროზე, რომელიც შეიძლება იმყოფება როგორც გადახურებულ და ძალიან ბლანტ მდგომარეობაში მყოფი ნივთიერება. ბირთვის გარე და შიდა შრეები.ალფრედ ვეგენერის მიერ შემოთავაზებული დედამიწის ეს მოდელი დასტურდება ბოლოდროინდელი ექსპერიმენტული გამოკვლევითაც. თქვენი ყურადღება მინდა მივაპყრო იმ პრობლემას რისთვისაც ეს სტატია დაიწერა: ბოლოდროს ჩილეში მომხდარ ძლიერ მიწისძვრას ვეგენერის თეორია ასე ხსნის: მიწისძვრა გამოიწვია სამხრეთ ამერიკის და წყნარი ოკეანის ფილების ურთიერთქმედებამ. ჰიმალაის მთები წარმოშობილან ინდოეთის . და ევრაზიის ფილების ურთიერთქმედებით.უამრავი ასეთი მაგალითის ჩამოთვლა შეიძლება, მაგრამ ეს თეორია არ ან ვერ გვეუბნება რა სიმძლავრის და როდის მოხდება მიწისძვრა აქედან შეიძლება დავასკვნათ: თეორია, რომელიც მიწისძვრის ადგილს პროგნოზირებს, უძლურია მისი სრული პროგნოზირებისათვის.ახლა შეიძლება ასეთი აზრი დაიბადოს, შეიძლება კი დედამიწაზე მიწისძვრის სრული პროგნოზი? თუ გავითვალლისწინებთ, რომ დედამიწაზე არ ყოფილა მიწისძვრის არცერთი კორექტული პროგნოზი ეჭვი უფრო გაგვიძლირდება.

*ჯუმბერ ზუროშვილი*

# „ჩვენი მწერლობის“ დარბაზმა მომღერალ სოფიო კუჭავასთან შეხვედრას უმასპინძლა

ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ დარბაზმა მომღერალ სოფიო კუჭავასთან შეხვედრას უმასპინძლა. როგორც „ჩვენი მწერლობის“ მთავარმა რედაქტორმა როსტომ ჩხეიძემ აღნიშნა, სოფიო კუჭავა ერთ-ერთი ისეთი მომღერალია, რომელიც ნამდვილ ქართულ სიმღერას არაჩვეულებრივი ხმითა და პროფესიონალიზმით ინარჩუნებს.

— დღეს ჭეშმარიტი, წრფელი ქართული სიმღერა იკარგება და წინ სხვა, ტენდენციები მიიწევს. ქართული სიმღერა გადაგვარებულმა ნაკადმა არ უნდა გადაფაროს და ის ძარღვი გადარჩეს, რაც შესანარჩუნებელია. ასეთი შეხვედრებიც არა მხოლოდ ცხოვრებაში სიხალისის შეტანას, არამედ ქართული სიმღერის გადარჩენას ემსახურება. ქართულ მუსიკალურ ხელოვნებას ძალიან სჭირდება, რომ სწორედ სოფო იდგეს სცენაზე, — აღნიშნა როსტომ ჩხეიძემ.

როგორც მომღერალმა განაცხადა, მის ოჯახში ყველა მღერის და სიმღერის სიყვარულიც აქედან გამოჰყვა. მის პროფესიულ წინსვლაში კი დიდი წვლილი ცნობილმა მომღერალმა თამარ ჭოხონელიძემ შეიტანა.

— თავისუფალ დროს გიტარის თანხლებით ვმღერით. ქართველებს უამრავი კარგი კომპოზიტორი გვყავდა და გვყავს. მათი თითოეული სიმღერა სულიერად გვზრდის, გვასწავლის. მნიშვნელოვანია, რომ მომღერალმა სიმღერით მიღებული სიამოვნება სხვებსაც გაუზიაროს. ვცდილობ, სიმღერის სიყვარული ჩემს გოგონასაც ჩავუნერგო, რომელიც ჯერჯერობით სამი წლისაა, — აღნიშნა სოფიო კუჭავამ და სინანულით დასძინა, რომ ობიექტურმა მიზეზებმა სცენას გარკვეული ხნით ჩამოაშორა.

მომღერალმა დამსწრე საზოგადოების წინაშე „გაზაფხული შემოსულა, ლენ“, „გულს რად მიკლავ, მე სიცოცხლე...“ „რაც კი ქვეყნად სიყვარული მეფობს“ და ფართო მსმენელისათვის საყვარელი რამდენიმე სიმღერა შეასრულა.

შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდნენ: ლევან ბრეგაძე, იოსებ ჭუმბურიძე, გიორგი გოგოლაშვილი. მათ ერთხმად აღნიშნეს, რომ სოფიო კუჭავა თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო მომღერალია.

სოფიო კუჭავა ამჟამად საპატრიარქოს მაუწყებლობა „ერთსულოვნების“ დილის გადაცემა „განთიადის“ წამყვანია, ამავდროულად, მუშაობს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში.

**მედიანიუსი**


## SMS-განცხადებები - 3090

### იყიდება

● ხეხილის ნერგები და დეკორატიული მცენარეები. 899-16-93-15.

● 1,5 ოთახიანი ბინა სააკაძის მოედანზე, მერიის პირდაპირ. 16 სართულიანის მე-6 სართულზე, საერთო ფართი 50 კვ.მ. ფასი 50 000 დოლარი. ტელ:. 899-58-41-42.

### ვიქირავებ

● ბინას ორთაჭალაში, გორგასლის ქუჩაზე ან მიმდებარე ტერიტორიაზე. საკონტაქტო ტელ:. 38-67-69; 899-57-50-66.



## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი ილუმენია ანა (მუსელიანი)



## განცხადებები

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის სწრაფშემსწავლელ კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი“. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.

● გარანტიით, უსაფრთხოდ, უმტკივნეულოდ, ოპერაციის გარეშე, ასაკის მიუხედავად განვკურნავ მნიშვნელოვნად დაქვეითებულ სმენას (ნევრიტს), ოსტეოქონდროზს, სახსრების, კუნთების, კუჭ-ნაწლავის დაავადებებს, პროსტატიტს, შარდსასქესო სისტემის სხვა დაავადებებს, კიდურების სიცივესა და დაბუჟებას, რადიკულიტს, ოტიტს, სისხლძარღვების შევიწროვებას და სხვა. გადასახადის ოდენობა თითოეული პაციენტისათვის განისაზღვრება ინდივიდუალურად: ტელ: 899-97-85-46; 53-44-39, რეაბილიტოლოგი ბ-ნი ლევანი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 858-96-89-15 ან 34-02-38 ექიმი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 34-02-38; 858-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

● სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა თვეში 3-5 სმ-ის მომატებით, 25 წლამდე, კურსის გამეორება შეიძლება სასურველ შედეგამდე, გახდომა თვეში 7-დან 20 კგ-მდე, უვნებლად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 34-02-38; 895-293-299; 890-293-299. ექიმი ქ-ნი ინგა.

● ლომთათიძე — პოლიკნიკის დირექტორი მკურნალობს: ფრჩხილების სოკოს, კანის დაავადებებს, ფურუნკულს, ტროპიკულ წყლულს, თმის ცვენას, ბუასილს უოპერაციოდ, ეგზემას, ფსორიაზს, მარილების დაგროვებას, პროსტატიტს, A,B,C ჰეპატიტს, მეჭეჭებს, პაპილომებს, ხორცმეტებს, ფეხების ოფლიანობას, თვალების გარშემო ცხიმგროვას. მის: აღმაშენებლის №93, ტელ:96-38-27; 893-39-04-87 ირინა. კონსულტაცია უფასოა.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 74-81-41, 871-33-01-61.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 899-25-44-14; 890-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისთვის! იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი) მოგვარება მცენარეული პროდუქციით. შედეგი 100%-იანია. ტელ: 34-02-38; 899-25-44-14; 890-25-44-14 ექიმი, ქ-ნი მზია.

**ნათელმხილველი მანანა**

იგებს წარსულს, აწმყოს, მომავალს, ადგენს უიღბლობის მიზეზს, ათავისუფლებს ავი თვალისა და ჯადოსაგან, ამზადებს თილისმებს ბარაქაზე, ბედის გახსნაზე, წარმატებაზე, ჯადოსა და თვალისგან დამცველს, შეუძლია დანგრეული ოჯახების აღდგენა და ნევროზის განკურნება.

**მიღება წინასწარი შეთანხმებით!**

მის.: მეტრო „ავლაბართან“, მახათის შესახვევი N6. ტელ: **897-29-27-50.**

# იენს ლემანი ფეხბურთს დაუბრუნდა



41 წლის გერმანელი კიპერი იენს ლემანი, რომელმაც 9 თვის წინ კარიერის დასრულების შესახებ გააკეთა განცხადება, საფეხბურთო მოედანს უბრუნდება.როგორც გამოცემა ბილდი იტყობინება, გერმანიის ეროვნული ნაკრების ყოფილმა მეკარემ უკვე გააფორმა კონტრაქტი ლონდონის „არსენალთან“ და იგი „მეთოფეებს“ სეზონის ბოლომდე დაეხმარება.

ინგლისური კლუბის სამწვრთნელო შტაბის ამგვარი გადაწყვეტილების მიზეზი მეკარის პოზიციაზე შექმნილი პრობლემა გახდა. ლონდონელთა განკარგულებაში მყოფი მეკარეებიდან, მოედანზე გასვლა მხოლოდ მანუელ ალმუნიას შეუძლია, რადგან მისი კონკურენტები, ლუკაშ ფაბიანსკი და ვოიცეხ შჩესნი ტრავმირებულები არიან. იმის გათვალისწინებით, რომ სატრანსფერო ფანჯარა დახურულია, არსენ ვენგერს პრობლემის მოსაგვარებლად ორი ვარიანტი ჰქონდა, ან თავისუფალი აგენტი მოეძებნა, ან იჯარით აეყვანა ვინმე. „არსენალის“ თავკაცმა მისთვის კარგად ნაცნობი ვეტერანი ფეხბურთელის დიდ სპორტში დაბრუნება არჩია.

თავად ლემანმა ბილდთან საუბრისას განაცხადა, რომ ლონდონელთა წინადადებას სიამოვნებით დათანხმდა და მზად არის, „მეთოფეებს“ დახმარება გაუწიოს.შეგახსენებთ, რომ ლემანი „არსენალის“ ღირსებას 5 სეზონის განმავლობაში, 2003-2008 წლებში იცავდა. ის ლონდონური კლუბიდან წასვლის შემდეგ, 2010 წლის ზაფხულამდე შტუტგარტში გამოდიოდა, ბოლო პერიოდში კი სკაის ექსპერტად მუშაობდა.

# ავთანდილ ხურციძე: ახლა დასვენების დროა

საერთაშორისო კრივის ორგანიზაციის - I -ს ვერსიით მსოფლიოს უძლიერესი საშუალოწონოსანი, გადაღლილობის მიუხედავად, კარგ ხასიათზეა და უყურადღებოდ არც ქართველი ჟურნალისტები დატოვა.

***— მომდევნო შეხვედრისთვის ისევ შესვენების გარეშე გააგრძელებთ ვარჯიშს?***

— არა. ამჯერად, დაახლოებით თვის ბოლომდე პაუზას ავიღებ. ძალებს აღვიდგენ და სამზადისს მერელა შევუდგები.

***— სად აპირებთ დასვენებას?***

— ორი კვირით ჩემს ქალაქში, ქუთაისში ჩავალ. ძალიან მომენატრა.

***— დაახლოებით მაინც თუ იცით, შემდეგ შეხვედრას როდის და სად ჩაატარებთ?***

— ჯერ ძნელია ამაზე ლაპარაკი. სავარაუდოდ, დღეს მოგებულ ქამარს დავიცავ. წესით, ამისთვის 6 თვე მაქვს ვადა, მაგრამ ალბათ სამ თვეში ვიჩხუბებ. შეიძლება შემდეგი ბრძოლა ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩავატარო.

***— თქვენმა მეტოქემ, მარიუშ სენდროვსკიმ გვითხრა, რომ პოლონური მატჩ-რევანშის შემოთავაზებას აპირებს.***

— მისი მესმის, დაუკმაყოფილებლობის გრძნობა აქვს და კიდევ უნდა ჩემთან ჩხუბი, მაგრამ აბა, მე მკითხოს. ისევ სენდროვსკისთან დაპირისპირებაზე ნამდვილად არ ვფიქრობ. წინ უფრო სერიოზული გეგმები გვაქვს. ისე კი, სენდროვსკი მართლა ძლიერი მოკრივეა. ჭკვიანურად აირჩია ტაქტიკა. ჩემზე მაღალია, გრძელი ხელები აქვს და ცდილობდა შორიდან ეჩხუბა, ახლოს არ მივეშვი. საბედნიეროდ, ბოლომდე ვერ შეასრულა ამოცანა.



***— თქვენი გამოსვლით კმაყოფილი ხართ?***

— აბსოლუტურად. ყველაფერი გეგმის მიხედვით შევასრულე და დამაჯერებლად მოვიგე. შეიძლება საქმე ნოკაუტამდე არ მივიდა, მაგრამ ეს სანერვიულო ნამდვილად არაა. მთავარია, ქამარი ჩემია. მოსამზადებელი პერიოდის ბოლოს გავცივდი, რაღაც ვირუსი შემეყარა და ამ პრობლემამ ერთი კვირის განმავლობაში ცოტა შეგვაფერხა, მაგრამ ბრძოლას მაინც საუკეთესო ფორმაში შევხვდი.

***— საქართველოში პირველი ბრძოლა ჩაატარეთ. ძნელი ხომ არ იყო?***

— რა თქმა უნდა, დამატებით პასუხისმგებლობას ვგრძნობდი, მაგრამ სამაგიეროდ, ტრიბუნებიდან ძალიან დიდი მუხტი მოდიოდა. მადლობა ყველას, ვინც მხარი დამიჭირა. ვეცდები, ჩემი გულშემატკივრები კიდევ ბევრჯერ გავახარო.

# ფაბიო კაპელო ჯეკ უილშირს აქებს



ინგლისის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ აღნიშნა, რომ „არსენალის“ ნახევარმცველი ჯეკ უილშირი შესაძლოა მომავალში ნაკრების კაპიტანი გახდეს. იტალიელი სპეციალისტი 26 მარტს, კარდიფში, უელსის ნაკრებთან ევროშესარჩევი ეტაპის მატჩისას 19 წლის ნახევარმცველის სასტარტო შემადგენლობაში დაყენებას გეგმავს, იმის მიუხედავად, რომ „მეთოფეთა“ ნახევარმცველს ეროვნულ გუნდში მხოლოდ 2 მატჩი აქვს ჩატარებული.

— უილშირთან დაკავშირებით, მხოლოდ ორი მცველის გახსენება შემიძლია — პაოლო მალდინისა და ფრანკო ბარეზის, ასევე ფორვარდ რაულის, რომელიც 19 წლის ასაკში „რეალში“ თამაშობდა. თუმცა უილშირი თავისი თავდაჯერებულობით საუკეთესო ახალგაზრდა ნახევარმცველია, რომელსაც ოდესმე შევხვედრივარ. ერთ დროს ის ინგლისის ნაკრების კაპიტანი გახდება. მას ჯერ კიდევ სჭირდება ნაკრებში გამოცდილების მოღება, მაგრამ ხასიათით ნამდვილი ლიდერია. ბოლო შვიდი თვის განმავლობაში ჯეკმა წარმოუდგენლად მოუმატა. ნაკრებში მისი პირველი მატჩის შემდეგ მასში დარწმუნებული არ ვიყავი, მაგრამ ახლა ყოველგვარი შიშის გარეშე თამაშობს. „ბარსელონასთანაც“ კი ის თავისი ჩვეული მანერით მოქმედებდა, — განაცხადა კაპელომ.

# „ბორჯღალოსნები“ ერთი საფეხურით ალზევდნენ

საქართველოს მორაგბეთა ეროვნულმა ნაკრებმა, ერთა თასზე თბილისში რუმინეთის ძლევით (18:11), რაგბის საერთაშორისო საბჭოს (Iკ ) მსოფლიო რეიტინგში საკუთარ მონაგარს 0,337 ქულა შემატა და ერთი საფეხურით აღზევდა. ახლა „ბორჯღალოსნები“ მე-14 ადგილს იკავებენ და უახლოეს მდევარ კანადას 0.22 ქულით უსწრებენ.ქართველთა წინ, ჩვენთვის სარეკორდო მე-13 ადგილზე იაპონიის ნაკრებია და „ბორჯღალოსნებს“□ მათთან 2-ქულიანი ჩამორჩენის შემცირების შანსი უახლოეს შაბათს ექნებათ. ამისათვის საჭიროა, რომ ქართველებმა 19 მარტს, სოჭში რუსეთის ნაკრებს სძლიონ და საკუთარი პოზიციების გამყარებასთან ერთად, სხვაობაც მნიშვნელოვნად შემცირდება. თუ საქართველოს ნაკრებმა რუსეთი 15 ქულაზე მეტი სხვაობით დაამარცხა, რეიტინგს 1,127 ქულას შემატებს, ხოლო ნაკლები სხვაობით გამარჯვების შემთხვევაში მატება 0,751 ქულა იქნება. სხვა ნებისმიერ შემთხვევაში, უკუსვლა გარდაუვალი იქნება.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს საუკეთესო 20 გუნდში, საქართველოსა და რუმინეთის ნაკრებთა მატჩის შედეგის გარდა, გადაადგილება არც ერთ შედეგს არ გამოუწვევია. შოტლანდიელთა მცირე სხვაობით ძლევამ (22:16) ინგლისს ვერაფერი შემატა. ყველაზე მეტი სარეიტინგო ქულა საფრანგეთმა დაკარგა, რომელიც რომში იტალიასთან დამარცხდა, მაგრამ რადგან კარდიფში ირლანდიამაც მარცხი იწვნია, ეს გუნდები კუთვნილ მეხუთე-მეექვსე ადგილებზე დარჩნენ, ოღონდ სარეიტინგო ქულები მნიშვნელოვნად შეეკვეცათ. ახლა მათ უელსიც წამოეწია, რომელმაც ირლანდიელები 19:13 დაამარცხა. ისტორიულმა გამარჯვებამ იტალიელთა წინსვლაც ვერ განაპირობა, თუმცა, ახლა ის ფიჯისა და სამოას მაქსიმალურად მიუახლოვდა და თუ ექვსი ერის დასკვნით მატჩშიც იმარჯვა, ან ფრეს მაინც გამორჩა, ტოპ ათეულში მოხვედრა გარანტირებული ექნება.

# მფლანგველი მაგათი



ფელიქს მაგათის „შალკეს“ მთავარი მწვრთნელისა და მენეჯერის პოსტებიდან გადაყენება გადაწყვეტილი ამბავია, მაგრამ პროცესი გაჭიანურდა და სავარაუდოდ, დღეს ყველაფერს წერტილი დაესმება. ფელიქს მაგათი წესით სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე სიტყვით უნდა წარდგეს.

გერმანელი მედია კი დარწმუნებით წერს, რომ მაგათი საბჭოს რიგგარეშე სხდომაზე, რომლის მიზანი მისი გათავისუფლებაა, საერთოდ არ გამოცხადდება. „ბილდის“ ცნობით, ფელიქსის წასვლა ასი პროცენტით გადაწყვეტილია, მაგრამ რაკი „შალკესთან“ კონტრაქტი 2013 წლამდე აკავშირებს და გაგდების შემთხვევაში კომპენსაცია ეკუთვნის, ახლა საქმე მხოლოდ ფულს ეხება. გერმანელი სპეციალისტის ხელფასი წელიწადში 6 მილიონი ევროა, რაც იმას ნიშნავს, რომ გელზენკირხენული კლუბისგან 12 მილიონი ევრო ეკუთვნის.

თუკი მაგათი 12 მილიონს სრულად მოითხოვს, „შალკეს“ შეფებს შეუძლიათ, ეს ფული მისცენ, მაგრამ 2013 წლის ივნისამდე სხვაგან მუშაობის ნება არ დართონ და უმუშევრობა აიძულონ, რაც მაგათს სავარაუდოდ არ უნდა აწყობდეს. გავრცელდა ცნობები იმის შესახებ, რომ ზალცბურგის „რედ ბულის“ მფლობელს, მილიარდერ დიტრიხ მატეშიტცს ფელიქსის გადაბირება უნდა და მზადაა, წელიწადში 8 მილიონი ევრო გადაუხადოს. ამიტომ, მაგათის 2 მილიონის □„ზარალს“□ გამორიცხავენ.

ჩემპიონთა ლიგაზე „ვალენსიასთან“ მიღწეულმა წარმატებამ (შალკე მეოთხედფინალში გავიდა) მაგათის გაგდება რამდენიმე დღით გადადო, თუმცა შაბათს, „აინტრახტთან“ მარცხის (1:2) შემდეგ ფელიქსმა მაინც გაიგო, რომ მისი გაშვება გადაწყვეტილია. გელზენკირხენული კლუბის ბოსების მთავარი არგუმენტები ასეთია: მაგათი ფეხბურთელებს არაადამიანურად ექცევა, სოციალურად არაკომპეტენტურია, 40 ფეხბურთელში, რომელთა უმრავლესობა გუნდს არაფერში გამოადგა, მილიონები გადაყარა.გერმანული პრესის ცნობით, გადაწყვეტილია, რომ „შალკეს“ სეზონის ბოლომდე 72 წლის ოტო რეჰაგელი ჩაიბარებს. და ვინ გაწვრთნის ლევან ყენიას გუნდს მომდევნო სეზონში? ფავორიტად „შალკეს“ ყოფილი დამრიგებელი რალფ რანგნიკი მიიჩნევა, რომელიც ბოლოს „ჰოფენჰაიმს“ წვრთნიდა, საიდანაც იანვრის დასაწყისში წავიდა, თუმცა „პროფესორ რალფს“ „ჰამბურგსა“ და „ვოლფსბურგშიც“ ეპატიჟებიან. გამორიცხული არაა, რომ რანგნიკმა „შალკე“ ახლავე ჩაიბაროს.

# ქეცბაიამ შემადგენლობა გამოაცხადა და ბასაზე პირველად ივარჯიშებს

**დასაწყისი მე-12 გვერდზე**

ბება ტექნიკურ ცენტრ „ბასაზე“ და იქვე ივარჯიშებს. თუმცა, 20 მარტი კვირაა, ამ დღეს კი ევროპულ საფეხბურთო ქვეყნებში მორიგი ტურია. ასე რომ, სრული შემადგენლობის შეკრებას უფრო 21 მარტს უნდა ველოდოთ.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვებ-გვერდის ცნობით, თემურ ქეცბაია მომავალი შეხვედრებისთვის შემდეგ ფეხბურთელებს მოამზადებს:

**მეკარეები:** გიორგი ლორია (დინამო), ნუკრი რევიშვილი (ანჟი, რუსეთი), როინ კვასხვაძე (ზესტაფონი);

**მცველები:** ლაშა სალუქვაძე (ვოლგა, რუსეთი), აკაკი ხუბუტია (გაზ მეთანი, რუმინეთი), კახა კალაძე (ჯენოა, იტალია), დავით კვირკველია (პანიონიოსი, საბერძნეთი), გურამ კაშია (ვიტესი, ჰოლანდია), კახა ალადაშვილი (ზესტაფონი), ალეკო ამისულაშვილი (კრასნოდარი, რუსეთი), ზურაბ ხიზანიშვილი (რედინგი, ინგლისი), გიორგი ხიდეშელი (ზესტაფონი);

**ნახევარმცველები:** გოგიტა გოგუა (ვოლგა, რუსეთი), მურთაზ დაუშვილი (ზესტაფონი), ჯაბა კანკავა (კრივბასი, უკრაინა), ჯანო ანანიძე (სპარტაკი მოსკოვი, რუსეთი), ლევან კობიაშვილი (ჰერტა, გერმანია), სანდრო გურული (კარპატი, უკრაინა);

**თავდამსხმელები:** ლადო დვალიშვილი (მაკაბი, ისრაელი), ალექსანდრე იაშვილი (კარლსრუე, გერმანია), დავით სირაძე (ნალჩიკი, რუსეთი), ოთარ მარცვალაძე, მათე ვაწაძე (ორივე ვოლგა, რუსეთი).

აღნიშნული მატჩებისთვის მზადებას თემურ ქეცბაიას გუნდი ეროვნული ნაკრების ტექნიკურ ცენტრ „ბასაში“ დაიწყებს, სადაც წესით გუშინ უნდა დამთავრებულიყო სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელიც კომპანია „ქართუს“ დაფინანსებულია.ბაზაზე დაწყებული ბალახის საფარის დაგება, როგორც გითხარით, გუშინ დასრულდა. საბერძნეთიდან ჩამოიტანეს არა მიწის ბელტები, არამედ საგანგებოდ შერჩეული ბალახის საფარის რულონები, რომლებიც რბილი, რეზინივით დრეკადია და დიდ დატვირთვებს უძლებს. სხვათა შორის, ანალოგიური საფარია პირეოსის „ოლიმპიაკოსის“ სტადიონზე.ხორვატიასთან მატჩის შემდეგ იგეგმება ძველი ტრიბუნების ადგილზე 2-დან 3 ათას მაყურებლამდე გათვლილი ტრიბუნების აშენება, ინდივიდუალური პლასტმასის სკამებისა და განათების სისტემის დამონტაჟება და საღამოს ვარჯიშების ჩატარება „ბასაზეც“ შესაძლებელი გახდება.

უკვე დასრულდა ფეხბურთელთა საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა. პირველ სართულზე მდებარე სასადილოს ადგილას დამატებით 9 ოთახი მოეწყო, გარემონტდა პირველ და მეორე სართულებზე მდებარე 20 ნომერი. სულ 25 ჩვეულებრივი ნომერია, 2 ნახევრადლუქსი და 2 ლუქსი. კვების ბლოკისა და ბარისთვის კი კორპუსს დამატებითი ფართი მიუშენეს.ხორვატიასთან მატჩისთვის ემზადება ეროვნული სტადიონიც. არენის დირექტორ სანდრო შახოვის თქმით, მარტში თბილისის „დინამომ“ რუსთავის „ფოლადის“ სტადიონზე ამის გამო ითამაშა, საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა კი — „მიხეილ მესხზე“.

# გოჩა ხოჯავა: „ვოლგის“ ქართული სამკუთხედი კიდევ გაიბრწყინებს!

რუსეთის ჩემპიონატის სადებიუტო მატჩში ქართველი ლეგიონერების „ვოლგა“ „ტომს“ შეხვდა და 2:0 დაამარცხა. ქართველთაგან მატჩი სრულად ითამაშეს გრიგალავამ, სალუქვაძემ, გოგუამ. ხოჯავა 87 წუთზე ვაწაძემ შეცვალა, მარცვალაძე კი ომარ თეთრაძემ მოედნიდან მატჩის ბოლო წუთზე გაიყვანა.

შეხვედრის პირველი გოლი უკვე მე-5 წუთზე ოთარ მარცვალაძემ გაიტანა. „ვოლგას“ ვიცე-კაპიტანმა და საუკეთესო ბომბარდირმა საჯარიმოს ხაზიდან დაარტყა, ბურთი ხარიტონოვს მოხვდა და შორეულ დაბალ კუთხეში შეგორდა.

10 წუთის შემდეგ იგივე ხარიტონოვი ფლანგზე მოაქტიურე გოგუას წინააღმდეგ დაჯარიმდა. გოგუამ საჯარიმო დარტყმით ბურთი მეტოქის მეკარის მოედანში ჩაჰკიდა, სადაც ბენდზმა ყველას დაასწრო და თავური დარტყმით გოლი გაიტანა.

„ვოლგას“□ თამაში ჩვენთვის უფრო იმიტომ არის საინტერესო, რომ იქ საქართველოს ნაკრების რამდენი ფეხბურთელი თამაშობს. ამიტომაც შევეცდებით ამ კლუბისა და ჩვენი ფეხბურთელების ირგვლივ ყველა საჭირო ინფლორმაცია მოგაწოდოთ.

**ოთარ მარცვალაძე:**

— არ ველოდი, რომ პირველ გოლს ასე სწრაფად გავიტანდი. გულის სიღრმეში, რა თქმა უნდა, მჯეროდა და ვგრძნობდი, რომ ამის გაკეთებას შევძლებდი. ძალიან მიხარია, რომ დღეს გამარჯვება მოვახერხეთ. პრემიერლიგაში ჩემს პირველ გოლს კი ჩემს გუნდს — „ვოლგას“ და ახლობლებს ვუძღვნი.

**გოჩა ხოჯავა:**

— მიმაჩნია, რომ ეს მატჩი ჩვენთვის ძალიან კარგი გამოდგა. ჩემი აზრით, დღევანდელი შეხვედრის საუკეთესო მოთამაშე გოგიტა გოგუა იყო, მეორე ადგილზე კი ოთარ მარცვალაძეს დავაყენებდი. პირობას გაძლევთ, რომ ჩვენი ქართული სამკუთხედი შემდეგ მატჩებშიც გაიბრწყინებს. ვეცდებით კიდევ მოვუმატოთ.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# 2008 წლის გამეორება რუსეთისთვისაც კატასტროფულად შემობრუნდება

გერა მამულაშვილი



ინტერვიუს რუსეთში საქართველოს ყოფილ ელჩთან, პოლიტოლოგ ზურაბ აბაშიძესთან რუსული გამოცემა „კომერსანტი" აქვეყნებს. მასალას მცირედი შემოკლებით გთავაზობთ.

— ***რამ ჩამოგიყვანათ მოსკოვში?***

— მოსკოვში საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის დელეგაციის შემადგენლობაში ჩამოვედი. ჩვენი ეკლესიის დელეგაცია, 2008 წლის ომის შემდეგ მოსკოვში პირველად იმყოფება. ომის დროსაც კი ორ ეკლესიას შორის კავშირები არ გაწყვეტილა. ისინი ორი ეკლესიის მეთაურთა პოზიციების წყალობით შენარჩუნდა, რომლებსაც დიდი ხანია თბილი, კარგი ურთიერთობები აკავშირებთ. მე ადამიანთა იმ რიცხვს მივეკუთვნები, რომლებიც თვლიან, რომ ეს კავშირები ძალიან მნიშვნელოვანია იმ პერიოდში, როდესაც სახელმწიფო დონეზე პრაქტიკულად არანაირი კონტაქტები არ არის. რა თქმა უნდა, თუ არ ჩავთვლით ჟენევის დისკუსიებს, რომელიც თავისი პრობლემატიკით მაინც ვიწრო ფორმატია.

— ***შეუძლიათ ეკლესიებს პოლიტიკურ დიალოგზე ზეგავლენის მოხდენა?***

— ეკლესიებს პოლიტიკურ ურთიერთობებზე უშუალო გავლენის მოხდენა არ შეუძლიათ, ეს მათი ფუნქციები არ არის. მაგრამ ფონის გაუმჯობესება, შექმნილი ჩიხური სიტუაციიდან რაღაც გამოსავლის მოძებნა მათ შეუძლიათ და ისინი ცდილობენ ამის გაკეთებას. ისინი პოლიტიკოსებს მაგალითს აძლევენ. ეს ურთიერთობები იდეალური არ არის, მაგრამ დიალოგის, კონტაქტების გზით ისინი არსებული პრობლემების ნაბიჯ-ნაბიჯ გაუმჯობესებას ცდილობენ.

— ***როგორი იყო ვიზიტის დღის წესრიგი?***

— ვიზიტის დროს ძარითადად განიხილებოდა ეკლესიათაშორისი ურთიერთობების საკითხები. ამასთან ერთად დელეგაციამ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიმართვა ჩამოიტანა, რომელიც ორივე სახელმწიფო მეთაურისადმი არის მიმართული. მასში კერძოდ ნათქვამია, რომ კავკასიაში ძალიან რთული მდგომარეობა არის შექმნილი. ეს არის სიტუაცია ჩრდილოეთ კავკასიის გარშემო, მთიანი ყარაბაღის ირგვლივ და რა თქმა უნდა, საქართველოს ტერიტორიების პრობლემების გადაწყვეტა. მთელი რეგიონი შემართულ ჩახმახს გვაგონებს. ამ რთულ სიტუაციას დიალოგის არარსებობა კიდევ უფრო აღრმავებს. დღეს უბრალოდ არ არის ერთიერთშორის ქიშპობის დრო, საჭიროა მომავლისკენ ხედვა, საჭიროა შორსმჭვრეტელობის გამოჩენა.

ასე რომ, ჩვენი პატრიარქი მხარეებს მოუწოდებს, ვაჟკაცობა გამოიჩინონ და სხვადასხვა დონეებზე კონტაქტები დაიწყონ. საქართველოს და რუსეთს კავკასიის რეგიონში ისტორიულად განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აქვთ.

— ***ლიდერების სურვილის გარეშე, ამ კონტაქტებს ნუთუ რაიმე შეუძლიათ? ჟენევის დისკუსიები არაერთი წელია მიმდინარეობს, თუმცა, განსაკუთრებული შედეგები დღემდე არ ჩანს.***

— პატრიარქი მხარეებს დაუყოვნებლივი შერიგებისკენ არ მოუწოდებს. ის უბრალოდ მოუწოდებს რეგიონის სიტუაციის მხედველობაში მიღებას და დიალოგის დაწყებას. საუბარი სავსებით უბრალო საგნებზე მიდის. მაგალითად, ვიღაცას ეჭვი აქვს, რომ საქართველო სოჭის ოლიმპიადის ჩაშლას ცდილობს ანდა რაღაც შეუფერებელს აკეთებს ჩრდილოეთ კავკასიაში. ეს ნიშნავს, რომ ორი ქვეყნის ძალოვნები უნდა შეხვდნენ ერთმანეთს, მოხსნან ეს ეჭვები, შეხედონ ფაქტებს, თუ ისინი საერთოდ არსებობენ. შეხვდენ იგივე პარლამენტარები. და ბოლოს, თუ პოლიტიკოსებმა არ იციან, რაზე ისაუბრონ, იქნებ ადამიანები, რომლებიც თავიანთ თავს ექსპერტებს უწოდებენ, შეხვდნენ და მოიფიქრონ რაზე ისაუბრონ და როგორ შეიძლება მდგომარეობიდან გამოსავლის პოვნა.

მესმის, რომ სიტუაციის შეფასებები განსხვავებულია; ხედვა იმისა, რა მოხდა 2008 წლის აგვისტოში, ასევე ერთმანეთისგან კარდინალურად განსხვავებულია. მაგრამ პოლიტიკური კონიუნქტურიდან დისტანცირება არის საჭირო. მსოფლიოში რუსულ-ქართულ ურთიერთობებში რაღაც შემობრუნებას ელიან. არ მსურს გადაჭარბებულად შევაფასო საქართველოს მნიშნელობა, მაგრამ საერთაშორისო თანამეგობრობა დიდი ხანია რაღაც პოზიტივს ელის. ქართული მიმართულებით ასეთი პოზიტივი კარგი ნიშანი იქნებოდა და სხვათა შორის, რუსეთის ავტორიტეტის ამაღლებასაც მოემსახურებოდა.

— ***საქართველოში რამდენად მხარს დაუჭერენ პატრიარქის მოწოდებას რუსეთთან დიალოგისკენ? პრეზიდენტი სააკაშვილი ხომ ამბობს, რომ დიალოგის დაწყებისთვის მთავარ წინაპირობას აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ოკუპაციის აღიარება წარმოადგენს?***

— პატრიარქი საქართველოში ყველაზე ავტორიტეტული და პატივცემული ადამიანია. მიმართვის მეორე დღეს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მხრიდან კომენტარი გაკეთდა, რომელიც პატრიარქის მიმართვის სულისკვეთებას და შინაარსს სრულად მხარს უჭერდა. ვფიქრობ, რომ მოსახლეობის და საზოგადოების უმეტესობა რაღაც ნაბიჯების აუცილებლობას ხვდებიან. საუბარი არ მიდის იმაზე, რომ ერთმანეთს ჩასახუტებლად ვეცეთ და ვაპატიოთ ყველაფერი, რაც მოხდა. ამისთვის ალბათ დრო იქნება საჭირო. ისეთი ქვეყნისთვის, როგორიც რუსეთია 2008 წლის ომი — დრამატული მოვლენაა; მაგრამ იქამდეც და შემდეგაც ბევრი სხვა მნიშვნელოვანი ამბები იყო. ხოლო თანამედროვე საქართველოსთვის მთელი წელთაღრიცხვა 2008 წლიდან იწყება. ასე რომ, ძალიან ძნელი იყო ყველაფრის დავიწყება, რაც მოხდა. მაგრამ დღეს უბრალოდ უნდა მოვუსმინოთ თვითგადარჩენის ინსტინქტს. ეს თქვენც უნდა გააკეთოთ და ჩვენც. განსაკუთრებით კავკასიაში სიტუაციის გათვალისწინებით.

— ***შეუძლიათ თუ არა პატრიარქებს, რომ პოლიტიკოსებს პირადი შეხვედრის მაგალითი მისცენ?***

— ისინი ისედაც მუდმივად კონტაქტობენ ერთმანეთში. უფრო მეტიც, ჩვენი პატრიარქი ჩამოსული იყო მოსკოვში, როდესაც ალექსი მეორე გარდაიცვალა, რომელთანაც მას მჭიდრო ადრინდელი ურთიერთობები ჰქონდა. მაშინ ისინი მიტროპოლიტ კირილთან ხვდებოდნენ, საუბრობდნენ. მე არ გამოვრიცხავ, რომ ორი ეკლესიის მეთაურების ახალი შეხვედრა შედგება. ეს ასევე განხილვის თემაა. ჩემი დაკვირვებით, ეკლესია იქაც და აქაც ძალიან ცდილობს, რომ რაღაცნარიად ხელი შეუწყონ მოვლენების შემობრუნებას ნორმალურ ადამიანურ ჩარჩოში.

— ***რა პირველი რიგის ზომების გატარება შეიძლებოდა ურთიერთობების ნორმალიზაციისთვის?***

— პირველი რიგის საკითხები უსაფრთხოებასთან არის დაკავშირებული. საჭიროა განვიხილოთ, რა აწუხებს რუსულ მხარეს, რა აშფოთებს ქართულ მხარეს. მაგალითად, პრეზიდენტ მედვედევის გამონათქვამი, რომელმაც თქვა, რომ საქართველოს მთლად კარგი მისწრაფებები არ აქვს სოჭის ოლიმპიადასთან მიმართებაში. მესმის, რუსეთისთვის ეს რამდენად მნიშვნელოვანი ღონისძიებაა. პრეზიდენტი ხომ ჰაერზე არ საუბრობდა. და თუ არის რაღაც ფაქტები, სპეციალისტები უნდა დასხდნენ და განიხილონ, რამდენად საფუძვლიანია ეს ფაქტები. მეჩვენება, რომ რუსეთში მთლად არ აქვთ გააზრებული ჩვენი განცდების სიმეტრიულობა. საქართველოსთვის ასეთი ტიპის ნებისმიერი განცხადება, რაღაც მორიგი აგრესიის საფრთხედ განიხილება.

— ***რისი გაკეთება შეიძლება ეკონომიკურ პლანში?***

— აქ საუბრებისთვის ძალიან ბევრი თემაა. მაგალითად, მრავალმხრივ ფორმატში რუსეთის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში (ვმო) გაწევრიანების მოლაპარაკებები მიმდინარეობს. საქართველოს თავისი პოზიცია აქვს; სანამ გარკვეული საკითხები არ გადაწყდება, საქართველო ამ ორგანიზაციაში რუსეთის შესვლას მხარს არ დაუჭერს. აი, ისევ თემა განხილვისთვის. ასეთი საკითხები კი ძალიან ბევრია!

გასულ წელს რაღაც ზომები იქნა გატარებული მოქალაქეების, ტრანსპორტის, ტვირთების, გადაადგილების საკითხებში, გაიხსნა საზღვარი ზემო ლარსის პუნქტზე. ეს ასევე არ იყო უბრალო გადაწყვეტილება და საქართველოშიც ისმოდა საწინაალმდეგო ხმები. მაგრამ საზღვარი გაიხსნა, ადამიანები გადაადგილდებიან.

იგივე საგარეო მიმოსვლაშიც — ჩვენ პირდაპირი რეისით ჩამოვედით. სხვათა შორის, რუსეთის მოქალაქეები ვიზებს აეროპორტში იღებენ, ამას სულ რაღაც ათი წუთი სჭირდება. ხოლო იმისთვის, რომ ქართველებმა რუსეთში ვიზა მიიღონ — ეს მთელი ისტორიაა. საქართველომ კიდევ უფრო შერბილებული რეჟიმი შემოიტანა ჩრდილოეთ კავკასიის მაცხოვრებლებისთვის. ამის განხილვა ასევე საჭიროა, რა ხდება ამის უკან, რატომ გაკეთდა ეს.

— ***საქართველოში დიალოგის მომხრე ადამიანები ბევრნი არიან?***

— არიან ადამიანები, ვინც ამბობს: „ამაოდ ცდილობთ ეკლესიის საშუალებით და რაღაც სხვა კონტაქტებით რუსეთის დარწმუნებას ურთიერთობის დალაგებაში". ისინი ამბობენ, რომ რუსეთს საქართველოსთან ნორმალური ურთიერთობები არ სჭირდება. რუსეთს საქართველოს სახით მტერი სჭირდება, რომელზეც თავის ყველა პრობლემებს ჩამოწერს და ასევე წარუმატებლობებს ჩრდილოეთ კავკასიაში. რაც უფრო მეტი იქნება ეს წარუმატებლობები, მით უფრო მეტად არის საჭირო ქვეყანა, საჭიროა მტერი, რომელზეც ეს ყველაფერი ჩამოიწერება. ყოველთვის ადვილი არ არის ამ ადამიანებთან დავა, მაგრამ მე პირადად ასე არ ვფიქრობ. ვფიქრობ, რუსეთის ხელმძღვანელობაში პრაგმატული ადამიანები არიან და მათ ესმით, რომ იმის განმეორება რაც 2008 წელს მოხდა, ნამდვილი კატასტროფით შემობრუნდება არა მარტო საქართველოსთვის.

## ვინ უნდა ააშენოს ქართული შეიარაღებული ძალები

დასაწყისი მე-7 გვერდზე

წყვეტს, ამის გაკეთება არ არის შეიარაღებულ ძალებში სამსახური. დავუშვათ, 18-19 წლის რომ ვიყო, კვლავ სიამოვნებით დავიწყებდი სამხედრო კარიერას.

— ***აგვისტოს ცხელ დღეებში თქვენთვის რომ ეკითხათ, ცხინვალის ოპერაციაში ჩართვას გადაწყვეტდით?***

— საერთოდ, გარედან მრჩევლები ყოველთვის გაცილებით ჭკვიანები არიან. სამწუხაროდ, ბევრი სამხედროსაგან მომისმენია, ჩვენთვის ეკითხათ, გამოცდილება გვაქვსო. სამხედროში სხვისთვის შეკითხვა არ არსებობს. თუ თანამდებობაზე ვარ, იმ თანამდებობის კომპეტენციაში უნდა ვიმოქმედო. ვიღაცის რჩევა არ მაინტერესებს.

— ***ამით საზოგადოება განსაჯის, რამდენად სწორად მოიქცა ხელისუფლება.***

— თუ მე ვარ თანამდებობაზე, ჩემი თანამდებობის კომპეტენციაში ვიღებ გადაწყვეტილებას. იმ პერიოდში მე რომ ვყოფილიყავი შეიარაღებულ ძალებში რომელიმე თანამდებობაზე, ყოველგვარი ზედმეტი განხილვის გარეშე შევასრულებდი ბრძანებას. შევეცდებოდი, ბრძანება კარგად შემესრულებინა.

— ***მე, უბრალოდ, იმის გაგება მინდა, იმ პერიოდში ცხინვალის პროცესებში ჩართვა საჭირო იყო თუ არა...***

— გარკვეულწილად, იგრძნობოდა, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალები ბოლომდე მომზადებული არ გახლდათ. გარკვეული სამზადისი დასრულებული არ იყო. აქედან გამომდინარე, კარგი იქნებოდა, თუ ეს ოპერაცია ერთი წლით გადაიდებოდა და ფორსირებულად მოხდებოდა შეიარაღებული ძალების პოტენციალის გაზრდა, მაგრამ, ეჭვი მაქვს, როდესაც უმაღლესი მთავარსარდალი გადაწყვეტილებას იღებდა, სამწუხაროდ, ის სარდლები, რომლებიც ცალკეულ სახეობას ხელმძღვანელობდნენ, მას ცრუ ინფორმაციას აწვდიდნენ, ატყუებდნენ მზაობის შესახებ. მთავარსარდალს ვერ უბედავდნენ ეთქვათ, რომ, გარკვეულწილად, მოუმზადებლები იყვნენ. ძალიან მკაცრად დავსჯიდი ავიაციის სარდალს, რომლის კომპეტენციაშიც იყო ჰაერსაწინააღმდეგო ბრძოლის საშუალებები. აღმოჩნდა, რომ თურმე ჩვენ ეს საშუალებები გვაკლდა. დარწმუნებული ვარ, ამის თაობაზე მას მოხსენება გაკეთებული არ ექნებოდა. ეს არის პრობლემა.

## თქვენ და იმედგაცრუება




1. თუ გიგრძვნიათ ოდესმე, რომ ცხოვრებაში რაღაც გაკლიათ?
2. თუ გაქვთ აუსრულებელი სურვილები?
3. თუ გაგჩენიათ გრძნობა, რომ ცხოვრების ორომტრიალის მიღმა დარჩით?
4. თუ გაქვთ ნიჭი და ტალანტი, რომელიც ჯერ არ გამოგიყენებიათ?
5. იმედის თვალით უყურებთ მომავალს?
6. თუ აკეთებთ ამჟამად იმ საქმეს, რაზეც ოცნებობდით?
7. თუ გაღიზიანებენ სხვა ადამიანები?
8. ხშირად ხართ მოწყენილი?
9. თუ გიგრძვნიათ ოდესმე ისეთი იმედგაცრუება, რომ ყვირილი მოგინდათ?
10. თუ გაგჩენიათ ადამიანისთვის გარტყმის სურვილი.
11. ზოზინებს უხეშად თუ ეპყრობით?
12. მომთმენი თუ ხართ?
13. გაკმაყოფილებთ საკუთარი სექსუალური ცხოვრება?
14. თუ ისურვებდით, რომ მეტი მოვალეობა გქონდეთ?
15. ამაყობთ თქვენი მიღწევებით?

### პასუხები

*დადებითი პასუხების რაოდენობის მიხედვით (გარდა მე-3, 5, 6, 12, 13 შეკითხვებისა)*

**0-4 ქულა:** იმედგაცრუება თქვენთვის უცხო ხილია, სიცოცხლისაგან სიამოვნებას იღებთ.

**5-8 ქულა:** იმედგაცრუება თქვენთვის უცხო ხილი არაა, თუმცა არც ძალიან ხშირ მოვლენას წარმოადგენს. ალბათ სჯობდა, თქვენი ცხოვრების კონტროლი გაგეძლიერებინათ. გაიხსენეთ, რა ამბიციები გქონდათ.

**9-15 ქულა:** თქვენი ცხოვრება იმედგაცრუებებით არის სავსე. ნუ ზიხართ გულხელდაკრეფილი, ნუ ელით, თითქოს რაიმე თავად მოხდება, თუ თავად გახდებით თქვენი ცხოვრების ბატონ პატრონი, არაფერს წააგებთ, უარეს შემთხვევაში საკუთარ თავს მაინც დაამტკიცებთ მარცხს და წარუმატებლობას.

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ძველი ქართული ხალხური ცხენოსნური თამაში; 2. ბალნეოლოგიური კურორტი რაჭაში; 3. წითელი ფერის ძვირფასი ქვა; 5. უნგრეთის ფეხბურთელთა გუნდი; 6. რაიმეს ზედაპირის ფართობის ერთეულზე მოქმედი ძალა; 7. „სევილიელი დალაქის", „ფიგაროს ქორწინება"-ს ავტორი; 11. ქართველი კალათბურთელი ოლიმპიური ჩემპიონი; 13. შრი-ლანკას ძველი სახელწოდება; 14. მერაბ ბერძენიშვილის ქანდაკება ბიჭვინთაში; 15. არქიტექტურულად გაფორმებული შენობის მთავარი შესასვლელი; 16. გემრიელი საჭმელების მოყვარული, მცოდნე ადამიანი; 17. დენის ძალის საზომი ერთეული; 19. მანძილის საზომი ერთეული ინგლისურ მეტრულ სისტემაში; 20. ფრანგი მოქანდაკე ქალი.

**თარაზულად:** 1. მიწაში ბინადარი ცხოველი; 4. პლასტიკურ და რიტმულ მოძრაობათა ხელოვნება; 8. სახელმწიფო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში; 9. პატარა კოტეჯი შვეიცარიის ალპებში; 10. ღვინის რაოდენობის საზომი ძველებური ერთეული, უდრიდა დაახლოების ერთ ლიტრს; 12. ქართველი ესტრადის მომღერალი ქალი; 14. საკერავი მანქანის ნაწილი; 15. ჩინური დეკორატიული ჯიშის ძაღლი; 16. სხვისი შვილების გამზრდელი ქალი; 18. მრავალჯერადი გამოყენების ამერიკული კოსმოსური ხომალდების სერია; 21. ფრანგული მინერალური წყალი; 22. ხელოვნური ბოჭკოს ქსოვილი; 23. მოხეტიალე მუსლიმანი ბერი.

*შეადგინა თ. კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ბოდო; 2. ილორი; 3. ოხორი; 5. შამანი; 6. რელიქვია; 9. ტაიკონავტი; 10. კანდელაკი; 11. პოლიგამია; 14. კიი; 16. ბურიმე; 18. შოვი.

**თარაზულად:** 1. ბეხიკი; 4. ქაშანური; 7. ბორანი; 8. რუსთავი; 12. გინზა; 13. იკორთა; 15. მდოგვი; 17. ჩაი; 19. ჰემოგლობინი; 20. ცირკი; 21. ფიულკე.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. მარხვა; 2. ნაურუ; 3. ლაკი; 5. პანედა; 6. ფშავი; 7. კალორია; 11. გეიტსი; 13. ბეიძინი; 14. პრიზი; 15. მონარქი; 16. კონსომე; 17. დოკერი; 19. არაყი; 20. ბახი.

**თარაზულად:** 1. მენზულა; 4. სტეპი; 8. კოალა; 9. ნუგა; 10. ხორაგი; 12. ტორპედო; 14. პატი; 15. მამასონი; 16. კრინი; 18. აბაზა; 21. კაფია; 22. მესხეთი; 23. ყურძენი.

# მიხაილ ხოდორკოვსკი შეიძლება სინდისის პატიმრად გამოაცხადონ



ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია „ემნესტი ინტერნეიშნლმა“ ახლო მომავალში კომპანია „იუკოსის“ ყოფილი მფლობელების, მიხალ ხოდორკოვსკისა და პლატონ ლებედევის „სინდისის პატიმრებად“ აღიარების საკითხი შეიძლება განიხილოს.

ხოდორკოვსკისა და ლებედევის სინდისის პატიმრებად აღიარების თხოვნით ორგანიზაციას რუსი მწერლების, მსახიობების, რეჟისორების, მეცნიერებისა და ჟურნალისტების ჯგუფმა მიმართა.

წერილი, რომელსაც ხელი 45-მა ადამიანმა მოაწერა, მიხაილ ხოდორკოვსკისა და პლატონ ლებედევის მხარდამჭერ ოფიციალურ საიტზეა გამოქვეყნებული.

როგორც წერილის ავტორები აღნიშნავენ, რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ სამარცხვინო მეორე სასამართლო პროცესი გამართა და სასამართლოზე უპრეცედენტო ზეწოლის შედეგად ახალი, უფრო მკაცრი განაჩენის გამოტანა შეძლო, რომლის მთავარ მიზანსაც ხოდორკოვსკის ციხიდან გათავისუფლების შესაძლებლობის აღკვეთა წარმოადგენდა.

წერილის ხელმომწერთა შორის არიან მწერლები ბორის აკუნინი, ბორის სტრუგაცკი, ლიუდმილა ულიცკაია, მსახიობები ოლეგ ბასილაშვილი, მიხაილ კაზაკოვი, სერგეი იურსკი, მსახიობები ლია ახეჯაკოვა, ნატალია ფატეევა, რეჟისორები ელდარ რიაზანოვი, კამა გინკასი, გენრიეტა იანოვსკაია, მუსიკოსი გიდონ კრემერი, ჟურნალისტები ვლადიმირ პოზნერი, ლეონიდ პარფიონოვი, იური როსტი, დმიტრი კრილოვი, მეცნიერები ალექსანდრ გოროდნიცკი და მიხაილ დელიაგინი.

„ემნესტი ინტერნეიშნლის“ რუსეთის წარმომადგენლობის დირექტორის, სერგეი ნიკიტინის თქმით, პოლიტპატიმარსა და სინდისის პატიმარს შორის გარკვეული განსხვავება არსებობს.

მისი თქმით, სინდისის პატიმარია ადამიანი, რომელიც ციხეში მხოლოდ და მხოლოდ თავისი სამომავლო გეგმების მშვიდობიანი გამოხატვის გამო მოხვდა.

2010 წლის 30 დეკემბერს მოსკოვში ხამოვნიჩის სასამართლომ მიხაილ ხოდორკოვსკისა და პლატონ ლებედევს 13.5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა სასჯელის საერთო რეჟიმის კოლონიაში მოხდით.

რუსეთის პრეზიდენტმა დმიტრი მედვედევმა მიმდინარე წლის თებერვალში ადამიანის უფლებათა დაცვის პრეზიდენტის საბჭოს „იუკოსის“ მეორე პროცესის ექსპერტიზის მიზნით იურისტთა კომისიის შექმნა დაავალა.

*მოამზადა გენადი თვაურმა*

# იაპონიის ატომურ ელექტროსადგურზე რადიაციამ სიცოცხლისათვის სახიფათო დონეს მიაღწია

იაპონიის მთავრობის განცხადებით, „ფუკუსიმა 1“ ატომურ ელექტროსადგურში რადიოაქტიურობის გაჟონვამ ადამიანებისათვის სახიფათო დონეს მიაღწია. ატომურ ელექტროსადგურში სამშაბათს ღამეს მესამე აფეთქება მოხდა, რის შედეგადაც ექვსიდან მეორე რეაქტორი დაზიანდა.

ასევე სამშაბათს იმავე სადგურის მეოთხე რეაქტორზე ბირთვული საწვავის გამომუშავებული ღეროების შესანახ აუზში მომხდარი ხანძრის შედეგად ატმოსფეროში რადიოაქტიური ნივთიერებები გაიფრქვა. ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ინფორმაციით, მიმდინარე მომენტისათვის ხანძარი ჩამქრალია. საწვავი ღეროები ისეთი ცხელია, რომ აუზში წყალი დუღს.

რეაქტორი ჯერ კიდევ მიწისძვრამდე იყო გაჩერებული.

ფუკუსიმა 1 ატომური ელექტროსადგურის რეაქტორების გაცივების სისტემა მწყობრიდან 11 მარტს მომდარი 9 ბალიანი მიწისძვრის შედეგად გამოვიდა. იაპონიის მთავრობის წარმომადგენლების განცხადებით, კიდევ ორ რეაქტორზე ტემპერატურის მნიშვნელოვანი მატება დაფიქსირდა.

ეს ატომური ელექტროსადგური 1970-იან წლებშია აგებული. ფუკუსიმა-1-ის ავარიამ საერთაშორისო საზოგადოებრიობის შეშფოთება გამოიწვია. ასე, მაგალითად, გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა 1980 წლამდე ამოქმედებული ყველა რეაქტორის სამი თვით გაჩერების განკარგულება გასცა.

საფრანგეთის ბირთვული უსაფრთხოების სამმართველო ფუკუსიმას ატომურ ელექტროსადგურზე მომხდარ ავარიას მეექვსე კატეგორიას მიაკუთვნებს. ყველაზე მაღალი მეშვიდე კატეგორიისა ჩერნობილში მომხდარი აფეთება იყო.

იაპონიის ხელისუფლებმა სადგურის გარშემო 20-კმ-იან ზონაში მოსახლეობა გახიზნეს. 20-30 კმ ზონაში მცხოვრებ მოქალაქეებს ურჩიეს, საცხოვრებელი სახლები არ დაეტოვებინათ.

გაეროს ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს მონაცემებით, ხელისუფლებმა დასხივებაზე 150 ადამიანი შეამოწმეს, მათგან 23-ს დეაქტივაცია დასჭირდა. ფუკუსიმას ატომური ელექტროსადგურის ოპერატორი კომპანიის, „ტოკიო ელექტრიქ ფაუერ ქომფანის“ მონაცემებით, ავარიის ზონაში რადიოაქტიური ფონი იმდენად მაღალია, რომ ადამიანის მიერ ერთ საათში მიღებული დოზა წლიურ ნორმას რვაჯერ აღემატება.

იაპონიის ხელისუფლების განცხადებით, სადგურში რადიაციის მკვეთრი ზრდა დაფიქსირდა, თუმცა შემდეგ რადიაციის დონე კვლავ დაეცა.

სააგენტო კიოდოს ცნობით, იაპონიის ხელისუფლებმა სადგურის გარშემო 30 კმ-ის რადიუსით ფრენები აკრძალეს.

გავრცელებული ცნობების თანახმად, აფეთქებები რეაქტორების გაცივების სისტემის გაუმართაობასთან არის დაკავშირებული და აფეთქებების შედეგად რეაქტორები არ დაზიანებულა.

ატომურ ელექტროსადგურში კვლავაც რეაქტორების გაცივებას ცდილობენ. ამ მიზნით ინჟინრებმა რეაქტორებში ზღვის წყალი ჩატუმბეს, მაგრამ სხვადასხვა ცნობებით, ხუთიდან ოთხი ტუმბო აფეთქებების შედეგად დაზიანდა.

მიმდინარე მომენტისათვის იაპონიაში შეჩერებულია ყველა ატომური ელექტროსადგური. ისინი ქვეყნის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის მესამედს გამოიმუშავებდნენ. ხელისუფლებმა ენერგომოხმარების შემცირების მიზნით ზომები მიიღეს.

იაპონიის ხელისუფლებმა გაეროს ატომური სააგენტოსა და აშშ-ის წარმომადგენლებს რეაქტორების გაცივების სისტემის აღდგენაში დახმარების თხოვნით მიმართეს. კერძოდ, ამერიკელებს რეაქტორების წყლით გაცივების უზრუნველსაყოფად აღჭურვილობა სთხოვეს.

ექსპერტების ვარაუდით, 1986 წელს მომხდარი ჩერნობილის სცენარის გამეორების ალბათობა იაპონიაში მცირეა, რადგან იაპონური ატომური ელექტროსადგურები უსაფრთხოების უფრო მაღალი სტანდარტების მიხედვით არის აგებული.

11 მარტს მომხდარი 9 ბალიანი მიწისძვრის შედეგად იაპონიაში ნახევარ მილიონამდე ადამიანი უსახლკაროდ დარჩა. უკვე დადასტურდა 2400 ათასი ადამიანის დაღუპვა, თუმცა, ეს რიცხვი საბოლოო არ არის და ხელისუფლები ვარაუდობენ, რომ დაღუპულთა რიცხვმა 10 ათასს შეიძლება მიაღწიოს.

იაპონიის ხელისუფლების განცხადებით, სახელმწიფომ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილიზების მიზნით მანამდე გამოყოფილი 180 მილიარდის დამატებით 98 მილიარდი დოლარი გამოყო.

იაპონიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, მიაძაკის პრეფექტურაში ვულკანი სინმოე გააქტიურდა. ვულკანმა ფერფლი და ქვები ატმოსფეროში ოთხი კილომეტრის სიმაღლეზე ატყორცნა. სპეციალისტებმა ვულკანური აქტივობა ხუთბალიანი შკალის სამი ბალით შეაფასეს.

სინომე მიწისძვრის ზონიდან 1500 კმ-ის დაშორებით მდებარეობს, 2011 წლის დასაწყისიდან აქ ათზე მეტი ამოფრქვევა მოხდა. სპეციალისტები ჯერ ვერ შეთანხმებულან, არსებობს თუ არა რაიმე კავშირი ვულკანის გააქტიურებასა და ქვეყნის ისტორიაში მომხდარ უძლიერეს აფეთქებას შორის.

ამერიკელი მეცნიერების თქმით, იაპონიის მიწისძვრის შედეგად დედამიწის ღერძი 14 სმ-ით გადაიხარა, იტალიელი მეცნიერები სხვა რიცხვს, 10 სმ-ს ასხელებენ. ღერძის ცვლილება წინა ცვლილების მიმართ მოხდა, რომელიც 2010 წლის თებერვალში ჩილეში მომხდარმა მიწისძვრამ გამოიწვია. მაშინ 8.8 ბალიანმა მიწისძვრამ ღერძი 8 სმ-ით წაანაცვლა.

ერთი მოსაზრების თანახმად, ამ ორი მიწისძვრის შედეგად მომხდარმა წანაცვლებებმა ერთმანეთი გააბათილეს, სხვა მოსაზრებებით, წანაცვლება ერთმანეთს დაემატა. თუმცა, სპეციალისტების ერთი ჯგუფის აზრით, ღერძის წანაცვლებაზე უფრო სახიფათო იაპონიის კუნძულების წანაცვლება შეიძლება იყოს, რადგან მან მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, მათ შორის იაპონიაში ძლიერი მიწისძვრები და ვულკანების გააქტიურება შეიძლება გამოიწვიოს.

# TV პროგრამა

**ოთხშაბათი 16 მარტი**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** აუდიტორია **13.30** დამზადებულია საქართველოში **14.00** დიალოგი დ. პაიჭაძესთან **15.00** სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** **17.00** პლანეტა ბასტი-ბუბუ **18.00** მეხსიერება **19.05** დოკ. ფილმი "ბრძოლა ევერესტის დასაპყრობად" **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** **22.00** ქართული დოკუმენტალისტიკა **23.00** ჩემპიონთა ლიგა **23.40 ჩემპიონთა ლიგა**. მერვედფინალი. **01.40** მოამბე **02.00** მხ. ფილმი **"მეკაბელე"** (**12**) (ჯ. ქერი) (სუბტ.) **04.50** მხ. ფილმი **"ყველა წესის დარღვევით"** (**12**)

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 16.00** დოკ. ფილმი **14.00** საუკუნის პორტრეტები **17.00** მეხსიერება **19.00** დოკ. ფილმი "**7** მომაკვდინებელი ცოდვა" **20.00** მხ. ფ. **"კრიზისის დრო"** **01.00** მხ. ფილმი **"ჯილიან დაბადების დღეზე"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"ცოდვილი"** **10.00** სერ. **"მიმწყვდეული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.20** კურიერი **12.30** სერ. **"შენ ჩემი სიცოცხლე ხარ"** **13.30** ბიზნეს-კურიერი **14.00** კომედი შოუ **15.30** სერ. **"ჩვენი ოფისი"** **16.00** სერ. **"სიყვარულის საიდუმლო"** **16.50** სერ. **"მორენას ვნება"** **18.30** სერ. **"გაორება"** **18.50** სერ. **"დანიელა"** **19.50** სერ. **"ელენას მოჩვენება"** **22.00** იღბლიანი ბორბალი **23.00** დოკ.ფ."ჯაზის ლეგენდები" **23.40 ჩემპიონთა ლიგა**. რეალი-ლიონი **01.40** პატრული **02.00** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა **02.20** მხ. ფილმი **"ელექტროშოკი"** (**18**) (მ. მერფი)

**07.30** მუსიკა **08.00** ანიმაცია "ბეტმენი" **09.00** სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **10.00** გოგიჩას დილა **11.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **12.00** სერ.**"გაუხსნელი საქმე"** **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.30** სერ.**"ორნახევარი კაცი"** **15.30** გადაცემა "ტვ-ტესტი" **16.20** მხ. ფილმი **19.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **20.00** სერ.**"დაუნდობელი სამყარო"** **21.00** სერ.**"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**07.30 იმედის დილა 10.00 სერ. "სილამაზის მსხვერპლი" 11.00, 14.00, 17.00, 20.00 ქრონიკა 11.30 სერ."სიყვარულის ზღვა" 12.25 ტვ-მარკეტი 12.35 სერ."ლობას საიდუმლო" 14.40 დღის შოუ 16.00 სერ. "მონტეს ოჯახი" 17.40 სერ."სიყვარულის ზღვა" 18.45 სერ."ლობას საიდუმლო" 21.00 სერ. "ქალბატონი" 22.00 ყოფილი ცოლების კლუბი 23.00 თბილისი ლაივი 00.00 მხ. ფილმი "კეთილი ჯონი" (ჩ. ტატუმი) (სუბტ.) 02.10 მხ. ფილმი "ლომის გული"** (ჟ. **ვან დამი) (სუბტ.) 03.55 მხ.ფ."ჩემი ძმაკაცის შეყვარებული"** (**12**) (**სუბტ.**) **06.30 სერ. "ბოშები"**

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.00** სერ. **"ადვოკატი"** **10.30** დოკ. ფილმი **11.50, 21.00** სერ. **"იდუმალი სტუმარი"** **12.50, 19.30** სერ. **"უკანასკნელი საჯარიმო"** **15.00, 18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ.**"ეპოქის ვარსკვლავი"** **22.00** სცენა **00.00** მხ. ფილმი

ერთსულოვნება **08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.05, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.20** სალვთისმეტყველო საუბრები **11.25** დროის ჩანაწერები **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი **"განაჩენი"** **13.35** კონცერტი – ანს. "შავნაბადა" **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.30** მხ. ფილმი **"ადამიანთა სევდა"** **16.55** კვირიაკე **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** ჯვარსახოვანი გზა, გად. **1**-ლი **19.40** მხ. ფილმი **"თუში მეცხვარე"** **1**-ლი ს. **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** გზა, რომლითაც ვიარე **22.20** ქართული ალბომი **22.40** დოკ. ფილმი "არაბესკი" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15, 00.35** სუფთა დაფა **00.50** გადაცემა "კარაბადინი"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზვარის“ ნებართვით

# სამგლოვიარო განცხადებები



## ბესიკ (ბესო) კიკალიშვილის მონატრება

**„შენ ჩვენს ხსოვნაში დაგტოვებთ ცოცხალს“**

დრო მკურნალიაო, ამბობენ, მაგრამ ტკივილს, რომელიც შენს სახელს თან ახლავს, დრო ვერ განკურნავს. შენი ქორწილისთვის ვემზადებოდით, მაგრამ ბედმა დაგვცინა. 19 მარტს გახვედი სახლიდან, შენი რჩეულისკენ მიიჩქაროდი, ნახშირღელესთან უცბად გაქრა შენი სიცოცხლე, აუხდენელი დაგრჩა ფიქრი და ოცნება. ჩვენ კი, შენს ახლობლებს, უბედურებამ გადაგვიარა, დღესაც კოშმარული სიზმარი გვგონია შენი არყოფნა. 4 აპრილი — შენი დაბადების დღე — უშენოდ სიცარიელეა. უსაზღვროდ მძიმეა, როცა შენს დაბადების დღეზე გაყინულ სურათთან ცრემლებით, სანთლებითა და ყვავილებით ვხვდებით, დააკლდი შენს ძმას, მშობლებს, ბებიას, ბიძაშვილებს, მეგობრებს, მეზობლებს. ძალიან გვენატრება შენი გამოხედვა და ლამაზი სიცილი. 19 მარტს შევიკრიბებით უშენოდ. ვაი, რომ ვერ განახავთ. ყველას ენატრები, როგორ დაიმსახურე ამდენი. შენ ხომ მხოლოდ 23 წელი იცხოვრე ამქვეყნად და უდიდესი სიყვარული დაიმსახურე. შენნაირები გარდაცვალების შემდეგაც აგრძელებენ სიცოცხლეს. შენზე ფიქრებში ათენებენ და აღამებენ შენი ოჯახის წევრები. ჩვენ ყოველთვის მოვალთ შენს საფლავზე შენი სიყვარულის უკვდავსაყოფად. დაე, ჩვენმა ანთებულმა სანთელმა გაგინათოს გზა მარადისობაში. ღმერთმა შენს სულს დაუმკვიდროს ადგილი მარადიულ სასუფეველში, ჩვენო ძვირფასო და ლამაზო ბესო.



## ინგა ნოდარის ასულ ნებიერიძის გახსენება

ჩვენო საყვარელო და სანატრელო ინგა, ორმოცი დღე შესრულდა, რაც დატოვე ჩვენი ოჯახი.

შენი უდროოდ წასვლით იარას ვერ მოგვიშუშებს ვერც დრო და ვერანაირი ამქვეყნიური სიკეთე. რას ვიფიქრებდით, თუ ასე ხანმოკლე იქნებოდა შენი სიცოცხლე. იცოცხლე სიმართლითა და სიკეთით. შენ ხომ ექიმი იყავი და არ იშურებდი ძალღონეს შენი ახლობლებისა და მეზობლების ჯანმრთელობისთვის. შენ კეთილი სულის ადამიანი იყავი და შენი წასვლით თან გაიყოლე შენი მოსიყვარულე ადამიანების გულწრფელი ცრემლი. უფალს ვთხოვთ დაგიმკვიდროს სამუდამო სასუფეველი.

*შენი მშობლები, დები, ძმები და ახლობლები*

აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობა აღმოსავლეთ საქართველოში თანაუგრძნობს თანამშრომელ თინათინ კივილაძეს ბიძის

**სოსო კივილაძის**

გარდაცვალების გამო.



## სოსო ციკოლიას გახსენება

18 წელი გვაშორებს იმ ავადმოსაგონარ 16 მარტს, როდესაც შენ და შენი თანამებრძოლების ვაჟკაცურმა სულმა მტერს არ მისცა სოხუმში შემოსვლის საშუალება.

შენ ხომ გუმისთის მისადგომებთან შენს ასეულთან გმირულად იბრძოდი და აფხაზური სიმღერით „უ რაიდა რაიდათი“ შეეგებე სიკვდილს.

შენი გმირობით ამაყობენ შენი თანამებრძოლები და ახლობლები, რომლებიც დღესაც ცრემლის გარეშე სიამაყით წარმოთქვამენ შენს სახელს.

გჯეროდეს, ჩვენ არასოდეს დაგვავიწყდება, რომ გვყავდა გმირი-შვილი, მამა, ძმა, ბიძა, ძმისშვილი, დისშვილი, ბიძაშვილი...

ნათელი დაადგეს შენს ნათელს ხსოვნას!

*შენი ახლობლები*



მეუღლე მზია, შვილი დავითი, რძალი ნანა, დები მერი და ნაზი, სიძეები ნუგზარი და მიშა, შვილიშვილები გურამი და ნინო იუწყებიან

**გურამ კონსტანტინეს ძე ჯურხაძის**

გარდაცვალებას

პანაშვიდი: 15 და 16 მარტს, 16 საათზე;

დაკრძალვა: 17 მარტს, 15 საათზე;

მის:. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი №34. III რიგი, ბინა №6.

უნივერსიტეტ „ინტერფარმი+“-ის ადმინისტრაცია, აკადემიური პერსონალი და სტუდენტები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ უნივერსიტეტის პროფესორის, შესანიშნავი პედაგოგისა და პიროვნების

**მაია ქურციკიძის**

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

## ლარის მიმართ უცხოური ვალუტის კურსი

16 მარტი

აშშ დოლარი — 1,7032

ევრო —2,3801

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7439

რუსული რუბლი — 0,0591

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 15-1§, ღამით — 5-7

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 17-22, ღამით — 19-13

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — §-13, ღამით — -6-6

## ამინდის პროგნოზი 16 მარტისთვის




## ქართული ფლორის საოცრება „სალხინო" უებარი წამალია



„სალხინო" ეკოლოგიურად სუფთა მცენარეული ნედლეულისაგან მიღებული წამალია.

პრეპარატ „სალხინოს" ახასიათებს ანტიბაქტერიული, ანტისეპტიკური, სპაზმოლიზური, ტკივილგამაყუჩებელი, შარდმდენი მოქმედება. ხსნის შეშუპებებს, არეგულირებს სხეულის ტემპერატურას.

წამალი გამოიყენება მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების დროს. პირის ღრუს სასუნთქი და საშარდე სისტემის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების, ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პაროდონტიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატიტის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუასილის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.

„სალხინოს" შესახებ ვრცლად ინფორმაცია მოთავსებულია ვებ-გვერდზე www.salkhino.ge წამალი იკითხეთ აფთიაქებში.

**მის.: აღმაშენებლის 146. ტელ.:** 14-41-58, 95-90-60.

## ქეცბაიამ შემადგენლობა გამოაცხადა და ბასაზე პირველად ივარჯიშებს

**საქართველოს ეროვნული ნაკრები 26 და 29 მარტს 2 უმნიშვნელოვანეს მატჩს გამართავს 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე. ჩვენები ჯერ ხორვატიის ნაკრებს უმასპინძლებენ, შემდეგ კი ისრაელს ეწვევიან.**



ნაკრების თავკაცმა, თემურ ქეცბაიამ 23-კაციანი შემადგენლობა დაასახელა, რომლებიც ამ მატჩებისთვის მოემზადებიან. როგორც მოსალოდნელი იყო, ნაკრებში არაა უკლუბოდ მყოფი მალხაზ ასათიანი და თავად მწვრთნელმაც ბევრჯერ აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე მისი მიწვევა გაუმართლებელი იქნებოდა. ბოლო დროს ნაკრებში მუდმივად მყოფი ფეხბურთელებიდა, სიაში ვერ მოხვდა სერბული „ვოივოდინას" შემტევი გიორგი მერებაშვილი. თუმცა, მას საკმაო სათამაშო პრაქტიკა აქვს, მაგრამ მერებაშვილს, რომელიც საქართველოში თამაშისას ყოველთვის გამოირჩეოდა, სანაკრებო მატჩები არ გამოსდის.

დიდი ხნის შესვენების შემდეგ ეროვნულ გუნდს „ზესტაფონის" მარჯვენაფლანგელი კახა ალადაშვილი დაუბრუნდა, რომელიც ნოემბერში სლოვენიასთან ამხანაგურ შეხვედრაში გამოძახებული იყო, მაგრამ მინდორზე არ შესულა. ალადაშვილს „ჯვაროსნებში" 7 მატჩი ჩაუტარებია, ასე რომ, დებიუტანტი ნამდვილად არ ეთქმის.

ქეცბაიამ ნიჟნი ნოვგოროდის „ვოლგას" ბომბარდირ ოთარ მარცვალაძესაც უხმო, რომელმაც ნაკრებში ბოლოს, შარშან, ესტონეთთან ამხანაგურ შეხვედრაში ითამაშა. შეხსენებისთვის, მარცვალაძე თებერვალში სომხეთთან მატჩისთვის არ იყო გამოძახებული.

და რაც შეეხება იძულებით დანაკლისს, ასათიანზე უკვე ვთქვით, უჩა ლობჟანიძე კი ტრავმირებულია. რაც შეეხება ლევან ყენიას, ნაოპერაციებია და ნაკრების საშემოდგომო მატჩებამდე ვერანაირად ვერ ითამაშებს.

ეროვნული ნაკრები 20 მარტს შეიკრი-

გაგრძელება მე-9 გვერდზე

## ასტროპროგნოზი 16 მარტისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!

წარმატებული დღეა

**ვერძი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **კურო** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **ტყუპები** — ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **კირჩხიბი** — გელით სიურპრიზი და ახალი სამსახური. **ლომი** — მშვენიერი დღეა, გახარებული ხართ. **ქალწული** — არ აჩქარდეთ, მშვიდად აკეთეთ თქვენი საქმე. **სასწორი** — თქვენი საქმეწინ მიდის, ყველაფერი კარგად არის. **ღრიანკალი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **მშვილდოსანი** — დაისვენეთ მყუდრო გარემოში, არ გადაიღალოთ. **თხის რქა** — არ აყვეთ სხვებს, საკუთარი თავი დაიცავით. **მერწყული** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **თევზები** — რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!


# 21 მარტიდან

100 წიგნი

„ახალი თაობა" და „საოჯახო ბიბლიოთეკა"

გთავაზობთ

სუპერპროექტს

ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო

ტომი 1

განდი




გაზეთი და წიგნი ერთად — 8 ლარი


## იუმორი

— სიასამურის გრძელი ქურქი, ელეგანტური კოსტუმი, ფირუზისფერი ქვედაბოლო, ბრილიანტის ბეჭედი, ბრილიანტის ყელსაბამი, თეთრი ოქროს საყურეები და სამაჯური, ღვინო მხოლოდ ფრანგული, წითელი, ან თუნდაც მარტინი, შოკოლადით, ავტომობილი ფოლკსვაგენი ხოჭო ან მაზდა, მეექვსე მოდელი. სილამაზის და ფიტნესის სალონის აბონემენტი, ჰორიზონტალური სოლარიუმით, შხაპი აუცილებელია. მუდმივად მივლინებებში მყოფი მოსიყვარულე ქმარი და შმაგი, დაუდგრომელი საყვარელი. გამარჯობა, ალბათ უკვე მიხვდით, რომ ეთერშია გადაცემა „რა სურს ქალს".

* * *

— მეტოქე არის არამზადა, რომელსაც იგივე უნდა, რაც შენ...

* * *

ქუჩაში ქალმა ჩაიარა. ტაქსისტებმა თვალი გააყოლეს. ერთი მეორეს ეუბნება:

— როგორ მოგწონს?

— რა გითხრა...

— მე კი ფულს გამოვართმევდი...

* * *

— ფოცხზე ფეხის დაბიჯება არასასიამოვნოა, ბავშვის სათამაშო ფოცხზე დაბიჯება — სახიფათო...

* * *

— ნიჭიერი ადამიანი ყველა საქმეში ნიჭიერია... ეს იდიოტებსაც ეხებათ...

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. ბაქტერიების დამშლელი, მშთანთქავი ვირუსი; 2. კახეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 3. ტბა აფრიკის სამხრეთში; 5. ვაჟა-ფშაველას „გველის მჭამელის" პერსონაჟი; 6. სპილენძის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 9. დედამიწის ატმოსფეროს ქვედა ნაწილი; 10. გერმანული ყველი; 11. ინგლისელი კომიკოსი; 14. თევზის ძვალი; 16. ბერიკაობის ერთ-ერთი პერსონაჟი; 18. ერთ-ერთი კონტინენტი.

**თარაზულად:** 1. არგენტინელი ავტომრბოლელი, ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი; 4. ჩილეს პრეზიდენტი; 7. რაიონული ცენტრი კახეთში; 8. მოსახლეობის რაოდენობით ყველაზე დიდი სოფელი საქართველოში; 12. ბელინის ოპერა; 13. ზრდილობიანი მიმართვა მამაკაცისადმი თურქეთში; 15. სევანის ტბის კალმახი; 17. ბაშკირეთის დედაქალაქი; 19. დიდი ზომის გადაშენებული ქვეწარმავალი; 20. ჰაერში ასაშვები მეტეოროლოგიური ბურთი; 21. იაპონური მოტოციკლეტი.

*შეადგინა თ. გოგინაშვილმა*

